

განათლებისა და განვითარების პროგრამა

*იურიდიული სტატუსის ცვლილება და
უნივერსიტეტები საქართველოში: სტატუს კვლევა
და სტრატეგიული გეგმის პერსპექტივები*

ლიკა ლლონტი
ასოცირებული მკვლევარი

ტემპუსის ეროვნული ოფისის ხელმძღვანელი

სარჩევი

სარჩევი.....	2
პრეამბულა	3
უმაღლესი განათლების გამოწვევები	4
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები საქართველოში.....	8
კვლევის მეთოდოლოგია	10
კვლევის ობიექტების შერჩევა	11
ა(ა)იპ სამართლებრივი სტატუსი	13
უნივერსიტეტების მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა.....	15
სტრატეგიული განვითარების გეგმა	15
სტრუქტურა	17
აკადემიური საქმიანობა	19
სასწავლო პროცესი	19
მეცნიერება	20
სტუდენტები.....	22
პერსონალი.....	24
ფინანსები	26
დასკვნა	28
ავტორის შესახებ	29
გამოყენებულ შემოკლებათა განმარტებები.....	30
წყაროები.....	31
დანართები	32
დანართი I	33
დანართი II	35
დანართი III	37
დანართი IV.....	43
დანართი V.....	113
დანართი VI.....	119
დანართი VII.....	130

პრეამბულა

დღეს არავინ დაობს უმაღლესი განათლების როლისა და მნიშვნელობის შესახებ ქვეყნის განვითარებაში. უფრო მეტიც, უმაღლესი განათლების შესახებ რიტორიკა სწორედ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და საზოგადოების ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე ამყარებას იმედებს. ამ კონტექსტში განვითარებადი და ახალი ქვეყნებისათვის უმაღლესი განათლება სტრატეგიული მნიშვნელობის სამიზნე ხდება კონკრეტული ქვეყნის კეთილდღეობისა და წინსვლის საქმეში.

საქართველოს უმაღლესი განათლება 2004 წლის 21 დეკემბრის უმაღლესი განათლების ახალი კანონის მიღების შემდეგ სერიოზული ტრანსფორმაციის ობიექტია და ეს პროცესი ჯერაც არ დამთავრებულა. ამ ხნის განმავლობაში უმაღლესი განათლების სექტორში მიმდინარე ორგანიზაციული ცვლილებები იშვიათად ყოფილა სერიოზული სისტემური შეფასების საგანი დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ და კიდევ უფრო ნაკლებად მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების ასპარეზი.

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი იწყებს კვლევით აქტივობას, რომლის მიზანია მონაცემებზე დაფუძნებული ანალიტიკური ანგარიშების მომზადება საქართველოში უმაღლესი განათლების შესახებ და შესაბამისი მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკის დოკუმენტების (policy papers) გამოქვეყნება საჯარო განხილვისა და საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობისათვის.

წინამდებარე კვლევის მიზანია რამდენიმე უნივერსიტეტის საქმიანობის ანალიზის საფუძველზე გამოვყოთ საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი ტენდენციები და ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობები.

კვლევის ობიექტია ის უნივერსიტეტები, რომლებმაც ბოლო წლის განმავლობაში სამართლებრივი სტატუსი შეიცვალა - საჯარო სამართლის იურიდიული პირის ნაცვლად ამჟამად ფუნქციონირებენ, როგორც სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო, არამომგებიანი იურიდიული პირები.

ჩვენი ამოცანაა, გავარკვიოთ, როგორი სასტარტო მდგომარეობიდან იწყებენ უნივერსიტეტები ფუნქციონირებას - განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ უნივერსიტეტების განვითარების სტრატეგიაზე - როგორ შეიძლება გამოიყენონ უნივერსიტეტებმა ა(ა)იპ სტატუსით განსაზღვრული ავტონომიურობის გაზრდილი ხარისხი?

კვლევის შედეგებმა უნდა გააადვილოს უმაღლესი განათლების განვითარების გეგმის (რეკომენდაციების) შემუშავება მსოფილოში და საქართველოში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით.

უმაღლესი განათლების გამოწვევები

უნივერსიტეტების დიდი ქარტიის (1988)¹ მიხედვით უნივერსიტეტების არსებობის მთავარი ფუნდამენტური პრინციპი მათი ავტონომიურობაა: “უნივერსიტეტი არის ავტონომიური დაწესებულება განსხვავებული ისტორიული მემკვიდრეობისა და გეოგრაფიული პირობების გამო სხვადასხვაგვარად ორგანიზებულ საზოგადოებებში, რომელიც ქმნის, ამოწმებს, აფასებს და ავრცელებს კულტურას კვლევისა და სწავლების გზით”.

უნივერსიტეტების ავტონომიურობის მნიშვნელობა აღნიშნულია ბოლონის პროცესის ყველა დოკუმენტში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციებში და დასაბუთებულია სამეცნიერო ნაშრომებში.

ლუკ ვებერი (2006) აღნიშნავს, რომ “...უნივერსიტეტის ავტონომიურობა მაღალი ხარისხის განათლებისა და კვლევის განხორციელების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა”. ავტონომიური უნივერსიტეტი უკეთ პასუხობს თანამედროვეობის გამოწვევებს. ცხადია, ასევე მნიშვნელოვანია ადამიანური და მატერიალური რესურსები და მათი გონივრული მართვა. მაგრამ, თავის მხრივ მართვა ავტონომიურობის შეზღუდული ხარისხის პირობებში არაეფექტურია - შესაბამისად დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან და სხვა ინსტიტუტებისაგან² უნივერსიტეტს აძლევს თავისუფლად მოქმედების საშუალებას და ზრდის მის კონკურენტუნარიანობას. მაგრამ დამოუკიდებლობა არ უნდა გავიგოთ, როგორც უპასუხისმგებლობა: **უნივერსიტეტების ავტონომიურობის პარალელურად უნდა არსებობდეს ანგარიშვალდებულების მექანიზმებიც.** უნივერსიტეტები პასუხისმგებლები არიან არა (მარტო) სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების წინაშე - XXI საუკუნის გამოწვევები საზოგადოებასთან დამოკიდებულების ახლებურად გააზრებას ითხოვს.

საქართველოში, რომელიც ადგას დემოკრატიულ სახელმწიფოდ ქცევის პროცესს, ნებისმიერი ორგანიზაცია უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საზოგადოებისათვის. განსაკუთრებით კი უნივერსიტეტები, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ცენტრალური ორგანიზაციები, რადგან მათი ფუნქციაა ახალი ცონდის გენერირება და არსებულის შენარჩუნება სწავლებისა და კვლევის გზით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს სხვა არაფერია, თუ არა კრიტიკული აზროვნების და აკადემიური თავისუფლების პრიმატი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრესს (ცხადია მეტი ალბათობით), ვიდრე ჩაკეტილი და დახურული ინსტიტუტები.

თანამედროვეობის გამოწვევებს უნივერსიტეტებისადმი განათლების და საზოგადოებრივი მეცნიერებების სპეციალისტები დღეს ასე ხედავენ:

- ✓ გლობალიზაცია და მისი თანამდევი მზარდი კონკურენცია („ბრძოლა“ საუკეთესო სტუდენტებისა და პროფესორებისათვის; საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდილი მასშტაბები და ა.შ.)
- ✓ დემოგრაფიული ცვლილებები (მოსახლეობის დაბერება, მიგრაცია, ინტელექტის გადინება)
- ✓ სწავლისა და კვლევის გაძვირება საჯარო დაფინანსების შემცირების ფონზე

¹ www.magna-charta.org ნანახია 2.02.2012

² ავტონომიურობაში ვგულისხმობთ სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ უნივერსიტეტი შეიძლება იყოს დამოკიდებული ასევე ბიზნესზე და რელიგიურ ორგანიზაციებზეც.

- ✓ სწავლების ახალი მეთოდები (ICT ტექნოლოგიები)

საქართველო, როგორც უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ორგანიზაციის წევრი,³ იგივე გამოწვევების წინაშე დგას, რასაც პოსტსაბჭოთა ქვეყნის სპეციფიკა ემატება.

საბჭოთა მემკვიდრეობა ყველაზე მეტად გამოიხატება იმაში, რომ უნივერსიტეტები მოუმზადებლები აღმოჩნდნენ დამოუკიდებლობისათვის. უმაღლესი განათლების სფეროში აქამდე განხორციელებული ყველა რეფორმა ინიცირებული იყო ხელისუფლების მიერ და უნივერსიტეტები, როგორც წესი, ამ რეფორმების პასიური შემსრულებლების როლში იყვნენ. უნივერსიტეტების ავტონომიურობის გაზრდა, სამართლებრივი სტატუსის (სსიპ vs ა(ა)იპ) შეცვლის გზით, ასევე სახელმწიფოს ინიციატივით და არა უნივერსიტეტების მოთხოვნით. უნივერსიტეტები უბრალოდ იღებენ არსებულ შემოთავაზებას, მაგრამ გაუგებარია, თუ რამდენად აქვთ გააზრებული გაზრდილ ავტონომიურობასთან ერთად პასუხისმგებლობის გაზრდის საკითხიც.

რეფორმების განხორციელება უნივერსიტეტებს ცალ-ცალკე უწევთ - არ არსებობს ჰორიზონტალური კავშირები უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებს შორის (რექტორთა არსებული სამი საბჭო პრაქტიკულად არ მუშაობს⁴), ისევე როგორც არ არსებობს ქვეყანაში უმაღლესი განათლების განვითარების საერთო სტრატეგია.⁵

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მინისტრის ოცდაერთგვერდიან პრეზენტაციაში⁶ “2011-2012 წლების გამოწვევები და ინიციატივები” მხოლოდ ერთი სლაიდი ეძღვნება უმაღლეს განათლებას.

2011 წლის მიღწევად ითვლება:

- ✓ უმაღლესი სასწავლებლების სსიპ-დან ა(ა)იპ-ზე გადასვლა;
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების ფონდის შექმნა (ენდაუმენტის ფონდი)
- ✓ საგრანტო დაფინანსება სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული ფაკულტეტების მიხედვით;
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ✓ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა;
- ✓ უცხოეთში სამაგისტრო პროგრამების დაფინანსება (DRF);

³ საქართველო ბოლონის პროცესს 2005 წლის მაისში შეუერთდა (<http://www.bologna-bergen2005.no>)

⁴ დარეგისტრირებულია კერძო უნივერსიტეტების რექტორთა ორი საბჭო (2006 და 2010 წლებში), რომელიც არსებული სასწავლებლების ca. 40%-ს მოიცავს (ამასობაში რამდენიმე უსდ-მ დაკარგა ავტორიზაცია); ასევე არსებობს სახელმწიფო უსდ-ების რექტორთა საბჭო (რეგისტრირებულია 2007 წელს), რომელშიც გაერთიანებულია ყველა სსიპ-ის რექტორი თსუ-ს გარდა, მაგრამ აბსოლუტურად უცნობია რექტორთა საბჭოების საქმიანობის შედეგები. შედარებისათვის, მაგ. გერმანიაში რექტორთა საბჭო HRK (www.hrk.de) სერიოზული ანგარიშგასაწევი ორგანიზაციაა, რომელიც საკანონმდებლო ინიციატივებით გამოდის.

⁵ ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც ქვეყანაში უმაღლესი განათლების განვითარების პრინციპებს ადგენდა, იყო 2002 წელს პარლამენტის მიერ დამტკიცებული NI324-II ს „დადგენილება საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ“, რომელიც საფუძვლად დაედო 2004 წლის დეკემბერში მიღებულ კანონს უმაღლესი განათლების შესახებ (www.parliament.ge).

⁶ (www.mes.gov.ge; ნანახია 26.02.2012; მინისტრის პრეზენტაცია 28.12.2011)

2012 წლის გამოწვევები:

- ✓ უმაღლესი განათლების შესახებ ცვლილებები კანონში
 - აბიტურიენტთა მეორადი ჩარიცხვების გაუქმება;
 - სამედიცინო და იურიდიულ ფაკულტეტებზე მინიმალური ზღვარის გაზრდა;
 - ყველა უმაღლესი სასწავლებლისთვის მეოთხე საგანი მხოლოდ მაპროფირებელი მიმართულებიდან;
 - ცვლილება სტუდენტთა მობილობის წესში;
 - უცხოეთში მცხოვრები მოქალაქისთვის საქართველოში სწავლის დაწყების პროცედურის გამარტივება;
 - ცვლილებები უმაღლეს პროფესიულ განათლებაში⁷
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების ფონდის ამოქმედება (ენდაუმენტის ფონდი);
- ✓ საგრანტო დაფინანსება სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული ფაკულტეტების მიხედვით;
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ✓ უცხოეთში სამაგისტრო პროგრამების დაფინანსება (DRF);
- ✓ ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გახსნა ბათუმში;
- ✓ სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის მილიონიანი გრანტი უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების ჩამოსაყვანად.
- ✓ არაავტორიზირებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების ხელშეწყობა ავტორიზირებულ სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებაში

იმავ დოკუმენტში, ასევე ერთ სლაიდზეა მოცემული მეცნიერების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიღწევები და გამოწვევები, რაც ნაწილობრივ მაინც უნდა აისახოს საუნივერსიტეტო სივრცეზე:

2011 წლის მიღწევები:

- სახელმწიფო საგრანტო კონკურსის ჩატარება გამოყენებით და ფუნდამენტურ მეცნიერებებში ცალ-ცალკე;
- სამეცნიერო ინფრასტრუქტურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით განახლება;
- ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა (სტაჟირება უცხოეთში 3 მილიონი ლარი);
- სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება;
- ერთობლივი სამეცნიერო კვლევებისთვის გაფორმებული ხელშეკრულებები სხვადასხვა ქვეყანასთან (იტალია, უკრაინა, გერმანია)
- მეცნიერების პოპულარიზაცია;
- მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით კონკურსი "ლეონარდო და ვინჩი".

2012 წლის გამოწვევები:

- სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;
- სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ხელნაწერთა ინსტიტუტის რეაბილიტაცია;

⁷ ტერმინი „უმაღლესი პროფესიული განათლება“ ამოღებულია კანონიდან უმაღლესი განათლების შესახებ (ჩანაცვლებულია პროფესიული განათლების მეოთხე და მეხუთე საფეხურით) და გასაკვირია მისი მოხსენიება სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტში.

- ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა;
- სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება;
- მეცნიერების პოპულარიზაცია;
- მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით საერთაშორისო კონკურსი "ლეონარდო და ვინჩი".

ზემოაღნიშნული დოკუმენტი უფრო კონკრეტული ამოცანების ჩამონათვალს წარმოადგენს, ვიდრე უმაღლესი განათლების განვითარების სტრატეგიას ეროვნულ დონეზე⁸ – როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამწუხაროდ მსგავსი დოკუმენტი საქართველოში არ შემუშავებულა. რაც იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტები ამჟამად მხოლოდ ინსტიტუციურ დონეზე მომზადებული სტრატეგიული დოკუმენტების შესაბამისად უნდა მოქმედებდნენ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პრეზენტაციაშია ნახსენები, უმაღლესი სასწავლებლების სსიპ-დან ა(ა)იპ-ზე გადასვლა 2011 წლის ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევადაა მიჩნეული. ეს ცვლილება წარმოდგენილია, როგორც უნივერსიტეტების ავტონომიურობის ზრდის მაგალითი – ჩვენი კვლევის კონკრეტული ამოცანაა საჯაროდ არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გავარკვიოთ, მართლაც ნიშნავს თუ არა სამართლებრივი სტატუსის შეცვლა ავტონომიის რეალურ ზრდას და როგორ აისახება ეს უნივერსიტეტების ფუნქციონირებაზე.

⁸ დოკუმენტს თან არ ახლავს არც ფინანსური გათვლები და არც ინდიკატორები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები საქართველოში
(2012 წლის მარტის მდგომარეობით)

2012 წლის მარტის მდგომარეობით საქართველოში ფუნქციონირებს სახელმწიფოს მიერ აღიარებული (ავტორიზებული და ავტორიზებულად ჩათვლილი, ყოფილი ინსტიტუციურად აკრედიტირებული) 57⁹ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ).

აქედან 2011 წლის დეკემბრამდე 20 უსდ-ს ჰქონდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი (*აგრარული უნივერსიტეტის სტატუსი უკვე შეცვლილი იყო 25.03.2011 და სსიპ - გორის სულხან ცინცაძის სამუსიკო კოლეჯი 2011 წლის 22 დეკემბრამდე იყო აკადემიური კოლეჯი*), ხოლო 37-ს – კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახეები განსაზღვრულია კანონმდებლობით:

- **უნივერსიტეტი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.
(უმაღლესი განათლების სამივე ციკლი + უმაღლესი პროფესიული პროგრამები მიღევად რეჟიმში, ასევე შეუძლია განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები).
- **სასწავლო უნივერსიტეტი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა); (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა + უმაღლესი პროფესიული პროგრამები მიღევად რეჟიმში, ასევე შეუძლია განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები).
- **კოლეჯი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას. (ბაკალავრიატი + უმაღლესი პროფესიული პროგრამები მიღევად რეჟიმში, ასევე შეუძლია განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები).

ცხრილი 1:

უსდ-ების იურიდიული სტატუსი 2011 წლის ნოემბრისა და 2012 წლის მარტის¹⁰
მდგომარეობით

	სსიპ		შპს		ა(ა)იპ		სულ
	XI 2011	III 2012	XI 2011	III 2012	XI 2011	III 2012	
უნივერსიტეტი	12	2	11	11	2	12	25

⁹ წყარო - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი - www.eqe.ge (02.2012)

¹⁰ კვლევის განხორციელების პროცესში (2012 წლის 29 თებერვალს) საქართველოს მთავრობის №73, № 74 და №75 დადგენილებებით კიდევ სამ უნივერსიტეტს (ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი) შეეცვალა სამართლებრივი სტატუსი, რაც ასახულია პირველ ცხრილში, მაგრამ დეტალური შესწავლის საკითხი წინამდებარე კვლევის ფარგლებში არ გამხდარა.

სასწავლო უნივერსიტეტი	6	3	18	18	3	6	27
კოლეჯი	2	1	2	2	1	2	5
სულ	20	6	31	31	6	20	57

2011 წლის დეკემბერში ათმა სსიპ–მა შეიცვალა სამართლებრივი სტატუსი და ამჟამად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსით მოქმედებს, ამასთან სსიპ - საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა სტატუსი 2011 წლის 25 მარტს შეიცვალა და ისიც ამჟამად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსით ფუნქციონირებს. 2012 წლის მარტში კიდევ სამი სსიპ გადავიდა ა(ა)იპ სტატუსზე.

შესაბამისად ახალი სტატუსის მატარებელია სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ათი უნივერსიტეტი, სამი - სასწავლო უნივერსიტეტი და ერთი კოლეჯი.

1. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
2. ა(ა)იპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;
3. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
4. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი;
5. ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
6. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
7. ა(ა)იპ - სოხუმის უნივერსიტეტი
8. ა(ა)იპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
9. ა(ა)იპ – შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი
10. ა(ა)იპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
11. ა(ა)იპ - ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
12. ა(ა)იპ - შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდი სასწავლო უნივერსიტეტი
13. ა(ა)იპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
14. ა(ა)იპ - ახალქალაქის კოლეჯი;

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ა(ა)იპ სტატუსის მქონე სხვა უსდ–ებიც, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არაა დაფუძნებული (2 უნივერსიტეტი, 2 სასწავლო უნივერსიტეტი და ერთი კოლეჯი):

1. ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
2. ა(ა)იპ – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)
3. ა(ა)იპ – ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტი
4. ა(ა)იპ – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
5. ა(ა)იპ – თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია
6. ა(ა)იპ – საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო–კულტურულ–საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

კვლევის მეთოდოლოგია

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წინამდებარე კვლევის მიზანია იმის გარკვევა, თუ როგორ ხვდებიან უნივერსიტეტები სამართლებრივი სტატუსის შეცვლას და როგორ აპირებენ ახალი სტატუსით განსაზღვრული უპირატესობების (ასეთების არსებობის შემთხვევაში) გამოყენებას.

კვლევის ფარგლებში ინფორმაციის მოპოვების მთავარი წყარო იყო უნივერსიტეტების და უმაღლესი განათლებისათვის რელევანტური სახელმწიფო და სხვა სტრუქტურების ვებგვერდები. მათი გამოყენება ეხმარება ქვეყანაში არსებულ წესს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ (იხ. ქვემოთ), და ასახავს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპს, რომელიც უნივერსიტეტების შემთხვევაში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

უფრო კონკრეტულად, კვლევისათვის რელევანტური დოკუმენტების მოძიებისათვის შესაბამისი ვებგვერდები გამოვიყენეთ, რადგანაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ (მუხლი 10 ლ) ქვეპუნქტი) განისაზღვრა, რომ:

„ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.“ ანუ საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული არიან საჯაროდ გამოაქვეყნონ დეტალური ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ.

კვლევისათვის გამოყენებულ იქნა შემდეგი ორგანიზაციების ვებგვერდები:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (www.mes.gov.ge)
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (www.eqe.ge)
- გამოცდების ეროვნული ცენტრი (www.naec.ge)
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (<http://rustaveli.org.ge>)
- ა(ა)იპ სსსტუსის მქონე უნივერსიტეტების ვებგვერდები (იხ. ქვემოთ)

დამატებით უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ მოწოდებული იქნა ინფორმაცია აკადემიურ თანამდებობებზე არსებული კონკურსებისა და სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლების შესახებ (თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად უნივერსიტეტების აღიარებით, ყველა ეს მონაცემი მიახლოებითია და უფრო ვარაუდებს ეფუძნება, ვიდრე კონკრეტულ სტატისტიკას). მიმდინარე კვლევამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ სამწუხაროდ არ არსებობს ზუსტი სტატისტიკური მონაცემები და ე.წ ინსტიტუციური კვლევის გამოცდილება, რაც თავისთავად შემფარხებელი ფაქტორია როგორც ორგანიზაციის განვითარებისათვის, ასევე შეფასებისთვის და ანგარიშვალდებულებისა თუ საქმიანობის ეფექტურობისა და ეფექტიანობის შემოწმებისათვის.

კვლევის ობიექტების შერჩევა

კვლევისათვის შეირჩა ა(ა)იპ სტატუსის მქონე შვიდი უნივერსიტეტი, რომლებმაც ა(ა)იპ სტატუსი 2011 წლის ბოლოსათვის მიიღეს (*ფრჩხილებში მოცემული შემოკლებები შემდგომ ტექსტში გამოიყენება*):

1. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) www.tsu.edu.ge
2. ა(ა)იპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსმუ) www.tsmu.edu
3. ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აწსუ) www.atsu.edu.ge
4. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (საუ) www.agruni.edu.ge
5. ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი (იგთსუ) <http://tesau.edu.ge>
6. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ) www.gtu.edu.ge
7. ა(ა)იპ - სოხუმის უნივერსიტეტი (სუ) <http://sou.edu.ge>

შერჩევის პრინციპი:

- ფოკუსი გაკეთდა იმ სახელმწიფო უნივერსიტეტებზე, რომლებმაც შეიცვალეს სამართლებრივი სტატუსი - მიიღეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსი და ამით მთელი რიგი თავისუფლებები შეიძინეს მართვის კუთხით¹¹; ყველა 100%-ით სახელმწიფოს მიერაა დაფუძნებული და უმრავლესობამ სახელწოდებაში შეინარჩუნა სიტყვა “სახელმწიფო”;
- იმთავითვე უარი ითქვა შპს და არა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ სტატუსის მქონე უნივერსიტეტების გამოკვლევაზე;
- უნივერსიტეტები მოიცავს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურს, ექვსი ახორციელებს უმაღლეს პროფესიულ პროგრამებს¹², კიდევ ექვსში ხორციელდება ქართულ ენაში მოსამზადებელი პროგრამები (იხ. ცხრილი 2)- ანუ დაფარულია სკოლისშემდგომი განათლების ყველა ფორმა, რაც გარკვეული განზოგადების საშუალებას იძლევა;
- შვიდი საკვლევი უნივერსიტეტიდან ხუთი დედაქალაქშია, ორი - რეგიონებში - ამით დაცულია გეოგრაფიული დაფარვის პრინციპი;
- შვიდი უნივერსიტეტიდან სამი მონოპროფილურია (სამედიცინო, ტექნიკური და აგრარული), ხოლო დანარჩენი ოთხი - კლასიკური ტიპის მრავალპროფილიანი უნივერსიტეტი - ანუ დაფარულია ყველა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამა. გამონაკლისს წარმოადგენს სახელოვნებო და სპორტული პროგრამების პრაქტიკული არარსებობა საკვლევ უნივერსიტეტებში (პროფესიულ დონეზე არსებობს სახელოვნებო პროგრამები თბილისის სახელმწიფო და აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტებში), მაგრამ ვითვალისწინებთ რა სახელოვნებო და სასპორტო უმაღლესი განათლების სპეციფიკას, განზოგადებული სურათისათვის ამ პროგრამების არარსებობა მნიშვნელოვან ნაკლს არ წარმოადგენს;

¹¹ შიდა სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამოუკიდებელი განსაზღვრა; შესყიდვებისა და შიდა ფინანსური ოპერაციების განხორციელების გამარტივებული წესი და ა.შ. (იხ. ქვემოთ).

¹² ამჟამად ხორციელდება პროფესიული განათლების IV და V საფეხურის პროგრამები, მაგრამ უნივერსიტეტების მიერ მოწოდებულ და ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მასალებში ეს პროგრამები კვლავინდებურად მოხსენიებულია, როგორც უმაღლესი პროფესიული. იგივე სიტუაციაა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მასალებში.

- ჩვენ მიერ შერჩეულ უნივერსიტეტებში საქართველოს სტუდენტების 57% სწავლობს (სტუდენტთა დარჩენილი 43% გადანაწილებულია საქართველოს 50 უსდ–ში).

როგორც ზევით უკვე აღინიშნა, კვლევის ობიექტებმა იურიდიული სტატუსი შეიცვალეს 2011 წლის დეკემბერში, გარდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისა, რომელმაც სტატუსი 2011 წლის 25 მარტს შეიცვალა - ჩვენი მიზანი იყო არსებული ვითარების აღწერა ამ შვიდ უნივერსიტეტში, რომ განგვესაზღვრა ახალი სამართლებრივი სტატუსით მოქმედების მომენტისათვის სასტატო პირობები.

ცხრილი 2:

სკოლისშემდგომი განათლების საფეხურები¹³ საკვლევ უნივერსიტეტებში

უნივერსიტეტი	პროფესიული I, II & III	პროფესიული IV & V	ერთსაფეხურიანი	BA/MA/PhD ¹⁴	მოსამზადებელი
თსუ		✓	✓	✓	✓
თსსუ		✓	✓	✓	✓
აწსუ		✓	✓	✓	✓
საუ		✓		✓	
იგთსუ	✓	✓	✓	✓	✓
სტუ	✓	✓		✓	✓
სუ				✓	✓

¹³ საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, მუხლი 10 (21.07.2010, N3529 ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან) (www.mes.gov.ge) განსაზღვრავს პროფესიული განათლების ხუთ საფეხურს: ა) I საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების ერთგვაროვან სიტუაციებში მეთვალყურეობით შესრულების უნარი; ბ) II საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების გარკვეული დამოუკიდებლობით შესრულების უნარი; გ) III საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, განსხვავებულ სიტუაციებში შეასრულოს თავისი მოვალეობები და ადეკვატურად იმოქმედოს წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად; დ) IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, პროფესიული ცოდნა გამოიყენოს ცვალებად სიტუაციებში წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად, ზედამხედველობა გაუწიოს სხვების საქმიანობას და აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და გაუმჯობესებაზე; ე) V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც მოითხოვს სხვათა სამუშაოს დაგეგმვასა და ხელმძღვანელობას, ასევე განხორციელებული სამუშაოს შეფასებასა და სრულყოფას.

¹⁴ BA - ბაკალავრიატი, MA – მაგისტრატურა, PhD – დოქტორანტურა

ა(ა)იპ სამართლებრივი სტატუსი

კანონი არასამეწარმეო იურიდიული პირის შესახებ და უმაღლესი განათლების შესახებ კანონში 2011 წელს შესული ცვლილებები ბევრად უფრო მეტ თავისუფლებას აძლევს ამ სტატუსით მოქმედ უსდ-ებს, მაგრამ ამავე დროს ინარჩუნებს რექტორისა და წარმომადგენლობითი კოლეგიალური ორგანოს არჩევითობის პრინციპს. თავისუფლება გამოიხატება ფინანსური საქმიანობის წარმართვაში:

- ✓ დაწესებულების ქონების მართვის მიზნით შეიძლება შეიქმნას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდი;
- ✓ შესაძლოა ლიტერატურის შესყიდვის განხორციელება გამარტივებული წესით;
- ✓ სხვა ობიექტების გამარტივებული შესყიდვის განხორციელება შესაძლებელია რეგენტთა საბჭოს გადაწყვეტილებით;
- ✓ უსდ თავად განსაზღვრავს შიდა სტრუქტურას.

ა(ა)იპ სტატუსის მქონე უნივერსიტეტების საქმიანობა განისაზღვრება კანონით უმაღლესი განათლების შესახებ. საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ ცვლილება №4792 2011 წლის 17 ივნისს შევიდა. (მუხლი 6.) საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება უმაღლესი განათლების სფეროში 1. საქართველოს მთავრობა: დ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით და ამტკიცებს მის დროებით წესდებას; (17.06.2011. N4792) და კანონით მეწარმეთა შესახებ.

სამართლებრივი სტატუსის შეცვლა ნებაყოფლობითი პროცესია. 2012 წლის მარტის მდგომარეობით სსიპ-ების ნახევარზე მეტმა შეიცვალა სტატუსი - უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ 14 უსდ-ს, რომლებმაც სტატუსი შეიცვალეს, წარმატებული დამოუკიდებელი ფინანსური პოლიტიკის გატარების იმედი აქვს.

ა(ა)იპ სტატუსი საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს, უფრო თავისუფლად განსაზღვრონ შიდა სტრუქტურა და მოარგონ ის საკუთარ პროფილს; არ შეათანხმონ ზემდგომ სტრუქტურებთან (როგორც აქამდე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან) საშტატო განრიგი; მაკონტროლებელ ორგანოებთან შეთანხმების გარეშე განახორციელონ შიდა ფინანსური ოპერაციები; გამარტივებული წესით შეიძინონ ბეჭდური პროდუქცია და რაც მთავარია, რეგენტთა საბჭოსთან შეთანხმებით განკარგონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდი (კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 15; 22). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის განხორციელების მომენტისათვის არც ერთ უნივერსიტეტში განვითარების ფონდი ჯერ არ იყო შექმნილი.

შიდა სტრუქტურისა და საშტატო განრიგის თავისუფალი განსაზღვრა ცალსახად მისასაღმებელი ცვლილებებია უნივერსიტეტების ავტონომიურობის კონტექსტში. გაზრდილი ფინანსური დამოუკიდებლობა კი თანამდევ რისკებსაც მოიცავს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის (endowment fund) შექმნა საქართველოში დასავლეთის წარმატებული გამოცდილების გადმოტანაა. მაგრამ დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოს შემთხვევაში

გაუგებარია, რომელი ფინანსური წყაროებიდან უნდა შეივსოს ეს ფონდი - შემოწირულობების ტრადიცია ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სათანადოდ არაა ჩამოყალიბებული, არ არსებობს ქველმოქმედების მარეგულირებელი სათანადო საკანონმდებლო ბაზა, და ასევე გაუგებარია, მიიღებს თუ არა სახელმწიფო მონაწილეობას ამ ფონდების განვითარებაში არსებული მძიმე ეკონომიკურ-ფინანსური პირობების გათვალისწინებით. ჯერჯერობით სახელმწიფოს თანამონაწილეობა სტატუსშეცვლილი უნივერსიტეტებისათვის უძრავი ქონების გადაცემით გამოიხატება, თუმცა კვლევის მომენტში უძრავი ქონების გადაცემა ჯერ დასრულებული არ იყო, ასევე გაურკვეველია უძრავი ქონების გადაცემის პირობები და შესაბამისად გაუგებარია, როგორი ქონებრივი ბალანსის პირობებში იწყებენ უნივერსიტეტები მოქმედებას ახალი სამართლებრივი სტატუსით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი სტატუსის შეცვლა არ ეხება ისეთ ასპექტებს, როგორცაა აკადემიური თავისუფლების პრინციპი, აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და სტუდენტთა უფლებები და ვალდებულებები. ანუ სტატუსის ცვლილება უფრო ოპერატიულ დონეზე აისახება და ადმინისტრაციული საქმიანობით შემოიფარგლება. რამდენად რელევანტური იქნება ა(ა)იპ სტატუსი აკადემიური ცხოვრებისათვის, მოახდენს თუ არა ეს რაიმე სახის (დადებით ან უარყოფით) გავლენას უნივერსიტეტების პირველადი ფუნქციის შესრულებაზე, გაუგებარია.

ასევე გაუგებარია ის პირდაპირი „მოგება“, რომელსაც სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უსდ-ების სტატუსის შეცვლით თავად სახელმწიფო იღებს. რა იყო ამ ცვლილებების განხორციელების მთავარი მიზეზი? საეჭვოა, რომ ეს ბეჭდური პროდუქციის შესყიდვის გამარტივებული წესი ყოფილიყო, ან საშტატო განრიგის სამინისტროსთან შეთანხმების საკითი. ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან ყველაზე უფრო სერიოზული სწორედ ფინანსური დამოუკიდებლობაა, რომლის განხორციელების ინსტრუმენტს ახლადშექმნილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდი წარმოადგენს. ხომ არ ნიშნავს ეს სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური პასუხისმგებლობის მოხსნას უნივერსიტეტების მიმართ? პასუხი ამ კითხვაზე დღეს ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტებიდან გამომდინარე არ არსებობს.

უნივერსიტეტების მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა

მისიის განსაზღვრა უნივერსიტეტისათვის სავალდებულო გახდა მისიაზე დაფუძნებული ინსტიტუციური აკრედიტაციის კრიტერიუმების დამტკიცების შემდეგ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 20 ნოემბერის ბრძანებით №1030 „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების, სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის წესისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის საფასურის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“. ეს წესი საერთოა ნებისმიერი სამართლებრივი სტატუსის მქონე უსდ–სათვის და არ შეცვლილა ინსტიტუციური აკრედიტაციის ავტორიზაციით ჩანაცვლების შემდეგაც.

„მუხლი 3. ინსტიტუციური აკრედიტაციის შინაარსი

1. ინსტიტუციური აკრედიტაცია ამ დებულებით დადგენილი სტანდარტების გამოყენებით ადგენს დაწესებულების შესაბამისობას მის მისიასთან.

2. დაწესებულების მისია შეესაბამება საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს და არის დაწესებულების თვითმყოფადობისა და სახის გამომხატველი.

სამწუხაროდ უცნობია, 2009 წლამდე რამდენ უნივერსიტეტს ჰქონდა შემუშავებული საკუთარი მისია, მაგრამ ვერც კვლევის მომენტში ვერ მოიძებნა სათანადო ვებგვერდებზე ყველა უნივერსიტეტის მისია. ხშირ შემთხვევაში გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის მიზნები და ამოცანები, რომლებიც ერთმანეთისგან პრაქტიკულად არ განსხვავდება (მიზნების კონკრეტიზაციის დონის გარდა – იხ. დანართი III).

გამოქვეყნებული მასალების მიხედვით ყველა უნივერსიტეტის მისიაა კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების დამკვიდრება და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობა. საინტერესოა, რომ რეგიონებში განთავსებული უნივერსიტეტებიდან (ქუთაისი და თელავი) მხოლოდ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ერთადერთხელ ნახსენები მიზნების ჩამონათვალში „რეგიონისა და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინება სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში“.

მისიების გაცნობისას რთულია უნივერსიტეტების სპეციფიკის გამოყოფა – გამონაკლისია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რომლის მიზნებსა და ამოცანებში აქცენტი შესაბამისად მედიცინისა და საინჟინრო მეცნიერებათა სფეროს სპეციალისტების მომზადებაზე კეთდება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ (მუხლი 10, ლ) ქვეპუნქტი) განისაზღვრა, რომ: „შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს“.

სტრატეგიული განვითარების გეგმა იძებნება მხოლოდ სამი უნივერსიტეტის ვებგვერდზე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (2011–2017 წლებისათვის), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (2011–2017 წლებისათვის) და საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტი (2009–2013 წლებისათვის). ამ უკანასკნელის შემთხვევაში სტრატეგიული განვითარების გეგმა ოთხწლიანია.

დანარჩენი უნივერსიტეტების შემთხვევაში ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ან რომელიმე კონკრეტული სამსახურის განვითარების სტრატეგია (მაგ. ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიული განვითარების გეგმა ივთსუ და თსუ–ს შემთხვევაში), ან არსებობს მინიშნება ასეთი გეგმის არსებობის თაობაზე, მაგრამ თავად ბმული ცარიელია (სოხუმის უნივერსიტეტი¹⁵).

ცხადია, მისიასთან შედარებით სტრატეგიული განვითარების გეგმა უფრო ინფორმაციული უნდა იყოს – უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების სტანდარტული გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს: მიზნები, ამოცანები, არსებული მდგომარეობისა და რესურსების ანალიზი, სამოქმედო გეგმა ვადების, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურებისა და რესურსების მითითებით, მონიტორინგისა და შეფასების გეგმა.

განხილული დოკუმენტებიდან რეალურად მხოლოდ თსუ–ს სტრატეგიული გეგმა აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, მაშინ როდესაც, მაგალითად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემთხვევაში სტრატეგიული განვითარების გეგმა უფრო სურვილების ჩამონათვალს წააგავს (გაუგებარია, ვინ, როდის და რა რესურსებით უნდა განხორციელოს სასურველი ცვლილებები) (იხ. დანართი IV).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ დოკუმენტში არაა დასახული სამართლებრივი სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებული ღონისძიებები, რაც სრულიად გასაგებია, რამდენადაც სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავება და დამტკიცება უნივერსიტეტების სამართლებრივი სტატუსის ცვლილებამდე განხორციელდა.

უნდა ველოდოთ, რომ ა(ა)იპ სტატუსის მოპოვება უნივერსიტეტებს შესაბამისი ახალი სტრატეგიის შემუშავებისაკენ (და განხორციელებისაკენ) უზიძღვებს. ამავე დროს დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტები ამჟამად პრაქტიკულად სამოქმედო გეგმის გარეშე ფუნქციონირებენ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც ერთ უნივერსიტეტში სამართლებრივი სტატუსის შეცვლა არ გამხდარა საჯარო განხილვის საკითხი – პროფესორთა და სტუდენტთა ჩართულობა ლიმიტირებული იყო აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებზე მოკლე განხილვებით.

¹⁵ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ნოემბრის დადგენილებაში ვკითხულობთ „დამტკიცებული იქნას სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, იურიდიული ფაკულტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, განათლების ფაკულტეტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის) სტრატეგიული განვითარების გეგმები; (იხ. დანართი)“ მაგრამ დანართი არ არის. ასევე აკადემიური საბჭოს 2011 წლის 5 მაისის № 109 დადგენილებაში ვკითხულობთ, „დამტკიცებული იქნას სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების (2011 – 2016წწ.) გეგმა (იხ. დანართი); მაგრამ დანართი კვლავ არ არის.

სტრუქტურა

შვიდივე საკვლევ უნივერსიტეტს აქვს სტანდარტული, უმაღლესი განათლების შესახებ კანონით სსიპ-ებისათვის განსაზღვრული შიდა სტრუქტურა (აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, სტუდენტური თვითმმართველობა, ფაკულტეტების საბჭოები, ბიბლიოთეკა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური), რომელიც ასევე ასახავს უნივერსიტეტების პროფილს (ასე მაგალითად, სამედიცინო უნივერსიტეტის სტრუქტურაში შედის კლინიკები). სტრუქტურული ცვლილებები, რომელთა თავისუფლებასაც ა(ა)იპ სტატუსი გულისხმობს, კვლევის მომენტისათვის არ განხორციელებულა.

ყველა უნივერსიტეტში არსებობს სტრუქტურული ერთეულები (სხვადასხვა დასახელების, ხშირად კომბინირებული), პასუხისმგებელი ისეთ სფეროებზე, როგორიცაა

- სასწავლო პროცესი
- მეცნიერება
- სტუდენტთა მომსახურება
- საერთაშორისო ურთიერთობები
- საზოგადოებასთან ურთიერთობა
- ფინანსები
- სამართლებრივი საკითხები
- ადამიანური რესურსების მართვა
- მატერიალური რესურსების მართვა

განსხვავებული სტრუქტურები გვხვდება:

- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი – ეთიკის კომიტეტი (ფუნქცია გაუგებარია)
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – უზუცესთა საბჭო (ფუნქცია გაუგებარია)
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – უწყვეტი განათლების ცენტრი

კურსდამთავრებულებთან კავშირისათვის სპეციალური სტრუქტურული ერთეულები არც ერთ საკვლევ უნივერსიტეტში არ არსებობს, მაგრამ თსუ-ს ვებგვერდზე იძებნება ინფორმაცია alumni ასოციაციის ჩამოყალიბების შესახებ, თუმცა გაუგებარია, რა მიზნებს ისახავს ეს გაერთიანება.

კვლევის ფარგლებში დადგინდა სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის კონკრეტული ფუნქციები. ცხადია, შეუძლებელი იყო მათი საქმიანობის ეფექტურობის შეფასება. ასევე შეუძლებელი იყო ამ დეპარტამენტებში/განყოფილებებში მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის შეფასება, თუმცა თითქმის ყველა უნივერსიტეტში არსებობს (გამოქვეყნებულია ვებგვერდზე) სათანადო სამსახურებში მომუშავე პერსონალის ფუნქციები.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არც ერთ უნივერსიტეტში ჯერჯერობით არ განხორციელებულა სტრუქტურული ცვლილებები სამართლებრივი სტატუსის შეცვლის შემდეგ. აგრარულმა უნივერსიტეტმა, რომელმაც სტატუსი ყველაზე უფრო ადრე, 2011 წლის მარტში შეიცვალა, ასევე უცვლელი დატოვა შიდა სტრუქტურა. ანუ ამჟამად შენარჩუნებულია სსიპ-ებისათვის კანონით დადგენილი შიდა საუნივერსიტეტო სტრუქტურები.

ერთადერთი განხორციელებული ცვლილებაა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცება (ა(ა)იპ მოთხოვნების შესაბამისად), მაგრამ რადგანაც შვიდივე საკვლევი უნივერსიტეტში ამ თანამდებობაზე აქამდე კანცლერის მოვალეობის შემსრულებელი პირები¹⁶ დაინიშნენ, რაიმე პრინციპულ სიახლეზე საუბარი ზედმეტია. ანუ ხელმძღვანელი პირის ჩანაცვლება მხოლოდ სამართლებრივად, მაგრამ არა პიროვნულ დონეზე მოხდა. ამავდროულად უნდა გავითვალისწინოთ, რომ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი (მუხლი 24) განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილებას და ერთადერთი განსხვავება სსიპ და ა(ა)იპ სტატუსის მქონე უსდ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ფუნქციებში არის ანგარიშვალდებულების წესი: სსიპ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია უსდ-ს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე, ხოლო ა(ა)იპ უსდ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - რეგენტთა საბჭოსა და უსდ-ს კოლეგიალური ორგანოს წინაშე.

¹⁶ სსიპ-ში კანცლერს ფარული კენჭისყრით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინების საფუძველზე (კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 23).

აკადემიური საქმიანობა

სასწავლო პროცესი

სასწავლო პროგრამების ანალიზისას შემოვიფარგლებით მხოლოდ უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლებით (ანუ წინამდებარე ქვეთავი არ მოიცავს უნივერსიტეტებში განხორციელებულ მოსამზადებელ და I, II და III საფეხურის პროფესიულ პროგრამებს). საკვლევი უნივერსიტეტების ვებგვერდებზე ინფორმაცია მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი (იგთსუ, საუ: ყველა ფაკულტეტზე განხორციელებული პროგრამები არაა ჩამოთვლილი).

ცხრილი 3:

საგანმანათლებლო პროგრამები

	პროფე- სიული	ერთ- საფეხურიანი	B	M	D	უცხო- ენოვანი
თსუ		3	58	71	38	18
თსსუ		2	6	9	5	2
აწსუ	18	2	60	73	31	
საუ	12		13	5		
იგთსუ			13 ყველა ფაკულტე- ტის მონაცემი არ არის	5 ყველა ფაკულტე- ტის მონაცემი არ არის	3 ყველა ფაკულტე- ტის მონაცემი არ არის	
სტუ	13 ყველა ფაკულტე- ტის მონაცემი არ არის		13 ყველა ფაკულტე- ტის მონაცემი არ არის	48 ყველა ფაკულტე- ტის მონაცემი არ არის	8 ყველა ფაკულტე- ტის მონაცემი არ არის	11
სუ			27	23	10	
სულ	43	7	190	234	95	31

უცხოენოვანი პროგრამების შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტების ვებგვერდებზე არ იძებნება (გამონაკლისია მხოლოდ თსუ) – ამიტომ ორიენტირად აღებული იქნა NAEC –ის ინფორმაცია ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში გამოცხადებული პროგრამების შესახებ.

უცხოენოვან პროგრამებზე სწავლების ენა არის: ინგლისური (16 პროგრამა, უმრავლესობა მაგისტრატურის საფეხურზე), რუსული (9 პროგრამა – ყველა ბაკალავრიატის საფეხურზე), გერმანული (4 პროგრამა სამივე საფეხურზე), ფრანგული (2 პროგრამა – ბაკალავრიატი და დოქტორანტურა). მხოლოდ თსუ-ს გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამები ოთხივე ზემოჩამოთვლილ ენაზე.

2011 წლის შემოდგომაზე მიმდინარე პირველ პროგრამულ აკრედიტაციაში ხუთი უნივერსიტეტი მონაწილეობდა (სტუ-ს და სუ-ს გარდა). კვლევის მომენტისათვის დასრულებული იყო ყველა ამ უნივერსიტეტში საბაკალავრო და ერთსაფეხურიანი პროგრამების პროგრამული აკრედიტაცია. ორ უნივერსიტეტში (იგოსუ და საუ) რამდენიმე პროგრამამ ვერ დააკმაყოფილა აკრედიტაციის პირობები, მაგრამ განმეორებითი წარდგენის შემდეგ აკრედიტაცია მინიჭებული იქნა (ერთი პროგრამა საუ-ში და ოთხი იგოსუ-ში).

პროფილიდან გამომდინარე, საუ და სტუ იმ უნივერსიტეტთა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებიც მთელი რიგი საგანმანათლებლო პროგრამების მონოპოლისტები არიან საქართველოში.

მეცნიერება

საქართველოში ბოლო წლებში განხორციელებულ უმაღლესი განათლების რეფორმას წესით მნიშვნელოვნად უნდა გაეზარდა უნივერსიტეტების სამეცნიერო პოტენციალი მეცნიერებათა აკადემიის სისტემის კვლევითი ცენტრების/ინსტიტუტების გაერთიანების ხარჯზე¹⁷. სინამდვილეში განხორციელებულ ადმინისტრაციულ გაერთიანებას არ მოჰყვა სათანადო დაფინანსება - ანუ უნივერსიტეტებმა მიიღეს დამატებითი პერსონალი, ხშირ შემთხვევაში შენობა-ნაგებობები და მათში განთავსებული აღჭურვილობა, ბიბლიოთეკები და ა.შ., მაგრამ არ მიიღეს სამეცნიერო კვლევებისათვის აუცილებელი ფინანსური სახსრები.

რეორგანიზაციის შედეგია უნივერსიტეტების ხვედრითი წილის ცვალებადობა ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში როგორც საგრანტო პროექტების წარდგენის, ასევე ამ პროექტების დაფინანსების მხრივ:

- ✓ 2009 წელს საქართველოს სამეცნიერო ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტების 40% უნივერსიტეტების მიერ იყო წარდგენილი დამოუკიდებლად ან სხვა სამეცნიერო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით.
- ✓ 2010 წელს საგრანტო კონკურსი არ ჩატარებულა.
- ✓ 2011 წლის საგრანტო კონკურსის შედეგები გამოქვეყნდა 2012 წლის თებერვალში - ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების 85% უნივერსიტეტების მიერ იყო წარდგენილი დამოუკიდებლად ან სხვა სამეცნიერო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით; ანუ უნივერსიტეტების წილი პრაქტიკულად გაორმაგდა.

ცალსახა ლიდერი როგორც წარდგენილი, ასევე დაფინანსებული სამეცნიერო პროექტების მხრივ არის თსუ; ყველა საკვლევ უნივერსიტეტს აქვს მიღებული ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთი გრანტი მაინც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული პროექტების დაფინანსებაზე გამოყოფილი მაქსიმალური თანხა 50 000 ლარით განისაზღვრება¹⁸, რაც მეცნიერების სერიოზული განვითარების წინაპირობას ნამდვილად ვერ ქმნის. ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებგვერდზე არ იძებნება ინფორმაცია საგრანტო კონკურსების საერთო ბიუჯეტის შესახებ 2011 და 2012 წლებში. 2010 წლის ანგარიშის თანახმად ფონდის ბიუჯეტი

¹⁷ დეტალური ინფორმაცია უნივერსიტეტებთან გაერთიანებული კვლევითი ინსტიტუტების შესახებ მოცემულია VII დანართში

¹⁸ სამეცნიერო გრანტის უნიფიცირებული ფორმატი (ერთიდაიგივე თანხა როგორც საბუნებისმეტყველო, ისე მაგ. ჰუმანიტარული სფეროს კვლევებისათვის) ასევე არაა გამართლებული.

იყო 22 433 710 ლარი, საიდანაც 7 % მოხმარდა ადმინისტრაციულ ხარჯებს, ხოლო 93% – პროგრამებსა და გრანტებს.

სამეცნიერო პროექტების დაფინანსებაზე გამოყოფილი თანხები სულ რამდენიმე უნივერსიტეტის ბიუჯეტში იძებნება და საერთო ბიუჯეტის მაქსიმუმ 4%-ს წარმოადგენს (იხ. დანართი VI). სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მთავარი წყაროა ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ისევე როგორც საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.

სამწუხაროდ, შეუძლებელია შვიდი უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის შედარება როგორც მათი განსხვავებული პროფილის სხვაობის, ასევე ხელმისაწვდომი (გამოქვეყნებული) ინფორმაციის სიმწირის გამო.

დაფინანსებული პროექტების, გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობის მიხედვით ცალსახად ლიდერობს თსუ - მაგრამ შედარება სხვა უნივერსიტეტებთან და რაიმე სახის დასკვნების გამოტანა არარელევანტურია.

ვერ მოიძებნა ინფორმაცია, თუ რამდენადაა აკადემიური პერსონალი ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში - თუმცა ყველა უნივერსიტეტში არსებული შრომითი ხელშეკრულება აკადემიურ პერსონალთან ავალდებულებს მათ აწარმოონ სამეცნიერო კვლევები. სამეცნიერო პროექტები მნიშვნელოვანი კრიტერიუმიაა ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალის შერჩევისას, მაგრამ რეალურად რა ვითარებაა, არ ჩანს.

უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული არც ერთი კვლევა არ ეხება სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას. რამდენად აისახება ეს სადოქტორო პროგრამების ანალიზისას, უცნობია. ასევე გაუგებარია, რას ეფუძნება ახალი სადოქტორო პროგრამების ამოქმედება - მცირე გამონაკლისების გარდა ვერ მოიძებნა კავშირი სადოქტორო პროგრამებსა და მიმდინარე კვლევებს შორის.

სტუდენტები

სტატისტიკური მონაცემებით (2010 წლიური ანგარიში www.geostat.ge), საქართველოში 2010 წელს ირიცხებოდა 102 710 სტუდენტი, ანუ საკვლევ უნივერსიტეტებში სწავლობს საქართველოს სტუდენტების 57%.

ცხრილი 4:

სტუდენტების რაოდენობა და მათი დასაქმების მაჩვენებლები საკვლევ უნივერსიტეტებში
(არ არის ნაჩვენები ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის სტუდენტთა რიცხოვნობა)

უსდ	პროფესორი	ერთსაფეხურიანი	BSc/BA	MSc/MA	PhD	სულ	უცხოელი სტუდენტები	დასაქმების მაჩვენებელი
ოსუ	89	633	16322	2478	846	20368	300	NA
ოსსუ	255	4396	1565	252	119	6587	836	90% ფარმაცია NA
აწსუ	386	465	5822	590	96	7359	17	30%
საუ	53	0	2557	129	61	2800	1	NA
იგოსუ	133	5 (მილევადი)	1397	141	75	1751	15	NA
სტუ	2154	0	12977	1142	866	17139	0	50-60%
სუ	0	0	2186	249	82	2517	10	5-43% 2007-2008
სულ						58 521		

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები მოწოდებულია უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ და ასახავს მხოლოდ მიახლოებით მონაცემებს - არც ერთი უნივერსიტეტი არ ახორციელებს დასაქმების აღრიცხვას.

სტუდენტური თვითმმართველობა ყველა საკვლევ უნივერსიტეტში მოქმედებს კანონთან შესაბამისად. თვითმმართველობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები ძირითადად გასართობ (კულტურული, სპორტული) ხასიათს ატარებს. სტუდენტები ყველა უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში არიან. არც ერთი უნივერსიტეტის ვებგვერდზე არ იძებნება ინფორმაცია სხვა სტუდენტური ორგანიზაციების შესახებ, თუმცა სხვა საჯარო წყაროებიდან (სოციალური ქსელები, საგაზეთო სტატიები) ცნობილია, რომ იგივე ოსუ-ში არსებობს სულ მცირე ორი სტუდენტური გაერთიანება, რომლებიც საკმაოდ სერიოზულად უპირისპირდებიან თვითმმართველობას.

ინფორმაცია სტუდენტთა რეკრუტირების განსხვავებული მეთოდების შესახებ ვებგვერდებზე არ იძებნება - ყველა საკვლევ უნივერსიტეტი ტრადიციულ “ღია კარის დღეს” მიმართავს - განსხვავებულია 2012 აკადემიური წლისათვის აგრარული უნივერსიტეტის სტრატეგია, რომელსაც ის თავისუფალ უნივერსიტეტთან ერთად ახორციელებს (საზაფხულო სკოლები).

ექვსი უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებდა თბილისში 2011 და 2012 წლებში გამართულ განათლების კვირეულში (აწსუ-ს გარდა).

სტუდენტთა ჩარიცხვების და კონკურსების მაჩვენებლები შესწავლილია ბოლო სამი წლის მონაცემებზე დაყრდნობით და მოცემულია მე-5 ცხრილში.

ცხრილი 5:

სწავლების პირველ საფეხურზე არსებული კონკურსის მაჩვენებლები

უსდ	2010		2011		2012
	ბაკალავრიატზე გამოცხადებული ადგილები	შევსება პირველადი ჩარიცხვებით	ბაკალავრიატზე გამოცხადებული ადგილები	შევსება პირველადი ჩარიცხვებით	ბაკალავრიატზე გამოცხადებულ ადგილები
თსუ	2510	100%	3850	100%	4550
სტუ	5850	54.55%	4755	59.2%	4205
საუ	1230	43%	690	26.95%	500
თსსუ	1000	100%	1095	96.4% ²	1060
აწსუ	2035	66%	2800	59.9%	2390
სუ	460	100%	460	100%	460
იგთსუ	563	73%	751	56%	800

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ტექნიკური და აგრარული პროფილის პროგრამებზე ყველაზე დაბალი კონკურსი იყო, ხოლო “არაპროფილური ფაკულტეტები” იგივე სტუ-ში, რომლებიც სტუდენტებს თავაზობდნენ პროგრამებს სამართალსა და ბიზნესის მართვაში, 100%-ით ივსებოდა პირველადი ჩარიცხვებით.

ბაკალავრიატზე გამოცხადებული სასწავლო ადგილების დინამიკა უნივერსიტეტებში ცალკე კვლევის საკითხია. არ იქმნება შთაბეჭდილება, რომ უნივერსიტეტები ყურადღებით ეკიდებოდნენ აბიტურენტთა კონკურსის საკითხს: თუ თსუ-ს შემთხვევაში გასაგებია სასწავლო ადგილების მუდმივი ზრდა, იგთსუ-ს შემთხვევაში იგივე ტენდენცია ბევრ კითხვას აჩენს. არც ერთი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ან სტრატეგიული განვითარების სამსახური არ ატარებს სათანადო კვლევებს (ყოველ შემთხვევაში ეს ინფორმაცია ვებგვერდებზე არ იძებნება) იმისათვის, რომ გაიგოს, თუ ვინ წარმოადგენს ამ უნივერსიტეტების სამიზნე ჯგუფს, რატომ ირჩევენ (ან არ ირჩევენ) აბიტურენტები მოცემულ უნივერსიტეტს და როგორ უნდა მოხდეს რეაგირება არსებულ სიტუაციაზე.

სამწუხაროდ არ არსებობს მსგავსი ინფორმაცია მაგისტრატურაში სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ.

პერსონალი

აკადემიური პერსონალის შერჩევა შვიდივე საკვლევ უნივერსიტეტში ხორციელდება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

თუ გავიხსენებთ ა(ა)იპ სტატუსით მინიჭებულ უფლებებს, უსდ-ს შეუძია თავად განსაზღვროს საშტატო განრიგი და არ შეათანხმოს ის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. მე-6 ცხრილში მოყვანილი მონაცემები ჯერჯერობით სამინისტროსთან შეთანხმებულ საკადრო ვითარებას ასახავს. საინტერესოა ე.წ. შტატში არსებული და მოწვეული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა (იხ. ცხრილი 7). ცხადია, სხვადასხვა ფაკულტეტზე, ისევე როგორც სწავლების სხვადასხვა საფეხურზე, თანაფარდობა განსხვავებულია. გაუგებარია, თუ რას ეფუძნება აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალის დასაქმების პოლიტიკა – ამ სფეროში კვლევები პრაქტიკულად არ არსებობს.

მონაცემები აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის შესახებ უნივერსიტეტებში სისტემატურად არ გროვდება. მე-7 ცხრილში გამოქვეყნებული მონაცემები ვაკანტურ თანამდებობებზე არსებული კონკურსის შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ მოწოდებული მიახლოებითი ციფრებია. სხვადასხვა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსი განსხვავებულია - ცხრილში გასაშუალოებული მონაცემებია გამოქვეყნებული.

უცხოელი პროფესორები არც ერთ საკვლევ უნივერსიტეტში არ მუშაობენ ე.წ. საშტატო განაკვეთზე - ანუ თანამდებობის დაკავებისათვის კონკურსში მონაწილეობას არ იღებენ, თუმცა არსებული კანონმდებლობით ეს არ იკრძალება. არც ერთი უნივერსიტეტი აკადემიურ თანამდებობების კონკურსს საერთაშორისო მასშტაბით არ აცხადებს. როგორც წესი, უცხოელ პროფესორთა დასაქმება დროში შეზღუდული პერიოდით და საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში ხორციელდება (თსუ, თსსუ).

ცხრილი 6:

აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაცია

უსდ	აკადემიური პერსონალი	მოწვეული	ადმინ. პერსონალი	QA პერსონალი
თსუ	687	935	1118	27
თსსუ	371	437	216	14
აწსუ	421.5	256	270.5	22
საუ	83	122	159	2
იგთსუ	89	120	150	11
სტუ	1031	1010	636	33
სუ	175	140	156	9

ცხრილი 7:

დამატებითი ინფორმაცია პერსონალის შესახებ

უსდ	თანაფარდობა აკად/ადმინ*	თანაფარდობა სტუდენტი/აკად**	აკადემიური კონკურსი
თსუ	0.61 & 1.45	29.64 & 12.5	1/2; 1/5
თსსუ	1.7 & 3.7	17.75 & 8.15	1/5
აწსუ	1.55 & 2.5	17.47 & 10.87	1/3
საუ	0.52 & 1.29	33.73 & 13.65	1/4; 1/5
იგთსუ	0.59 & 1.4	19.67 & 8.37	1/2
სტუ	1.62 & 3.2	16.62 & 8.39	NA
სუ	1.12 & 2.01	14.4 & 8	1/2; 1/1.5

* & ** პირველი მონაცემები გათვლილია მხოლოდ შტატში არსებულ აკადემიურ პერსონალზე, ხოლო მეორე - შტატში არსებულ და მოწვეულ პერსონალზე ერთად. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რიგ უნივერსიტეტებში, ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა აღემატება აკადემიური პერსონალის რაოდენობას.

არც ერთ უნივერსიტეტს არ აქვს მონაცემები აკადემიური პერსონალის ასაკობრივი და გენდერული პროფილის შესახებ. არც ერთ უნივერსიტეტში არ მოქმედებს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლები კურსები (გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს თსუ, სადაც უწყვეტი განათლების ცენტრი გეგმავს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის სხვადასხვა სახის პროგრამების შეთავაზებას - მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ დაგეგმვის ეტაპზეა).

ფინანსები

უნივერსიტეტების დაფინანსების მოდელი ყველა შემთხვევაში ერთნაირია.

ვებგვერდზე მოძიებულ იქნა საკვლევი შვიდი ობიექტიდან მხოლოდ ოთხი უნივერსიტეტის ბიუჯეტი (გამოქვეყნებული არაა იგოსუ–ს, აწსუ–ს და საუ–ს ბიუჯეტები).

გამოქვეყნებული ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ (ძირითადად შემოსავლების ნაწილში) სხვადასხვა ფორმატშია მოცემული, რაც შედარებას ართულებს.

ცხრილი 8:

2012 წლის ბიუჯეტის პროექტი (შემოსავლები)

თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში

	ოსუ	სტუ ¹⁹	ოსსუ	სუ
სასწავლო გრანტი	16,776,250 28.75%	29,626,625 94%	24,294,281 ²⁰ 76.11%	636,000 11.39%
ეკონომიკური საქმიანობა	22,535,490 38.61%	1,240,000 3.93%		55,000 0.99%
ეკონომიკური საქმიანობა (სწავლის ქირა)				3,700,000 66.25%
სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი დაფინანსება	1,300,000 2.22%		1,664,680 5.21%	
სახელმწიფო ბიუჯეტი (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები)	4,397,290 7.54%			
სახელმწიფო (პრეზიდენტის) სტიპენდია	501,000 0.85%			55,650 0.99%
2011 წლის გარდამავალი ნაშთი	6,000,000 10.28%		5,683,896 17.8%	1,138,470 20.38%
მოსალოდნელი გრანტები	6,852,228 ²¹ 11.74%	618,289 1.96%	275,939 0.86%	
სულ შემოსავალი	58,362,258	31,484,914	31,918,796	5,585,120

ცხრილი 9:

2012 წლის ბიუჯეტის პროექტი (ხარჯები)

თანხები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში

	ოსუ	სტუ ²²	ოსსუ	სუ
შრომის ანაზღაურება	24,792,331 43.46%	15,524,846 53.41%	10,915,020 35.5%	2,850,000 59%
საქონელი და მომსახურება (მათ შორის მოწვეული)	28,188,044 49.41%	11,496,605 39.55%	12,556,538 40.85%	1,695,100 35.13%

¹⁹ მოცემულია 2011 წლის ბიუჯეტი

²⁰ მოცემულია საგანმანათლებლო საქმიანობით მიღებული შემოსავალი

²¹ ოსუ მეტ საერთაშორისო გრანტს ელის, ვიდრე ეროვნულს

²² მოცემულია 2011 წლის ბიუჯეტი

პერსონალის შრომის ანაზღაურება) ²³				
გრანტები	1,133,538 1.99%			0
სუბსიდიები		1,153,221 3.97%		
სხვა ხარჯები	2,933,600 5.14%	891,000 3.06%		279,300
სულ ხარჯები	57,047,513	29,065,672	30,737,207	4,824,400

მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტები სხვადასხვა ფორმატშია მოცემული, მაინც საკმაოდ მკაფიოდ ჩანს, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი პირდაპირი სუბსიდიები უნივერსიტეტების დაფინანსების მხოლოდ მცირე (მაქსიმუმ 5% თსსუ-ს შემთხვევაში) წილია (ბევრ უნივერსიტეტს საერთოდ აღარ აქვს პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსება) და შემოსავლის ძირითადი წყარო საგანმანათლებლო საქმიანობის საფასურია.

ხარჯების ძირითადი ნაწილი პერსონალის ხელფასებზე ნაწილდება (მაქსიმუმ 59%, მაგრამ რეალურად უფრო მეტი, იმის გათვალისწინებით, რომ მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება ამ ციფრებში არ შედის).

გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშებიდან არ ჩანს, თუ რა წარმოადგენს უნივერსიტეტების “ეკონომიკურ საქმიანობას” - ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია მიღებული ფინანსური ავტონომიის კონტექსტში. ასევე ვერსად ვერ ვნახეთ საკუთრების მიმართ დამოკიდებულება და მისი რეგულირების მექანიზმი; სავარაუდოდ ეს საკითხები ახალი სამართლებრივი სტატუსის პირობებში უნდა დაზუსტდეს და აისახოს სათანადო დოკუმენტებში.

²³ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება მაგ. თსუ-ს ბიუჯეტის მიხედვით უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტის 27%-ს აღწევს, შესაბამისად 2012 წელს შტატსა და შტატგარეშე პერსონალის ხელფასებზე ბიუჯეტის 70% დაიხარჯება)

დასკვნა

წინამდებარე მონაცემების არასრულყოფილების გამო (საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის ნაკლებობა, ზოგადად, სტატისტიკური მონაცემების სიმწირე, სხვადასხვა უნივერსიტეტის მონაცემების შედარების არარელევანტურობა და ა.შ.) კვლევის შედეგად შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი სახის დასკვნის გამოტანა:

- ✓ უმაღლესი განათლების განვითარების ეროვნული სტრატეგიის არარსებობის პირობებში უნივერსიტეტები დამოუკიდებლად, საკუთარი რესურსების ფარგლებში მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობენ ფუნქციონირებას და განვითარებას, თუმცა ხშირ შემთხვევაში სათანადო სამოქმედო გეგმა საერთოდ არ გააჩნიათ (და ასეთის არსებობის შემთხვევაში მას უმეტესად ფორმალური ხასიათი აქვს და უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტობისათვის ეს დოკუმენტი პრაქტიკულად უცნობია). უნივერსიტეტების მუშაობა არ ემყარება გააზრებულ, დაგეგმილ სტრატეგიას და ძირითადად სპონტანურ ხასიათს ატარებს - პრობლემებზე რეაგირება მათი წარმოჩენის მიხედვით. მოქმედების ასეთი სტილი (modus operandi) სახიფათოა გაზრდილი ფინანსური დამოუკიდებლობის კონტექსტში.

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით რთულია მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად გააჩნიათ უნივერსიტეტებს სათანადო მმართველობითი რესურსი იმისათვის, რომ სწორად დაგეგმონ და განახორციელონ სამომავლო საქმიანობა მინიჭებული ფინანსური ავტონომიურობის პირობებში და საერთოდ, აცნობიერებენ თუ არა სტრუქტურული და საკადრო ცვლილებების საჭიროებას. სავარაუდოდ 2012 წლის ბოლოს უფრო ნათლად უნდა გამოიკვეთოს ა(ა)იპ სტატუსის მქონე უნივერსიტეტების სტრატეგია. სტრატეგიის არარსებობა არარელევანტურს ხდის სამართლებრივი სტატუსის შეცვლას და პირიქით, უფრო მეტ რისკთანაც შეიძლება იყოს დაკავშირებული – დაუგეგმავი მუშაობა ფინანსური ავტონომიურობის პირობებში გაკოტრების რისკს შეიცავს.

ლოგიკური იქნებოდა უნივერსიტეტების მხრივ, პირველ რიგში, საკუთარი მისიის გადახედვა და სულ მცირე, SWOT²⁴ ანალიზის ჩატარება, თუმცა ბოლო წლების მონაცემები გვიჩვენებს, რომ უნივერსიტეტები პრაქტიკულად არ ითვალისწინებენ (იხ. სტუდენტთა ჩარიცხვების დინამიკა, საკადრო მონაცემები, ბიუჯეტი) არსებულ რეალობას და არ ცდილობენ / ვერ ახერხებენ ცვლად გარემოსთან შეგუებას.

²⁴ ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი

ავტორის შესახებ

ლიკა ღლონტს განათლება მიღებული აქვს საქართველოსა (Master) და გერმანიაში (PhD). მისი აკადემიური გამოცდილება ძირითადად მოიცავს ნეირომეცნიერებას, თუმცა ბოლო თოთხმეტი წლის განმავლობაში მუშაობს განათლების სფეროში და არის პოსტ-საშუალო განათლების პოლიტიკის გამორჩეული ექსპერტი, როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონალურ დონეზე. ღლიკა ღლონტს მიღებული აქვს მონაწილეობა მრავალ პროექტში, რომელებიც ძირითადად ეხებოდა უმაღლეს, პროფესიულ და ზრდასრულთა განათლებას, საკანონმდებლო ჩარჩოების განვითარებას, სტრატეგიული დოკუმენტებისა და რეფორმის სამოქმედო გეგმების შემუშავებას. ის გახლდათ პირველი ვინც ინსტიტუციონალურ ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე მუშაობდა, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ის აგრეთვე იყო უმაღლესი განათლების ეროვნული აკრედიტაციის საბჭოს ხელმძღვანელი და არის რამდენიმე საერთაშორისო პუბლიკაციის ავტორი აღნიშნული თემის გარშემო. ღლიკა ღლონტი იყო სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტის, სახელისუფლებლო უწყებების და არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების ხელმძღვანელი და კოორდინაციას უწევდა მათ მუშაობას, თანამშრომლობდა ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან. 2009 წლიდან დრ. ღლონტი არის საქართველოში ტემპუსის ეროვნული ოფისის კოორდინატორი და პასუხისმგებელი ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობის ხელშეწყობაზე უმაღლესი განათლების სფეროში.

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტებები

- უსდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
- შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- ა(ა)იპ - არასამეწარმეო, არამომგებიანი იურიდიული პირი
- თსუ – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სტუ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- თსსუ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
- აწსუ – აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საუ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
- სუ – სოხუმის უნივერსიტეტი
- იგთსუ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წყაროები

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (2004) www.mes.gov.ge ნანახია 3.02.2012

უნივერსიტეტების დიდი ქარტია (1988) (<http://www.magna-charta.org/>) ნანახია 2.02.2012

Recommendation 1762 of the Parliamentary Assembly of the Council of Europe (30/06/2006). <http://assembly.coe.int/main.asp?Link=/documents/adoptedtext/ta06/erec1762.htm> ნანახია 5.02.2012

Berdahl, R. (2010) Thoughts About Academic Freedom, Autonomy and Accountability Workshop Proceedings, Sabancı University, Istanbul . 30 November 2010 http://www.magna-charta.org/library/userfiles/file/Berdahl_2010-Thoughts_Abou_Academic_Freedom,_Autonomy_and_Accountability.pdf ნანახია 19.02.2012

Estermann, Th. & Nokkala. T (2009) University Autonomy in Europe I: Exploratory Study

Estermann, Th., Nokkala, T. & Steinel, M. (2011) University Autonomy in Europe II: EUA's Autonomy Scorecard <http://www.eua.be/eua-work-and-policy-area/governance-autonomy-and-funding/projects/university-autonomy-in-europe/> ნანახია 6.02.2012

Milward, P. (2005) "What is a University?" SHEPHEARD-WALWYN (PUBLISHERS) LTD <http://lass.calumet.purdue.edu/cca/jgcg/downloads/WhatIsAUniversity.pdf> ნანახია 16.02.2012

Schlotter, M., Schwerdt, G. & Woessmann, L. (2008) The Future of European Education and Training Systems: Key Challenges and their Implications. *EENEE Analytical report # 3* http://www.eenee.de/portal/page/portal/EENEEContent/IMPORT_TELECENTRUM/DOCS/EENEE_A_R3.pdf ნანახია 4.02.2012

Stevenson, M. (2004) University Governance and Autonomy Problems in Managing Access, Quality and Accountability. Keynote Address to ADB Conference on University Governance, Denpasar, Indonesia <http://www.sfu.ca/pres/president/speeches/20045.html> ნანახია 10.02.2012

Watson, D. (2002) What is university for? <http://www.guardian.co.uk/education/2002/jan/15/highereducation.news> ნანახია 16.02.2012

Weber, L. (2006) University Autonomy, a Necessary, but not Sufficient Condition for Excellence. IAU/IAUP Presidents' Symposium. Chiang Mai, Thailand http://www.slideshare.net/IAU_Other_Conferences/chiang-mai-pres-luc-weber ნანახია 4.02.2012 <http://www.university-autonomy.eu/>

დანართები

- I. ინფორმაცია კვლევისათვის
- II. უნივერსიტეტების ავტონომიურობის კრიტერიუმები
- III. უნივერსიტეტების მისიები
- IV. სტრატეგიული განვითარების გეგმები²⁵
- V. სტრუქტურა²⁶
- VI. უნივერსიტეტების ბიუჯეტები²⁷
- VII. რეორგანიზაციის შედეგად უნივერსიტეტების შემადგენლობაში შესული კვლევითი დაწესებულებები²⁸

²⁵ დანართის სახით მოცემულია სამი უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა (66 გვერდი)

²⁶ იხილეთ გვ. 113

²⁷ იხილეთ გვ. 119

²⁸ იხილეთ გვ. 130

დანართი I

ინფორმაცია კვლევისათვის

წინამდებარე კვლევის დაგეგმვის ეტაპზე შემუშავდა იმ კითხვების ჩამონათვალი, რომლებიც უნივერსიტეტების არსებული მდგომარეობის შეფასების საშუალებას მოგვცემდა. რადგანაც ინფორმაციის მოპოვების ერთადერთი წყარო იყო ვებგვერდებზე გამოქვეყნებული მონაცემები, მთელ რიგ კითხვებზე სანდო პასუხების მიღება შეუძლებელი აღმოჩნდა. ქვევით სწორედ ეს კითხვებია ხაზგასმული.

ზოგადი სტატისტიკა:

- სტუდენტების რაოდენობა სწავლების საფეხურების მიხედვით
- აკადემიური პერსონალის რაოდენობა
- მოწვეული პერსონალის რაოდენობა
- ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა
- ფაკულტეტების რაოდენობა
- პროფილი
- აქვთ თუ არა ექსკლუზიური პროგრამები (რომლებიც სხვას არავის აქვს საქართველოში?)
- ადმინისტრაციის სტრუქტურა: რამდენად სტანდარტული (ანუ რამდენად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს)? აქვთ თუ არა რაიმე განსხვავებული სტრუქტურული ერთეულები (ან ფუნქციები).

უნივერსიტეტებზე მოთხოვნილების განსაზღვრა

- მისაღები გამოცდების დროს კონკურსის დახასიათება ფაკულტეტების მიხედვით (NAEC-ის ინფორმაცია, სასურველია ბოლო ორი-სამი წლის სტატისტიკა). დარჩა თუ არა თავისუფალი სასწავლო ადგილები?
- როგორია სტუდენტთა მობილობა უსდ-ებს შორის? ბევრი მსურველია ამ უნივერსიტეტებში გადმოსვლის? რომელ ფაკულტეტებზე? ბევრი სტუდენტი ტოვებს ამ უნივერსიტეტებს? რომელ ფაკულტეტებს? როგორია მობილობა უნივერსიტეტის ფარგლებში ფაკულტეტებს შორის?
- როგორია აკადემიური პერსონალის კონკურსები? რამდენი განაცხადი ერთ ადგილზე?
- როგორია მოთხოვნა კურსდამთავრებულებზე? არსებობს თუ არა მონაცემები, რამდენი საქმდება პროფილის მიხედვით დამთავრებიდან ერთი წლის განმავლობაში?
- რამდენი ბაკალავრი აგრძელებს მაგისტრატურაში სწავლას ამავე უნივერსიტეტში? ან რამდენი სხვა უმაღლესის ბაკალავრი აბარებს ამ უნივერსიტეტში მაგისტრატურაში? იგივე კითხვა დოქტორანტურის შესახებ. არის თუ არა განსხვავება ფაკულტეტების/პროგრამების მიხედვით?

ფინანსები

- საერთო ბიუჯეტი
- სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დაფინანსება (lump sum)
- მოპოვებული ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები (პროფილი – სასწავლო, სამეცნიერო, ადმინისტრაციისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე)

ოფიციალური „ხარისხი“

- მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ავტორიზაციისა და მიმდინარე პროგრამული აკრედიტაციის შედეგები

- რამდენი პირი მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ფაკულტეტების ჩათვლით)?

ინტერნაციონალიზაცია

- ინტერნაციონალიზაციის დონე (ხელშეკრულებები უცხოელ პარტნიორებთან, მონაწილეობა საერთაშორისო, მათ შორის გაცვლით პროგრამებში, უცხოენოვანი სასწავლო პროგრამები, უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა (if any) და ა.შ.)
- იწვევენ თუ არა საერთაშორისო ექსპერტებს – ადმინისტრაციის განვითარებაზე, სტრატეგიის შემუშავებაზე, აკადემიური პროცესების სრულყოფაზე

სტუდენტური თვითმმართველობა და სხვა ორგანიზაციები

- რა ტიპის ღონისძიებებს ახორციელებს სტუდენტური თვითმმართველობა?
- არის თუ არა სხვა სტუდენტური ორგანიზაციები? თუ კი, მათი პროფილი და საქმიანობის შედეგები

კურსდამთავრებულები

- აქვთ თუ არა კურსდამთავრებულების (alumni) საზოგადოებები ან უბრალოდ, კონტაქტები? თუ კი, რაში იყენებენ? მაგ. დამატებითი დაფინანსების მოპოვება?

LLL

- აქვთ თუ არა ზრდასრულთა განათლება? თუ კი, რამდენი კურსი, რამდენი მსმენელი?

სხვა სერვისები თემის/საზოგადოებისათვის

- მაგ. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების კონსულტირება და ა.შ.

დანართი II

“უნივერსიტეტების ავტონომიურობა”

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევა 2009-2011 წლებში, რომელიც ევროკავშირის 27 ქვეყანას მოიცავდა. <http://www.university-autonomy.eu/>

ავტონომიურობის კრიტერიუმები:

- ✓ ორგანიზაციული (ორგანიზაციული ავტონომია ნიშნავს უნივერსიტეტის უფლებას, თავად განსაზღვროს შიდა სტრუქტურა, კერძოდ აღმასრულებელი სამსახურები, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები და შიდა აკადემიური ერთეულები).
 - აღმასრულებელი სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის პროცედურა
 - აღმასრულებელი სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის კრიტერიუმები
 - აღმასრულებელი სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობიდან განთავისუფლების წესი
 - აღმასრულებელი სამსახურის ხელმძღვანელად მუშაობის ვადა
 - უნივერსიტეტის მმართველ სტრუქტურებში გარეშე პირთა არსებობა
 - აკადემიური სტრუქტურების ჩამოყალიბება/გაუქმების უფლება/საშუალება
 - სხვადასხვა (სამართლებრივი სტატუსის მქონე) სტრუქტურების შემქნის უფლება/საშუალება
- ✓ ფინანსური (ფინანსური ავტონომია ნიშნავს უნივერსიტეტის უფლებას, თავად განსაზღვროს შიდა ფინანსური სახსრების განკარგვა, რაც მას სტრატეგიული მიზნების რეალიზაციის საშუალებას აძლევს).
 - საჯარო დაფინანსების ციკლის ხანგრძლივობა
 - საჯარო დაფინანსების ტიპი
 - სესხის აღების უფლება/საშუალება
 - ნამატის (surplus) შენარჩუნების უფლება/საშუალება
 - შენობების მფლობელობაში ქონის უფლება/საშუალება
 - სწავლის საფასური უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურზე ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტებისათვის
- ✓ პერსონალის შერჩევის (პერსონალის შერჩევის ავტონომია ნიშნავს უნივერსიტეტის უფლებას, თავად განსაზღვროს ადამიანური რესურსების მართვის პრინციპები, რაც მოიცავს სამსახურში აყვანას, ხელფასებს, სამსახურიდან განთავისუფლებასა და დაწინაურების პროცედურებს).
 - აკადემიური პერსონალის სამსახურში აყვანის პროცედურა
 - ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში აყვანის პროცედურა
 - აკადემიური პერსონალის ხელფასები
 - ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასები
 - აკადემიური პერსონალის სამსახურიდან დათხოვნის წესები
 - ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურიდან დათხოვნის წესები
 - აკადემიური პერსონალის დაწინაურების/კარიერული ზრდის პროცედურები
 - ადმინისტრაციული პერსონალის დაწინაურების/კარიერული ზრდის პროცედურები
- ✓ აკადემიური (აკადემიური ავტონომიურობა ნიშნავს უნივერსიტეტის უფლებას თავად გადაწყვიტოს საგანმანათლებლო პოლიტიკა: სტუდენტთა მიღების წესი, პროგრამების

შინაარსი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სწავლების ენა და ა.შ)

- სტუდენტების რაოდენობა
- ბაკალავრიატში მიღების წესი
- მაგისტრატურაში მიღების წესი
- ახალი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი (აკრედიტაციის მოთხოვნა) სამივე საფეხურზე
- საგანმანათლებლო პროგრამების დახურვა
- სწავლების ენა სხვადასხვა საფეხურებზე
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შერჩევა
- აკრედიტაციის სააგენტოს თავისუფალი არჩევის უფლება
- საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის განსაზღვრა

დანართი III

უნივერსიტეტების მისიები

მოცემულია უნივერსიტეტების ვებგვერდებზე მოძიებული მასალა - იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის მისია არ იძებნებოდა, მოყვანილია წესდებაში განსაზღვრული მიზნები და ამოცანები.

უნივერსიტეტი	მისია/მიზნები და ამოცანები
<p style="text-align: center;">თსუ</p>	<p>მისია ვებგვერდზე არ იძებნება, არსებობს მხოლოდ ინგლისურენოვანი ვარიანტი:</p> <p>Our Mission By making the university more demand-driven for both the domestic and international markets, and better understanding how intellectual property can be utilized as an income source (e.g.: the commercialization of research activities and publications) the university hopes to create new products and services that will contribute to its sustainability and independence. The development of internationally recognized accreditation standards and PhD and certification programs, TSU hopes to attract more international students, as well as to allow Georgian students increased opportunities to study abroad. This also speaks to the development of western-thinking leaders in the country as well as the wider region by making the university more demand-driven for both the domestic and international markets and with the development of internationally recognized accreditation standards and programs.</p> <p>უნივერსიტეტის მიზნები წესდების მიხედვით უნივერსიტეტის მიზანია სტუდენტთათვის თანამედროვე სტანდარტის შესატყვისი განათლების მიცემა, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და მართლშეგნების მაღალი დონის მქონე მოქალაქეთა აღზრდა, ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია. დამოუკიდებლობა, აკადემიურობა, ფუნდამენტურობა და ინოვაციურობა, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები განსაზღვრავს უნივერსიტეტის სპეციფიკასა და თვითმყოფადობას.</p> <p>უნივერსიტეტის მიზანია:</p> <p>ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირება;</p> <p>ბ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;</p> <p>გ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;</p> <p>დ) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის</p>

	<p>მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;</p> <p>ე) საუნივერსიტეტო განათლებისა და კვლევითი პოტენციალის განვითარება;</p> <p>ვ) უნივერსიტეტში აკადემიური განათლების სამსაფეხურიანი სწავლების ციკლის (ბაკალავრიატი – მაგისტრატურა – დოქტორანტურა), დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, სამედიცინო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, უწყვეტი განათლების, სხვა საგანმანათლებლო პროგრამების, ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების, მაღალი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე ექსპერიმენტების განხორციელება, ინოვაციური კვლევებითა და სწავლებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარება;</p> <p>ზ) უნივერსიტეტის ინტეგრაცია ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში;</p> <p>თ) საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება;</p> <p>ი) სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა;</p> <p>კ) პერსონალის პროფესიული განვითარება;</p> <p>ლ) აკადემიური თავისუფლების დაცვა;</p> <p>მ) სტუდენტისა და პროფესორის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;</p> <p>ნ) ცოდნის გენერირება და გადაცემა, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;</p> <p>ო) უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.</p>
<p>თსსუ</p>	<p>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ოთხმოცწლიანი ისტორიის მქონე ავტონომიური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, მოწოდებული სწავლებისა და კვლევის გზით ცოდნის შექმნის, შეფასების და გავრცელებისათვის, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ფუნდამენტური და პრაქტიკული საფუძვლების შემუშავებისა და განვითარებისათვის.</p> <p>წესდების მიხედვით უნივერსიტეტის მიზნები და საქმიანობა</p> <p>1. უნივერსიტეტის ძირითადი მიზნებია:</p> <p>ა) მედიცინის და ფარმაციის სფეროში ეროვნული და მსოფლიო ღირებულების დამკვიდრების ხელშეწყობა;</p> <p>ბ) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა;</p> <p>გ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;</p> <p>დ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის განათლების შეთავაზება;</p> <p>ე) ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო მომსახურების პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისი სამედიცინო საქმიანობა;</p> <p>2. უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:</p>

	<p>ა) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელება; ბ) სამედიცინო საქმიანობა.</p> <p>3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:</p> <p>ა) უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღია ხასიათს; სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიურ თავისუფლებას;</p> <p>ბ) სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისებას;</p> <p>გ) უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციას;</p> <p>დ) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების და მათი რეალიზების მექანიზმების ჩამოყალიბებას;</p> <p>ე) სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის პროცესების ჰარმონიზებას, ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას და სრულუფლებიან მონაწილეობას;</p> <p>ვ) საქმიანობის ავტონომიურობას;</p> <p>ზ) ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით;</p> <p>თ) უნივერსიტეტის მართვისა და ამ დაწესებულებაში კონკურსების საჯაროობასა და გამჭვირვალობას;</p> <p>ი) სხვა ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მიზნების მიღწევას.</p>
<p>აწსუ</p>	<p>აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო მიმართულებების ფართო სპექტრით. უნივერსიტეტის მისიას წარმოადგენს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე; • პროფესიული განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა თანამედროვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით; • თანამედროვე და აქტუალური სამეცნიერო კვლევების წარმართვა; • სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინება; • საზოგადოებაში ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა. <p>წესდემის მიხედვით უნივერსიტეტის მიზნები</p> <p>1. უნივერსიტეტის ძირითადი მიზნებია:</p> <p>ა) უმაღლესი განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება;</p> <p>ბ) მეცნიერების განვითარება;</p> <p>გ) ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.</p> <p>2. თავისი მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტი:</p> <p>ა) ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების – საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს;</p> <p>ბ) ახორციელებს პროფესიული უმაღლესი განათლებისა და სახელობო განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს;</p>

	<p>გ) ახორციელებს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებს/კურსებს;</p> <p>დ) ახორციელებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების პრინციპს;</p> <p>ე) ღია კონკურსის საფუძველზე ახდენს მაღალი სამეცნიერო და პედაგოგიური პოტენციალის მქონე აკადემიური პერსონალის შერჩევას;</p> <p>ვ) ახორციელებს ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო კვლევებს;</p> <p>ზ) ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მეთოდების გამოყენებით უზრუნველყოფს სწავლებისა და კვლევის მაღალ ხარისხს;</p> <p>თ) ახდენს სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობას თავისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მეშვეობით;</p> <p>ი) ახორციელებს საგამომცემლო საქმიანობას, აქვეყნებს სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო კვლევების შედეგებს;</p> <p>კ) უზრუნველყოფს სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიურ თავისუფლებას;</p> <p>ლ) უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში;</p> <p>მ) უზრუნველყოფს მართვის საჯაროობასა და გამჭვირვალობას;</p> <p>ნ) ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთათვის სწავლის პირობების შექმნისათვის;</p> <p>ო) თანამშრომლობს საქართველოს და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;</p> <p>პ) ახორციელებს დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას;</p> <p>ჟ) კანონმდებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს სხვა ისეთი პირობების შექმნას, რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტის მიზნების განხორციელებას.</p>
საუ	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მისია არის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და ახალი ცოდნის შექმნა.
იგოსუ	<p>ვებვერდზე განთავსებული ბმული - მისია ცარიელია</p> <p>წესდების მიხედვით უნივერსიტეტის მიზნები და ამოცანები</p> <p>1. უნივერსიტეტის მიზნებია:</p> <p>ა) ფუნდამენტური მეცნიერებების კვლევის განვითარება. ფუნდამენტურ მეცნიერებებში მოიაზრება მეცნიერებები, რომელთა კვლევა შეიძლება გახდეს საქართველოში ეკონომიკური ზრდის, ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების, ბუნებრივი გარემოს დაცვისა და გონივრული გამოყენების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა და ქვეყანაში კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების და განვითარების საფუძველი;</p> <p>ბ) დანერგოს და განავითაროს მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების პრინციპი;</p> <p>გ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნის დაკმაყოფილება;</p> <p>დ) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;</p> <p>ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.</p> <p>2. თავისი მიზნების შესასრულებლად უნივერსიტეტი:</p> <p>ა) ახორციელებს დიპლომირებული სპეციალისტის, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს;</p>

	<p>ბ) ახორციელებს ინოვაციურ და ფუნდამენტურ კვლევებს;</p> <p>გ) ახორციელებს საგამომცემლო საქმიანობას, აქვეყნებს ორიგინალურ თუ თარგმნილ სახელმძღვანელოებსა და კვლევებს;</p> <p>დ) ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;</p> <p>ე) სწავლის, სწავლებისა და პროფესიული განვითარების მეშვეობით ემსახურება მეცნიერების განვითარებას თავისუფალ, დემოკრატიულ და სოციალური სამართლიანობის გარემოში;</p> <p>ვ) ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელებასა და განვითარებას;</p> <p>ზ) უზრუნველყოფს სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის აკადემიურ თავისუფლებას;</p> <p>თ) ახორციელებს დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას;</p> <p>ი) ახორციელებს პროფესიული მომზადების ან/და გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამებს/კურსებს;</p> <p>კ) აკადემიურ თანამდებობებზე მოიზიდავს წამყვან, დამწყებ თუ უკვე ცნობილ აქტიურ მეცნიერებს, რომელთაც ძალუძთ მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებითა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით წარმართონ სასწავლო პროცესი;</p> <p>ლ) ქმნის სტუდენტებისათვის სწავლის, კვლევისა და თვითგანვითარებისათვის მაქსიმალურად მიმზიდველ გარემოს;</p> <p>მ) თავისი ბიუჯეტის ნაწილს ახმარს სამეცნიერო კვლევების განვითარებას;</p> <p>ნ) ქმნის საუნივერსიტეტო სამეცნიერო კავშირებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ;</p> <p>ო) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.</p>
სტუ	<p>უნივერსიტეტი არის დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირებული ინჟინერიის, ტექნოლოგიების და კულტურის განვითარების კერა. მისი მისიაა ინოვაციებზე დამყარებული უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული კვლევების უზრუნველყოფა, მოქალაქეობრივი ცნობიერებისა და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებს შორის მაღალი სულიერების, ზნეობრიობის დამკვიდრებით.</p>
სუ	<p>უნივერსიტეტის მისიაა კაცობრიობის მთავარი ღირებულებების - განათლების მიღებისა და გავრცელების, უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული, მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების მქონე სხვადასხვა აკადემიური დონის კურსდამთავრებულების მომზადება, რომლებსაც ექნებათ მაღალზნეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის.</p> <p>უნივერსიტეტის ძირითადი მიზნებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მომავალი თაობების აღზრდა ქართული კულტურისა და ტრადიციების გათვალისწინებით; • მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება; • უნივერსიტეტში აკადემიური განათლების სამსაფეხურიანი სწავლების ციკლის (ბაკალავრიატი-მაგისტრატურა-დოქტორანტურა), უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადების, უწყვეტი განათლების, სხვა საგანმანათლებლო პროგრამების, ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების განხორციელება; • სტუდენტის ჩამოყალიბება ჭეშმარიტ მოქალაქედ, თავისუფლებისმოყვარე

	<p>და დემოკრატიულ პიროვნებად;</p> <ul style="list-style-type: none"> • ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია; • სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა; • საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივი სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება; • საუნივერსიტეტო განათლებისა და სამეცნიერო კვლევისათვის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება; • პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი პროფესიონალი სპეციალისტების აღზრდა და სამეცნიერო საქმიანობის წარმოება შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე საერთაშორისო არენაზე; • სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება. • უნივერსიტეტის უმთავრესი ამოცანაა განათლების ხარისხის მუდმივი ამაღლების პოლიტიკის შემუშავება და მართვის თანამედროვე მეთოდების ფართო გამოყენება საუკეთესო უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით.
--	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

დანართი IV

სტრატეგიული განვითარების გეგმები

- 1) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა 2011 – 2017 (თბილისი, 2010) – 35 გვერდიანი დოკუმენტი
- 2) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2009 – 2013 წლებისათვის (თბილისი, 2009) – 20 გვერდიანი დოკუმენტი
- 3) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა 2011 – 2017 (თბილისი, 2010) – 11 გვერდიანი დოკუმენტი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
სტრატეგიული გეგმა

2011 – 2017

თბილისი 2010



„PER TRADITIONES AD FUTURUM“

„ტრადიციებით მომავლისკენ“

ძვირფასო კოლეგებო, მეგობრებო, სტუდენტებო,



ჩვენ არ ვგეგმავთ ვიწინასწარმეტყველოთ უნივერსიტეტის მომავალი, ჩვენი მიზანია შევქმნათ აკადემიური მედიცინის მომავლის სტრატეგია.

ჩვენი მიზანი – სწავლების მაღალი ხარისხი და მაღალი კვალიფიკაციის ექიმის („მომავლის ექიმი“) მომზადება

ჩვენი იდეალები – უმაღლესი აკადემიური და პროფესიული იდეალები

ჩვენი საერთო მისია – ცოდნის გავრცელება, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება

ჩვენი პრინციპები – ზნეობრივი და ეთიკური პრინციპების დაცვა

ჩვენი მისწრაფება – ექიმის და მასწავლებლის მაღალი რეპუტაცია

ჩვენი ურთიერთობის წესი – ღია და დემოკრატიული

ჩვენი ძირითადი ფასეულობა – ურთიერთპატივისცემა, თანამშრომლობა და თანადგომა

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა თვითშეფასებას, საკუთარი ძალების რწმენას, აღიარებას, ვალდებულებებსა და დროულ ქმედებებს. აღნიშნული ვალდებულებების განხორციელება უნდა მოხდეს მისი თითოეული კომპონენტის მიხედვით, თანმიმდევრულად.

უნივერსიტეტის თითოეული დეპარტამენტი, ცენტრი, სკოლა, ინსტიტუტი თუ ოფისი უნდა ემსახურებოდეს კრეატიულობისა და კოოპერაციის განვითარებას. საჭიროა აკადემიური პერსონალის აზროვნების რეორიენტაცია, რათა მოვახდინოთ არსებული პროგრამებისა და ახალი მულტიდისციპლინარული მიმართულებების ინტეგრირება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მთავარი მიზანია ჩვენი შესაძლებლობების ტრანსფორმირება კონკრეტულ პროგრამებად, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ არსებული რესურსები. სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჯანდაცვის სფეროსთან, სამედიცინო კადრების სიძლიერესა და კომპეტენციასთან, აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ცენტრალურ მიმართულებად შეიძლება მოვიაზროთ საზოგადოების რეკრიაცია და აკადემიური წარმატებების წახალისება.

როგორც წესი, იმედებისა და ოცნებების რეალურ რელსებზე გადასვლა მოითხოვს უფრო ინტენსიურ და კოლაბორაციულ ძალისხმევას, აქედან გამომდინარე, ეროვნული სამედიცინო სკოლის და, ზოგადად, ექიმის პრესტიჟის ასამაღლებლად და დასაცავად, ქვეყნისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ, ვითანამშრომლებთ ყველასთან, კოლეგებთან, საზოგადოებასთან, მედიასთან, დაინტერესებულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და კერძო უწყებებთან, ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ვთვლი, რომ ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ აკადემიური მედიცინის მომავლის სტრატეგიული გეგმის განხორციელებას.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი

შინაარსი

I.	უნივერსიტეტის ხედვა, მისია, ძირითადი ღირებულებები.....	5
II.	უნივერსიტეტის შესახებ.....	7
III.	საუნივერსიტეტო გარემოს შეფასება.....	14
IV.	SWOT ანალიზი	22
V.	რესურსების ანალიზი.....	26
VI.	სტრატეგიული გეგმა	30
VII.	სამოქმედო გეგმა	32
VIII.	მონიტორინგისა და შეფასების გეგმა.....	36

I.

უნივერსიტეტის ხედვა, მისია, ძირითადი ღირებულებები**ხედვა და პრიორიტეტები**

თსუ-ს ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი ყოველმხრივ ცდილობს დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებს შორის, რაც თავისთავად გულისხმობს ეროვნული განათლების თანამედროვე ცივილიზაციის დონეს. აქედან გამომდინარე უნივერსიტეტის ხედვა და მოღვაწეობა ეყრდნობა ცივილიზაციის ისეთ მნიშვნელოვან და წამყვან პრიორიტეტებს როგორცაა:

- დემოკრატიულობა და მართვის გამჭვირვალობა
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება
- სამედიცინო განათლების და ბიოსამედიცინო კვლევების მაღალი ხარისხი
- უწყვეტი სამედიცინო განათლება და “განმანათლებელთა განათლება”

მისია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ოთხმოცწლიანი ისტორიის მქონე ავტონომიური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, მოწოდებული სწავლებისა და კვლევის გზით ცოდნის შექმნის, შეფასების და გავრცელებისათვის, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ფუნდამენტური და პრაქტიკული საფუძვლების შემუშავებისა და განვითარებისათვის. მისი წინამორბედის - თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის არსებობასთან ერთად, სამედიცინო უნივერსიტეტის და საქართველოში სამედიცინო განათლების ასაკი ცხრა ათეულ წელიწადზე მეტია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლება, კვლევა და სამედიცინო საქმიანობა ურთიერთისგან განუყოფელია. ეს უზრუნველყოფს აკადემიური პროცესის დაგეგმვას და წარმართვას საზოგადოების პროგრესულად ცვლადი მოთხოვნების და თანამედროვე სამეცნიერო ცოდნის შესაბამისად.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საქმიანობის განმსაზღვრელი და სახელმძღვანელო პრინციპებია:

- **ცოდნის და კვლევის აკადემიური ხარისხი,**
- **დემოკრატიულობა,**
- **მართვის ორგანოების არჩევითობა და გამჭვირვალობა,**
- **აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება.**

საქართველოს უმაღლესი განათლების მარეგულირებელი, საკანონმდებლო ჩარჩოების განუხრელმა დაცვამ, უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) ამოქმედებამ, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მარეგულირებელმა მექანიზმებმა,

სამედიცინო განათლების საერთაშორისო გამოცდილების ანალიზმა ობიექტურად განაპირობა დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების კოორდინაცია და ინტეგრაცია.

სამედიცინო განათლების კონტინუუმის ეს პრინციპი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი სარეზიდენტო და უწყვეტი პროფესიული განვითარების, სამედიცინო და პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების ფართომასშტაბური მოქმედებითაა გამოხატული. ეს ტრადიციული სამედიცინო და, საზოგადოდ, საზუნებისმეტყველო სპეციალობების პროგრესული განვითარების საწინდარია. ეს უკანასკნელი კი კონცეფციის “სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში” (Life Long Learning - LLL) რეალიზების წინაპირობაა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფუნდამენტური და კლინიკური მეცნიერებების სწავლება და კვლევა დიპლომამდელი საგანმანათლებლო, სამაგისტრო, სადოქტორო და დიპლომისშემდგომი განვითარების პროგრამებით, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით მიმდინარეობს კონკურენტული საერთაშორისო სამედიცინო განათლებისათვის აუცილებელი ძირითადი მიმართულებებით: დარგობრივი აკადემიური ცოდნა, ინფორმაციის მართვა, კლინიკური აზროვნება, პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მისიის, მისი განვითარების ამ ფილოსოფიის კვინტესენცია თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტთან - უნივერსიტეტთა დიდ ქარტიასთან მისი მიერთება იყო. საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის განვითარების ვექტორის განმსაზღვრელი ეს ისტორიული მოვლენა 2005 წლის სექტემბერში ბოლონიის უნივერსიტეტში განხორციელდა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ერთადერთი ქართული უნივერსიტეტი იყო აღნიშნულ დეკლარაციაზე ხელმომწერ 26 უნივერსიტეტს შორის. ეს ფაქტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია მსოფლიო და ევროპის საგანმანათლებლო და კვლევითი სივრცის სრულუფლებიანი წევრობისკენ მიმავალ გზაზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სრულად აცნობიერებს და აღიარებს მის როლს ცოდნაზე დაფუძნებული სამოქალაქო, მაღალხნობრივი საზოგადოების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური მომავლის განსაზღვრაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის იდეალების დამკვიდრებაში, მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში.

II

უნივერსიტეტის შესახებ

ისტორია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უმაღლესი სამედიცინო განათლების ოთხმოცწლიანი ისტორიის მქონე ძირითადი კერაა საქართველოში. აქ თავმოყრილია საქართველოს სამედიცინო პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების საუკეთესო ნაწილი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (წარსულში ინსტიტუტი), დასაბამს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იღებს.

1918 წლის 27 თებერვალს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაადასტურა სამკურნალო ფაკულტეტის შექმნის აუცილებლობა. 17 ივნისს იმავე საბჭომ „ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების“ თავმჯდომარის სპირიდონ ვირსალაძის ხელმძღვანელობით, მიიღო გადაწყვეტილება, რომ სექტემბრის თვეში გახსნილიყო საბუნებისმეტყველო-სამკურნალო და მათემატიკური ფაკულტეტი. 1919 წლის 9 აპრილს უნივერსიტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, მანამდე ერთად არსებული საბუნებისმეტყველო-სამკურნალო და მათემატიკური ფაკულტეტი გაიყო ცალკეულ ფაკულტეტებად. წლების მანძილზე პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობის და მათი პროფესიონალიზმის ზრდის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა სამკურნალო ფაკულტეტის გარდაქმნა დამოუკიდებელ ერთეულად და მისი ჩამოყალიბება ინსტიტუტად. 1930 წლის 10 ივნისს განხორციელდა თბილისის უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და გაიხსნა საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1992 წელს კი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, მას მიენიჭა ავტონომიური უნივერსიტეტის სტატუსი და ჩამოყალიბდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტად.

ამ დღიდან მოყოლებული უნივერსიტეტი თავის აღსაზრდელებს ასწავლიდა და ასწავლის მედიცინის იმ “უნივერსალურ ენას”, რომელიც აკავშირებს კულტურებს, ერებსა და რასებს მთელს მსოფლიოში. ამ შემთხვევაში კი ექიმის პროფესიის ძირითად დანიშნულებას – მკურნალის ასპექტს – ემატება სიკეთის კეთების სურვილი, რაც კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის მას. თავისი არსებობის 80 წლის მანძილზე, რომელსაც უნივერსიტეტი აღნიშნავს 2010 წლის შემოდგომაზე თსსუ-მ სამედიცინო საზოგადოებას აჩუქა მაღალ კვალიფიციური პროფესიონალების მრავალრიცხოვანი არმია, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა იყო, არის და ყოველთვის იქნება ლეგენდა პროფესიონალიზმსა და ზნეობაზე.

უნივერსიტეტის საქმიანობის პრინციპები:

- დემოკრატიულობა
- მართვის ორგანოების არჩევითობა
- აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება
- ცოდნისა და კვლევების აკადემიური ხარისხი
- უწყვეტი პროფესიული სწავლების განვითარება

ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულები:

- ფაკულტეტები
- კლინიკები
- ინსტიტუტები და უმაღლესი სკოლები
- ცენტრები
- და სხვა სტრუქტურული ერთეულები

ფაკულტეტები:

- მედიცინის
- სტომატოლოგიის
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის
- ფარმაციის
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამების განსახორციელებლად უნივერსიტეტში შექმნილია საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო სკოლა;

ინსტიტუტები და ცენტრები:

- დიპლომისშემდგომი განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი;
- სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი
- ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი
- საოჯახო მედიცინის ცენტრი
- კლინიკური ჩვევების ცენტრი
- უცხო ენების შემსწავლელი ცენტრი
- სპორტისა და ხელოვნების ცენტრი
- აბიტურინტა მომზადების ცენტრი
- სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრი
- გამოცდების და უნდარ-ჩვევების შეფასების ცენტრი
- კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორია
- მასწავლებელთა (მკვლევართა) გადამზადების ცენტრი
- საგანგებო სიტუაციებზე სამედიცინო რეაგირების მართვის სწავლების ცენტრი

ინსტიტუტებისა და ცენტრების დანიშნულებაა სასწავლო-სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის წარმართვა განსაზღვრული მიმართულებით, უნივერსიტეტის მიზნების შესაბამისად. ინსტიტუტი (ცენტრი) მოქმედებს კანონმდებლობით, წესდებით და შესაბამისი დებულებით დადგენილი წესით.

საუნივერსიტეტო კლინიკები:

- ა. ალადაშვილის სახელობის #4 საუნივერსიტეტო კლინიკა
 - ა. ურუშაძის სახელობის თსსუ სტომატოლოგიური კლინიკა
 - თსსუ #2 სტომატოლოგიური კლინიკა
 - თსსუ #1 ბავშვთა სტომატოლოგიური პოლიკლინიკა
 - თსსუ გ. ჟვანიას სახ. პედიატრიის აკადემიური კლინიკა
- კლინიკის სტრუქტურა, მართვა, პასუხისმგებლობა და სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითხები რეგულირდება უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული კლინიკის დებულებით

ბიბლიოთეკა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ძირითადი ფუნქციაა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფა, სამეცნიერო მივლინების ხელშეწყობა, ნაბეჭდი და ელექტრონული რესურსების სრულყოფილი და მაღალკვალიფიციური მიწოდება თსსუ-ს სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, თანამშრომლებისა და სხვა მომხმარებლებისათვის.

ბიბლიოთეკის სტრუქტურა

- ბიბლიოგრაფიის განყოფილება უცხოური ლიტერატურის სექტორით
- დამუშავება დაკომპლექტების განყოფილება საცავით
- აბონემენტი სამკითხველო დარბაზით
- სამკითხველო დარბაზი
- დიპლომისშემდგომი სწავლების განყოფილება
- კატალოგი

ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ბეჭდური კატალოგი.

სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ:

- ანბანური კატალოგით.
- საგნობრივი კატალოგით.
- სისტემატური კატალოგით.
- დისერტაციების და ავტორეფერატების კატალოგებით.

გამომცემლობა

გამომცემლობა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს. მისი ძირითადი ამოცანებია:

- ბიოსამედიცინო დარგების მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევების მასლების გამოცემა და პოპულარიზაცია;
- ბეჭდვითი პროდუქციის მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე მომზადება და დროული გამოცემის უზრუნველყოფა;

- გამოსაცემი მასალის განხილვის, რევენზირების, კორექტირების და რედაქტირების ორგანიზება
- გამოსაცემი ლიტერატურის ხარისხიანი საინფორმაციო-კომპიუტერული მომსახურების უზრუნველყოფა

პერსონალი

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი

აკადემიური პერსონალი:

- სრული პროფესორი
- ასოცირებული პროფესორი
- ასისტენტ პროფესორი
- მოწვეული მასწავლებელი
- ლაბორანტები

სტუდენტები

2009-2010 სასწავლო წელს თსსუ-ში სტუდენტთა რაოდენობა შეადგენდა 4114, აქედან მედიცინის ფაკულტეტზე – 3226, სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე – 459, ფარმაციის ფაკულტეტზე – 508, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე – 111, ინგლისურენოვან ფაკულტეტზე – 119 სტუდენტი. საშუალოდ სტუდენტი/აკადემიური პერსონალის თანაფარდობა შეადგენს 1:10.

მიღწევები და წარმატებები

- ✓ 2002 - 2003 წლებში თსსუ-მ მონაწილეობა მიიღო ევროკომისიის «SOCRATES»-ის პროგრამის ფარგლებში – ხარისხის კულტურის პროექტში.
- ✓ ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა თსსუ-ს ინსტიტუციური შეფასება (დეტალური ინფორმაციის მისაღებად აღნიშნული პროექტში თსსუ-ს მონაწილეობის შესახებ იხ. ვებ. გვერდი www.eua.be)
- ✓ 2005 წლის 16 სექტემბერს თსსუ-მ ბოლონიაში ხელი მოაწერა უნივერსიტეტის დიდ ქარტიას რის საფუძველზეც თსსუ შეუერთდა ბოლონიის პროცესს და გახდა უნივერსიტეტების დიდი ქარტიის წევრი (**MAGNA CHARTA UNIVERSITATUM**)
- ✓ 2006 წლიდან თსსუ-ში შემოღებული იქნა ECTS-ზე დაფუძნებული შეფასების ახალი სისტემა რომელიც სრულად გამორიცხავს კორუფციის ან რაიმე სუბიექტივიზმის ელემენტებს. ამ მიზნის მისაღწევად თსსუ-ში შეიქმნა ერთიანი საგამოცდო ცენტრი, სადაც სტუდენტები აბარებენ კურსიდან კურსზე გადასაყვან და გამოსაშვებ გამოცდებს
- ✓ საქართველოს 6 წლიანი ინსტიტუციური აკრედიტაცია
- ✓ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და ინტეგრირებული კურიკულუმი
- ✓ NATO-ს პროექტი - „Health Sciences Online (HSO)” პროექტი. ითვალისწინებს ონლაინ ტექნოლოგიებზე დამყარებული განათლების დანერგვასა და განვითარებას.
- ✓ 2009 წლიდან თსსუ გაწევრიანებულია **MEDINE2**-ში

საქართველოს ინტეგრაცია ბოლონიის პროცესში



ბოლონიის პროცესში ჩართულ ქვეყნებში სამედიცინო განათლება, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, რეგულირდება 2004 წლიდან ევროკომისიის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტით Medine (Medical Education in Europe).

Medine 2 ამ პროექტის მეორე ეტაპია (2010-2012) და მისი მიზანია ბოლონიის პროცესის მონაწილე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლებისთვის დიპლომამდელი განათლების გაიდლაინების, ჩარჩო-კურიკულუმის და აკადემიურ პროცესში კვლევითი კომპონენტის აქტიური და ეფექტური ჩართვის მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელშიც მონაწილეობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულუფლებიანი წევრია, რაც ნიშნავს მის აქტიურ როლს ამ საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციონებაში, განვითარების მიმართულებების განსაზღვრასა და მათ რეალიზებაში, თავისუფალი და მჭიდრო სამეცნიერო და სასწავლო კონტაქტების ჩამოყალიბებაში საზღვარგარეთის სასწავლო, სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებთან.

IV.

საუნივერსიტეტო გარემოს შეფასება

საუნივერსიტეტო გარემო/ქსელი როგორც ფართო, ისე ადგილობრივ კონტექსტში წარმოადგენს ოპტიმალურ გარემოს სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევის ინტეგრაციის, კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების და შემდგომი დახვეწისთვის.

საუნივერსიტეტო გარემო



■ სასწავლო პროცესი

დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განვითარების, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებული მიმდინარეობა; კონკურენტული, საერთაშორისო დონის აკადემიური და პროფესიული სამედიცინო და ფარმაცევტული განათლების განვითარება დარგობრივი აკადემიური ცოდნის, კლინიკური აზროვნების, პროფესიული ეთიკის ფასეულობების, პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარების მიმართულებით.

სწავლების ოპტიმალურ მოდელად მიჩნეულია სტუდენტზე ორიენტირებული, ინტეგრირებული, პრობლემაზე ორიენტირებული კურიკულუმი. სწავლების მეთოდი – სპირალური. თსსუ-ში მიმდინარე სასწავლო პროცესი მოიცავს სამ თანმიმდევრულ საფეხურს:

უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი აკადემიური განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; დოქტორანტურა) და უმაღლესი სამედიცინო განათლების პირველი საფეხურის (დიპლომირებული მედიკოსი) და მეორე საფეხურის (რეზიდენტურა) პროგრამებს.

სწავლების პირველ საფეხურზე მედიცინის და სტომატოლოგიის ფაკულტეტებს აქვს დიპლომირებული მედიკოსის ხარისხის მიმნიჭებელი პროგრამები (მედიცინაში 6 წლიანი საგანმანათლებლო პროგრამა – 360 კრედიტი; სტომატოლოგიაში 5 წლიანი საგანმანათლებლო პროგრამა – 300 კრედიტი), ხოლო საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ფარმაციის ფაკულტეტებს აქვს ბაკალავრის ხარისხის მიმნიჭებელი პროგრამები (ოთხწლიანი პროგრამა – 240 კრედიტი)

მედიცინა და სტომატოლოგია

დიპლომამდელ (საბაზისო) განათლებას, რომლის დასრულებისას კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების გარეშე; (მედიცინაში 6 წლიანი საგანმანათლებლო პროგრამა – 360 კრედიტი; სტომატოლოგიაში – 5-წლიანი საგანმანათლებლო პროგრამა – 300 კრედიტი) დიპლომისშემდგომ განათლებას (რეზიდენტურას), რომელიც წარმოადგენს უმაღლესი სამედიცინო განათლებას II საფეხურს და რომლის დასრულებისას და სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისას კურსდამთავრებულს ენიჭება ექიმ-სპეციალისტის კვალიფიკაცია და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება; დოქტორქანტურას, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი სამედიცინო განათლების მესამე საფეხურს, არის სასწავლო პროგრამების და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა და მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

მედიცინა, როგორც რეგულირებადი პროფესია, მოითხოვს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, რომელიც მოიცავს უწყვეტ სამედიცინო განათლებას, პროფესიულ რეაბილიტაციას და უწყვეტ პროფესიულ აქტიურობას - ცოდნის განახლებას პროფესიული საქმიანობის მანძილზე.

ფარმაცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია

ბაკალავრიატი, რომლის დასრულების შემდგომაც ბაკალავრს ენიჭება დამოუკიდებელი საქმიანობის უფლება კანონით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით (ოთხწლიანი პროგრამა – 240 კრედიტი). მაგისტრატურა, რომლის დასრულების შემდგომაც მაგისტრს ენიჭება დამოუკიდებელი საქმიანობის უფლება კანონმდებლობით დადგენილი წესით; დოქტორანტურა, რომლის შემდგომაც დოქტორს ენიჭება დამოუკიდებელი საქმიანობის უფლება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. თითოეული საფეხურის დასრულებისას მოიაზრება უწყვეტი პროფესიული განვითარება (სერტიფიცირება/რესერტიფიცირება). უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი აკადემიური განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და

უმაღლესი სამედიცინო განათლების პირველი (დიპლომირებული მედიკოსი) და მეორე (რეზიდენტურა) საფეხურების პროგრამებს.

რეზიდენტურა

უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებულები პროფესიულ სპეციალიზაციას აგრძელებენ რეზიდენტურაში, რომლის დამთავრების და სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ ისინი გადაიან შრომით ბაზარზე. საკადრო რეზერვის მომზადების მიზნით თსსუ-ში განხორციელდა საქართველოში საექიმო კადრების დინამიკის პროსპექტული კვლევა ცვლილებების ალბათობის პროგნოზის მეთოდის გამოყენებით. ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში ექიმების რაოდენობა რეზიდენტურის კურსდამთავრებულ-ებით შევსების გარეშე საშუალო ევროპულ დონეს 2014 წელს გაუტოლდება, რაც ექიმის პროფესიული მზადების ხანგრძლივობით არის განპირობებული. მაგრამ ექიმების რაოდენობის კლება უფრო მკვეთრი გახდება 2018 წლიდან, რაც საექიმო კადრების ძლიერ დეფიციტს გამოიწვევს. ამ ფაქტის გათვალისწინებით, არცთუ შორეულ მომავალში ექიმების მნიშვნელოვანი დეფიციტის თავიდან ასაცილებლად და ევროპის მაჩვენებლის შესანარჩუნებლად დადგენილი იქნა, რომ რეზიდენტურის კურსდამთავრებულთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს საშუალოდ 580-600-ს.

მაგისტრატურა


თსსუ-ში მაგისტრატურა, როგორც სწავლების მეორე საფეხური, შემოღებულია ფარმაციისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტებზე (სახელობრ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო სკოლის ბაზაზე), აგრეთვე, დაგეგმილია უმაღლესი საექიმო სკოლის გახსნის შემდეგ. განსაკუთრებული ძალისხმევა იქნება გაწეული თსსუ-ს უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების შემუშავებას. მაგისტრატურის მიზანია ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებული ცოდნის საფუძველზე შესძინოს სტუდენტს უფრო ღრმა და კონკრეტული ცოდნა თავის სპეციალობაში გარკვეული სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, გამოუმუშავოს მას სამეცნიერო კვლევისთვის აუცილებელი ჩვევები. მაგისტრატურაში სწავლის ხანგრძლივობაა 2 წელი, მაგისტრის დიპლომის მისაღებად მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს გარკვეული რაოდენობის კრედიტები – 120 ECTS კრედიტი – წელიწადში 60 კრედიტი). სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 30-60% უნდა მოდიოდეს კვლევაზე.

დოქტორანტურა

დოქტორანტურის ძირითადი მიზანია დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე კადრის მომზადება, რომელიც მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.


დოქტორანტურის ვადა განისაზღვრება სულ მცირე 3 წლით. თითოეული აკადემიური წლისთვის ერთ სამეცნიერო ხელმძღვანელს შეიძლება ჰყავდეს არაუმეტეს 2 დოქტორანტისა. სადოქტორო პროგრამების მოცულობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 180 ECTS კრედიტს. სადოქტორო პროგრამის მოცულობის 65% მოიცავს კვლევით კომპონენტს, 35% - სასწავლო კომპონენტს. საბაზისო სწავლების და რეზიდენტურის საფეხურებზე კვლევაში ჩართვა ასევე მნიშვნელოვანია – ამ შემთხვევაში ფაკულტეტები და რეზიდენტურის პროგრამების ხელმძღვანელები თვითონ წყვეტენ კვლევის პროცენტულ შემადგენლობას ყოველ კონკრეტულ საბაკალავრო პროგრამაში.

სწავლების სქემა – ბოლონის პროცესის მიხედვით



მედიან 2-ის წევრი ქვეყნები

- | | |
|-------------|-------------|
| Austria | Latvia |
| Poland | Lithuania |
| Belgium | Hungary |
| Portugal | Netherlands |
| Bulgaria | Norway |
| Romania | Island |
| Czech | Ireland |
| Slovenia | |
| Spain | Italy |
| Sweden | UK |
| Estonia | Germany |
| Finland | Greece |
| Switzerland | France |
| Turkey | |
| Georgia | - TSMU |





7 სამუშაო ჯგუფი

- I - MEDINE Lingua
- II - მობილობის განხორციელების საშუალებები
- III - თუნინგის პროცესის გამოყენება მედიცინაში
- IV - თუნინგის პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხი მედიცინაში
- V - კურიკულუმის შემუშავების ტენდენციები
- VI - ბოლონის პროცესთან ინტეგრაცია
- VII - კვლევის კომპონენტის ინტეგრაცია ევროპის სამედიცინო განათლებაში

თსსუ მონაწილეობს 3 სამუშაო ჯგუფში - III, V და VI ჯგუფებში



Introduction from the Co-ordinator

This is the first of many regular news updates on the progress of MEDINE2. As you can see, we held an excellent first General Partners Meeting in May. Both informal comments and the formal evaluations have confirmed the success of the meeting, the understanding that the ECCTMA meeting which followed on directly from it was also a success. It was a great pleasure to welcome so many colleagues to Edinburgh and to set the project off to such a good start.

Planning is now advancing for the next round of meetings in the Autumn, and more details are given overleaf. We are also working to finalise the date and location of the next General Partners Meeting in the Spring of 2011. We hope that this will again be linked to the ECCTMA meeting, and while that does make the arrangements more complex, hopefully we will have this resolved very soon.

As coordinator and representative of the network, I have attended two further meetings in the last few weeks. Firstly, a "Cluster Meeting" was held for coordinators of projects and networks related to healthcare, hosted by the European Commission in Brussels. It was very interesting to see the number of projects being funded, and the range of topics and disciplines involved. My presentation on MEDINE2 was well received, useful discussions were held and contacts made. It is clear that the Commission regard MEDINE2 and its work as very important in terms of medical education and training in Europe, including the National Directives on qualifications and the Bologna process.

I also attended the Annual General Meeting of the European Association of Faculties of Pharmacy, which is the host organisation of the PHARMINE network, in Catania. At both that meeting and in the Brussels meeting, the important reciprocal relationships between MEDINE2 and PHARMINE were reinforced. We anticipate that this will be helpful to both projects when reporting back to the Commission.

Please log on and use the www.medine2.com/website - it is an excellent example of a network website, with many innovative features, and will be the nerve-centre of our work over the next 3 years.

Finally, there is an enormous administrative and organisational task involved with running a network of this size and scope - much more than I had realised. It is actually more like running seven projects at the same time. Carol Telford, with help from Fiona Wilcox, is doing a great job dealing with all of this. There is also a very significant task on the workpackage leaders and their deputies. I hope that we can all continue to support them to the maximum, by responding in a timely way to requests for help and information and participating fully in the functions of the network. I am already looking forward to an all-encompassing MEDINE2 through to a successful conclusion in 2012, hopefully then as a platform to even greater developments in the future.

Professor Alan Curran, University of Edinburgh
Co-ordinator MEDINE2

MEDINE-2
სამუშაო ჯგუფების პირველი
სხდომები გაიმართა 2010 წლის
24-26 მაისს ედინბურგში

■ ბიბლიოთეკა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

თსსუ-ს გააჩნია თანამედროვე, წიგნად-ციფრული ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი მოიცავს 427 450, აქედან 120 688 სახელმძღვანელოს (მათ შორის 8520 უცხოენოვანი). ბიბლიოთეკაში სტუდენტთა თავისუფალი სარგებლობისთვის განკუთვნილი კომპიუტერების რაოდენობა - 315.

Blackwell, Elsevier Science, the Harcourt Health & Science, Springer Verlag, BMJ HINARI -ის მონაცემთა ბაზის საშვი ესც-ის მომხმარებელს საშუალებას აძლევს მოიძიოს 2000-ზე მეტი სრულტექსტური სამედიცინო/ჯანდაცვის ონ-ლაინ ჟურნალი. Oxford Journals.



მიზნები და ამოცანები:

- ინტეგრირებული ხემისაწვდომობა სამედიცინო ლიტერატურის კოლექციებსა და ბიბლიოთეკის მომსახურებაზე
- საერთაშორისო დონის წიგნად-ციფრული კოლექციების (სახელმძღვანელოები, ელექტრონული წიგნები, ონლაინ-ბანკები და სერვისები, CDs და ა.შ.) შექმნა და მათი უწყვეტი განახლება/სრულყოფა
- სტრატეგიული ინიციატივები
- ინტელექტუალურად მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს შთაგონების, შემოქმედებითობის, პროდუქციულობის, კომუნიკაბელურობისა და თანამშრომლობის გაღვივებასა და განვითარებას
- უწყვეტი განათლების კულტურა – თსსუ ბიბლიოთეკის პრიორიტეტი

■ საუნივერსიტეტო კლინიკური ბაზები

კლინიკური სწავლება და საქმიანობა უმაღლესი სამედიცინო განათლების განუყოფელი ნაწილია საგანმანათლებლო და სამეცნიერო კომპონენტებთან ერთად. ყველა ამ კომპონენტის ჰარმონიზაცია და ეფექტური ადმინისტრირება გაცილებით ადვილია საუნივერსიტეტო კლინიკის სტატუსის მქონე სამკურნალო დაწესებულებებში, რაც უმაღლეს სამედიცინო სკოლას საშუალებას მისცემს ეფექტურად განახორციელოს საკუთარი ფინანსური რესურსების მიზნობრივი რეინვესტიცია ბაზების მუდმივი განვითარების მიზნით.

საუნივერსიტეტო კლინიკები:

- ა. ალადაშვილის სახელობის #4 საუნივერსიტეტო კლინიკა
- ა. ურუშაძის სახელობის თსსუ სტომატოლოგიური კლინიკა
- თსსუ #2 სტომატოლოგიური კლინიკა
- თსსუ #1 ბავშვთა სტომატოლოგიური პოლიკლინიკა
- თსსუ გ. ჟვანიას სახ. პედიატრიის აკადემიური კლინიკა

დიპლომამდელი (საბაზისო), დიპლომის შემდგომი (რეზიდენტურა, რეზიდენტურის ალტერნატიული ფორმა) და უწყვეტი პროფესიული განვითარების (პროფესიული მზადებისა და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება) პროგრამების განხორციელებისათვის კლინიკური ბაზით უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულებები/მემორანდუმები შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებთან:

- სიმონ ხერინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა;
- აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა;
- გივი ჟვანიას სახელობის საუნივერსიტეტო პედიატრიული კლინიკა;
- ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა.
- შ.პ.ს. “რევმატოლოგიის ს/პ ცენტრი
- ს.ს. “მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი
- შ.პ.ს. “დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი”
- შ.პ.ს. “სონოკური”

- შ.პ.ს. “ქ. თბილისის საოჯახო მედიცინის სასწავლო კლინიკური ცენტრი”
- შ.პ.ს. “ავთანდილ ყაზბაგაშვილის კლინიკა”
- “ექსტრა-დენტი” ი/მ “გურამ ალადაშვილი”
- “თბილისის ონკოლოგიური დასპანსერი”
- სტომატოლოგიური კლინიკა “პელსი-დენტი”
- “ევრომედცენტრი”
- შპს “ზიზიდა” –ს სამეანო –გინეკოლოგიური კლინიკა
- შპს “სამედიცინო ცენტრი ლაზერი”
- შ.პ.ს. უნივერსიტეტი “გეომედი”
- შ.პ.ს. “პედიატრი”
- შ.პ.ს. “მანა”
- შ.პ.ს. “მერამედი”
- შ.პ.ს. “ლიკა”
- კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი
- შპს “დავით გაგუას კლინიკა”
- შპს “რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო”
- შპს თბილისის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი
- ჯოენის სახელობის სამედიცინო ცენტრი

მემორანდუმის მიზანია: განახორციელოს აღნიშნულ კლინიკებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი სწავლების, აგრეთვე უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამები.

უნივერსიტეტი სხვა სამედიცინო პროფილის დაწესებულებებთან მსგავსი ხასიათის ხელშეკრულებების გაფორმებას მომავალშიც გეგმავს.



IV

SWOT / ანალიზი

ძლიერი მხარეები

- საუნივერსიტეტო სამედიცინო განათლების მრავალწლიანი გამოცდილება;
- სამედიცინო განათლების სრულყოფისთვის მოტივირებული ხელმძღვანელობა და აკადემიური პერსონალი;
- წამატებული საერთაშორისო ურთიერთობები და ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ აღიარება;
- უცხოელი სტუდენტების მზარდი რაოდენობა;
- ბოლონის პროცესში ჩართულობა;
- საქართველოში სამედიცინო განათლების სფეროში წამყვანი პოზიცია;
- განათლების მაღალი დონის აღიარება საერთაშორისო დონეზე (EUA, WHO, UNESCO, WFME, AMEE, MEDINE);
- გამოცდილი აკადემიური და დამხმარე პერსონალი;
- საქართველოში ხუთწლიანი ინსტიტუციური აკრედიტაციის მოპოვება;
- თსსუ-ს ფარგლებში სამედიცინო განათლების სამივე საფეხურზე (დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი და უწყვეტი) სწავლება;
- განახლებული საორგანიზაციო სტრუქტურა და მართვის სისტემა;
- სწავლების, სწავლის და სამეცნიერო კვლევის რეფორმა;
- აკადემიური პერსონალის რეფორმისადმი მზაობა;
- თანამედროვე ბიბლიოთეკა;
- სტუდენტებისა და თანამშრომლების ფართო მონაწილეობა უნივერსიტეტის მართვის პროცესში და არჩევნებში;
- სტუდენტთა და თანამშრომელთა მონაწილეობა გაცვლით პროგრამებსა და საზაფხულო სკოლებში;
- ევოპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის შემოღება, ჩთმ-ზე დაფუძნებული შეფასების ახალი სისტემა;
- ინფრასტრუქტურის განახლება და გაუმჯობესება;
- საგამოცდო ცენტრი;

- კლინიკური უნარ-ჩვევებისა ცენტრი;
- სამეცნიერო უნარ-ჩვევების ლაბორატორია;
- თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი საოჯახო მედიცინის ცენტრი;
- სპორტის და ხელოვნების ცენტრი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა;
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა;
- ქართული სამედიცინო და ფარმაცევტული ტერმინოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი
- აკრედიტებული დიპლომამდელი, დილომისშემდგომი და უწყვეტსამედიცინო განათლების პროგრამების მრავალფეროვნება;
- სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაცია;
- საუნივერსიტეტო კამპუსი სასწავლო აუდიტორიებითა და ლაბორატორიებით, საუნივერსიტეტო კლინიკები, ბიბლიოთეკა, ხელოვნებისა და სპორტის ცენტრი;
- დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი
- უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (სამედიცინო ბიოტექნოლოგიის და ფარმაკოქიმიის) თანამშრომლებისა და სტუდენტების სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობისათვის;
- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები
- სტუდენტთა თვითმმართველობა;
- საგანგებო სიტუაციებზე სამედიცინო რეაგირებისა და მართვის სასწავლო ცენტრი
- მოსამზადებელი ცენტრი.

სუსტი მხარეები:

- ფინანსური რესურსების სიმცირე;
- სასწავლო აუდიტორიების, ლაბორატორიების და საუნივერსიტეტო კლინიკების აღჭურვის თანამედროვე მოთხოვნებთან შეუსაბამობა;
- ქართულ ენაზე სასწავლო ლიტერატურის სიმცირე;

- უცხოენოვანი სასწავლო ლიტერატურის გამოყენების დაბალი დონე (უცხო ენების არცოდნა, ბიბლიოთეკის შეზღუდული შესაძლებლობები, სტუდენტთა მოტივაციის დაბალი დონე და სხვ);
- კურსდამთავრებულთა დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობა;
- კლინიკური ბაზების დეფიციტი;
- მოძველებული კურიკულუმი;
- საერთაშორისო აკრედიტაციის არარსებობა;
- სასწავლო პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების არასაკმარისი გამოყენება
- კლინიკური ბაზების დეფიციტი;
- არასრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ინტეგრაციის პრობლემები
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებული სიძნელებები

შესაძლებლობები:

- ავტორიზაციის და პროგრამული აკრედიტაციის მიღება;
- სასწავლო პროცესის შემდგომი ინტერნაციონალიზაცია;
- კლინიკური და კვლევის უნარ-ჩვევების ცენტრების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- დაინტერესებული სამინისტროების მხარდაჭერა;
- უცხოელი პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავება;
- საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრაცია;
- საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია, კერძოდ, უცხოელი სტუდენტების მოზიდვა და მათი რაოდენობის ზრდა;
- ახალი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შექმნა;
- უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამებზე მზარდი მოთხოვნა;
- დისტანციური სწავლების განვითარება და ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო სიტემების ადაპტაცია;
- თანამედროვე სახელმძღვანელოების შექმნა, თარგმნა, და გამოცემა;
- ახალი ტექნოლოგიების გამოყენება და ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია;
- პედაგოგთა გადამზადების კურსების შექმნა;

- თანამედროვე კურიკულუმების შემუშავება და დანერგვა;
- საერთაშორისო კვლევით და საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა;
- სტუდენტებისა და თანამშრომლების უცხოეთის წამყვან სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებებში და კლინიკებში მობილურობის გაზრდა
- „ალუმნის“ პროექტის განვითარება
- უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის სტრატეგიის განვითარება

საფრთხეები:

- საქართველოში სამედიცინო განათლების მიღების ინტერესის კლების რისკი;
- შეზღუდული დრო სასწავლო პროცესის რეფორმისთვის განხორციელებისათვის;
- უცხოენოვანი პედაგოგების დეფიციტი;
- საერთაშორისო აკრედიტაციის მიღებასთან დაკავშირებული სირთულეები;
- დაფინანსების შემცირება;
- სახელმწიფოში ექიმების სიჭარბე და ამ პროფესიის პირთა დასაქმების დაბალი დონე;
- აკადემიური პერსონალის ნაწილის სწავლების პროცესის მიმართ სტერეოტიპული მიდგომა

რესურსების ანალიზი

სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსები:

- ◇ ფინანსური რესურსები
- ◇ მატერიალური რესურსები
- ◇ ადამიანური რესურსები

■ ფინანსური რესურსები

უნივერსიტეტის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება საბიუჯეტი და საკუთარი შემოსავლების, მათ შორის მოძიებული სახსრების საფუძველზე. საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ, უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია:

- ა) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით;
- ბ) კერძო გრანტის, შემოწირულობის სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები;
- გ) საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები;
- დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულ ერთეულებზე აბიტურიენტთა მიღების წახალისების მიზნით გამოყოფილი სპეციალური სახელმწიფო-საბიუჯეტო პროგრამები;
- ე) დარგობრივი სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

2011 წლის შემოსავალი

(ლარი)

დასახელება	გეგმა
შემოსავალი (გარდამავალი ნაშთის ჩათვლით)	28540200
მ.შ. მიმდინარე პერიოდის შემოსავალი	22800000
სტუდენტების სწავლებიდან შემოსავალი	10752400
ცენტრების შემოსავალი	632100
სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემოსავალი	1490300
<i>მ.შ. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო/კვლევითი პროგრამა</i>	<i>1000000</i>
<i>ინსტიტუტების საგანმანათლებლო/კვლევითი პროგრამა</i>	<i>364700</i>
<i>პრეზიდენტის სტიპენდია</i>	<i>125600</i>
დიპლომის შემდგომი სწავლებიდან შემოსავალი	3067000
სხვადასხვა შემოსავალი	1082000
სამეცნიერო გრანტებიდან შემოსავალი	335400
<i>მ.შ. უნივერსიტეტი</i>	<i>321000</i>
<i>ინსტიტუტები</i>	<i>14400</i>
კლინიკების შემოსავალი	3930800
ინსტიტუტების შემოსავალი	1510000

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

2011 წლის ხარჯი

(ლარი)

დასახელება	გეგმა
შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	900
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	1848
ხარჯები	26374700
შრომის ანაზღაურება	8298600
საქონელი და მომსახურება	11470400
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	5640500
მივლინება	151900
ოფისის ხარჯები	2198500
წარმომადგენლობითი ხარჯები	55000
კვების ხარჯები	4000
სამედიცინო ხარჯები	1573000
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	20000
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	135600
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	1691900
სხვა ხარჯები	1055100
ძირითადი აქტივები	5550600
შენობა ნაგებობები	3900000
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	1650600

■ მატერიალური რესურსები

უნივერსიტეტის ფართი და ქონება

უნივერსიტეტის ქონება შედგება მისთვის სახელმწიფოს, იურიდიული და კერძო პირების მიერ გადაცემული, ასევე მის მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილი ქონებისაგან.

- საერთო ფართი შენობა-ნაგებობების – 62 787, 59 კვ.მ
- საუნივერსიტეტო კლინიკები :
 1. თსსუ-ს N2 სტომატოლოგიური კლინიკა
 2. ურუშაძის სახ.თსსუ-ს სტომატოლოგიური კლინიკა
 3. N1 ბავშვთა თსსუ-ს სტომატოლოგიური კლინიკა
 4. ა.ალადაშვილის სახ. N4 საუნივერსიტეტო კლინიკა
 5. თსსუ-ს გ.ჟვანიას სახ. პედიატრიის აკადემიური კლინიკა

■ ადამიანური რესურსები

უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: უნივერსიტეტის ადამიანური რესურსები მოიცავს:

- ადმინისტრაციული პერსონალი (რექტორი, კანცლერი, რექტორის მოადგილე, პრორექტორი, ფაკულტეტის დეკანი, მათი მოადგილეები, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) და დამხმარე პერსონალი
- აკადემიური პერსონალი (სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი)
- მოწვეული მასწავლებელი
- ლაბორანტები
- ბიბლიოთეკის თანამშრომლები
- საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები

VI

სტრატეგიული გეგმა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შემდგომი ოპტიმალური განვითარებისთვის დასახულია გრძელვადიანი (2011–2017) და მოკლევადიანი (2011-2012) სტრატეგიული მიზნები.

გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნები (2011 –2017)

- სწავლებისა და სწავლის მაღალი ხარისხის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარემოს შექმნა;
- სასწავლო პროგრამების მოდერნიზაცია;
- სწავლის, სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდების დანერგვა;
- სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაცია;
- აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მობილობის გააქტივება
- თანამედროვე კლინიკური ბაზებით უზრუნველყოფა ;
- სამეცნიერო კვლევაზე ორიენტაცია და საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობა;
- უნივერსიტეტის მართვის სრულყოფა;
- ფართო საერთაშორისო აღიარების მიღწევა;
- საბიბლიოთეკო საქმიანობის სრულყოფა;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართოდ ჩართვა სასწავლო პროცესში;
- სპორტისა და ხელოვნების ხელშეწყობა.

მოკლევადიანი სტრატეგიული მიზნები (2011 –2012)

1. ავტორიზაციის და პროგრამული აკრედიტაციის გავლა;
2. კურიკულუმის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია; კურიკულუმი რუქის შექმნა;
3. უმაღლესი საექთნო განათლების (ბაკალავრიატის) შემოღება.
4. არსებული საბაკალავრო პროგრამების მოდერნიზაცია;
5. კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის დამატებითი აღჭურვა;
6. სამეცნიერო უნარ-ჩვევების ლაბორატორიის შექმნა და აღჭურვა;
7. ხარისხის კულტურის ფართოდ დანერგვა;
8. ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტების მოზიდვა
9. უცხო ენების სწავლების სრულყოფა (შესაბამისი პროგრამების შექმნა),
10. აკადემიური პერსონალის გადამზადება და სამედიცინო განათლების სპეციალისტების მომზადება;
11. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შექმნა და განხორციელება;

12. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
13. საუნივერსიტეტო კლინიკების ინფრასტრუქტურის განახლება;
14. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის და ფონდის განახლება;
15. საინფორმაციო ტექნოლოგიების მოდერნიზაცია;
16. უნივერსიტეტის მართვის სისტემის სრულყოფა;
17. პოსტდიპლომური განათლების (რეზიდენტურის) და უწყვეტი პროფესიული განვითარების შემდგომი სრულყოფა
18. სასპორტო და სახელოვნებო ინფრასტრუქტურის განვითარება და ჩართულობის სტიმულირება.

VII

სამოქმედო გეგმა
2011-2012



მიზნები	განსახორციელებელი ღონისძიებები და მათი თანმიმდევრობა	განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა და/ან პასუხისმგებელი პირები	საჭირო რესურსები	განხორციელების ვადები	შეფასება და განხორციელების ინდიკატორები
<p>მიზანი 1 ავტორიზაციის და პროგრამული აკრედიტაციის გავლა;</p>	<ul style="list-style-type: none"> • თვითშეფასების კითხვარის შევსება • სასწავლო პროგრამების მოდერნიზაცია (ზოგად და დარგობრივ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა) 	<ul style="list-style-type: none"> • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; • იურიდიული სამსახური • კადრების სამსახური • დეკანატები • კურიკულუმის კომიტეტები • სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტი • სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრი • საზაფხულოებსა და ურთიერთობის სამსახური • ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი 	<ul style="list-style-type: none"> • საინფორმაციო ტექნოლოგიები • ადამიანური რესურსები • ტექნიკური მომსახურება • დაფინანსება 	01.2011–09.2011	<ul style="list-style-type: none"> • ავტორიზაციის მიღება • უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების აკრედიტაცია
<p>მიზანი 2 კურიკულუმის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია; კურიკულუმი რუქის შექმნა</p>	<ul style="list-style-type: none"> • მედიცინის ფაკულტეტის ინტეგრირებული მოდულების და კურიკულუმის შექმნა; • სტომატოლოგიის ფაკულტეტის ინტეგრირებული მოდულების და კურიკულუმის შექმნა; • მედიცინის და სტომატოლოგიის ფაკულტეტების კურიკულუმების რუქის შექმნა 	<ul style="list-style-type: none"> • რექტორის მოადგილე • მედიცინის ფაკულტეტის დეკანატი • სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანატი • აღნიშნული ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები; • კურიკულუმის კომიტეტები • უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური • სამედიცინო განათლების, კვლევების და სტრატეგიული განვითარების ცენტრი • სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტი. • გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრი • ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი 	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანური რესურსები • ინტერნეტ ინფორმაციული და ტექნიკური მომსახურება • თარგმანი • თანამედროვე სახელმძღვანელოების შექმნა, თარგმნა და გამოცემა • ფინანსური უზრუნველყოფა 	01.2011–09.2011	<ul style="list-style-type: none"> • მედიცინის ფაკულტეტის აკრედიტებული ინტეგრირებული კურიკულუმი; • სტომატოლოგიის ფაკულტეტის აკრედიტებული ინტეგრირებული კურიკულუმი; • კურიკულუმის რუქები
<p>მიზანი 3 უმაღლესი საექთნო განათლების (ბაკალავრიატის) შემოღება.</p>	<ul style="list-style-type: none"> • საექთნო საქმის და საბაკალავრო პროგრამის და შესაბამისი სილაბუსების შექმნა და პროფესიული პროგრამების (პრაქტიკოსი ექთანი და პრაქტიკოსი ბებიაქალი) დახვეწა; 	<ul style="list-style-type: none"> • ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი, უმაღლესი საექთნო სკოლა • საექთნო სკოლის კურიკულუმის კომიტეტი; • უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტები • სამედიცინო განათლების, კვლევების და სტრატეგიული განვითარების ცენტრი • სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტი. • ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის 	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანური რესურსები • ინტერნეტ ინფორმაციული და ტექნიკური მომსახურება • თარგმანი • თანამედროვე სახელმძღვანელოების შექმნა, თარგმნა და გამოცემა • ფინანსური უზრუნველყოფა 	01.2010 – 09.2011	<ul style="list-style-type: none"> • აკრედიტებული საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა და პროფესიული პროგრამები

<p>მიზანი 4 არსებული საბაკალავრო პროგრამების მოდერნიზაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფარმაციის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამების განახლება; კურიკულუმის რუქების შექმნა. 	<p>დეპარტამენტი</p> <ul style="list-style-type: none"> რექტორის მოადგილე საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფარმაციის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტების დეკანატები; ამავე ფაკულტეტების კურიკულუმის კომიტეტები; ამავე ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტები სამედიცინო განათლების, კვლევების და სტრატეგიული განვითარების ცენტრი. სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტი. გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრი ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი. 	<ul style="list-style-type: none"> ადამიანური რესურსები ინტერნეტ ინფორმაციული და ტექნიკური მომსახურება თარგმანი თანამედროვე სახელმძღვანელოების შექმნა, თარგმნა და გამოცემა ფინანსური უზრუნველყოფა 	<p>01.2011–09.2011</p>	<ul style="list-style-type: none"> მოდერნიზებული საბაკალავრო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფარმაციის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე.
<p>მიზანი 5 კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის დამატებითი აღჭურვა;</p>	<ul style="list-style-type: none"> მოდერნიზებული კურიკულუმის შესაბამისი სიმულატორების შერჩევა და შექმნა. სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლისა და შეფასებისთვის (OSCE) ახალი სიმულატორების გამოყენება. 	<ul style="list-style-type: none"> რექტორის მოადგილე კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორია კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრი ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი. სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტი. 	<ul style="list-style-type: none"> ადამიანური რესურსები ინტერნეტ ინფორმაციული და ტექნიკური მომსახურება ფინანსური უზრუნველყოფა 	<p>3.2011 – 3.2012</p>	<ul style="list-style-type: none"> ახალი სიმულატორებით აღჭურვილი კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორია და შეფასების ცენტრი.
<p>მიზანი 6 სამეცნიერო უნარ-ჩვევების ლაბორატორიის შექმნა და აღჭურვა;</p>	<ul style="list-style-type: none"> სამეცნიერო უნარ-ჩვევების მოდულის შემუშავება; სასწავლო მასალების შექმნა; სამეცნიერო უნარ-ჩვევების ლაბორატორიის შტაბით დაკომპლექტება; სამეცნიერო უნარ-ჩვევების ლაბორატორიის აღჭურვა მოქმედ კურიკულუმში სამეცნიერო უნარ-ჩვევების სწავლების ჩართვა 	<ul style="list-style-type: none"> რექტორის მოადგილე სამეცნიერო უნარ-ჩვევების ლაბორატორია სამედიცინო ბიოტექნოლოგიისა და ფარმაცოქიმიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები იურიდიული სამსახური კადრების სამსახური ფაკულტეტების დეკანატები სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტი. სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრი ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი. 	<ul style="list-style-type: none"> ფართი სამეცნიერო-უნარ-ჩვევების ლაბორატორიისთვის თანამშრომელთა შტაბი ფინანსური უზრუნველყოფა 	<p>3.2011 – 9.2011</p>	<ul style="list-style-type: none"> სამეცნიერო უნარ-ჩვევების სასწავლო კურსი (არჩევითი) სამეცნიერო-უნარ-ჩვევების ლაბორატორია
<p>მიზანი 7 ხარისხის კულტურის ფართოდ დანერგვა;</p>	<ul style="list-style-type: none"> სწავლებისა და სწავლის ხარისხის კულტურის ცნების შემოღება უნივერსიტეტში სწავლებისა და სწავლის ხარისხის შეფასება კითხვარების მეშვეობით სწავლებისა და სწავლის ხარისხის შედეგების ანალიზი და გაუმჯობესება 	<ul style="list-style-type: none"> ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური 	<ul style="list-style-type: none"> ადამიანური რესურსები ინტერნეტ ინფორმაციული და ტექნიკური მომსახურება ფინანსური უზრუნველყოფა 	<p>1.2011 – 12.2012</p>	<ul style="list-style-type: none"> თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო პროცესი
<p>მიზანი 8 ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტების</p>	<ul style="list-style-type: none"> უნივერსიტეტის საკმარისობის პოპულარიზაცია უცხოელი სტუდენტების მოზიდვის პოლიტიკის შემუშავება; On-site ვიზიტები ყოველწლიურად მისაღები კონტინენტის განსაზღვრა შესაბამისი სასწავლო გარემოს 	<ul style="list-style-type: none"> რექტორის მოადგილე საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახური უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტი მოსამზადებელი ცენტრი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 	<ul style="list-style-type: none"> ადამიანური რესურსები ინტერნეტ ინფორმაციული და ტექნიკური მომსახურება ფინანსური უზრუნველყოფა 	<p>1.2011 – 12.2012</p>	<ul style="list-style-type: none"> ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტების განსაზღვრული რაოდენობით მიღება

<p>მოზიდა</p>	<p>შექმნა</p>	<ul style="list-style-type: none"> ფაკულტეტების დეკანატები სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი. 			
<p>მიზანი 9 უცხო ენების სწავლების სრულყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"> ინგლისური ენის (სამედიცინო და ზოგადი) შემსწავლელი კურსებისთვის (სტუდენტებსა და თანამშრომლებისთვის) პროგრამის შემუშავება B2 დონის მისაღწევად სასწავლო მასალის შექმნა 	<ul style="list-style-type: none"> უცხო ენების შემსწავლელი ცენტრი სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტი ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი. 	<ul style="list-style-type: none"> ადამიანური რესურსები ინტერნეტ ინფორმაციული და ტექნიკური მომსახურება ფინანსური უზრუნველყოფა 	<p>01.2011 – 09.2011</p>	<ul style="list-style-type: none"> ინგლისური ენის მოდერნიზებული პროგრამა
<p>მიზანი 10 აკადემიური პერსონალის გადამზადება და სამედიცინო განათლების სპეციალისტების მომზადება;</p>	<ul style="list-style-type: none"> მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის ჩამოყალიბება. მასწავლებელთა გადამზადების პროგრამის შემუშავება სასწავლო მასალების შექმნა და შექმნა 	<ul style="list-style-type: none"> რექტორის მოადგილე სამედიცინო განათლების, კვლევების და სტრატეგიული განვითარების ცენტრი კადრების სამსახური იურიდიული სამსახური სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი. 	<ul style="list-style-type: none"> ადამიანური რესურსები ინტერნეტ ინფორმაციული და ტექნიკური მომსახურება ფინანსური უზრუნველყოფა 	<p>01.2012-12.2012</p>	<ul style="list-style-type: none"> მასწავლებელთა გადამზადების ცენტრი გადამზადებული პედაგოგები
<p>მიზანი 11 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შექმნა და განხორციელება;</p>	<ul style="list-style-type: none"> მედიცინის და სტომატოლოგიის ფაკულტეტებზე თანამედროვე (მათ შორის საერთაშორისო) სადოქტორო პროგრამების შექმნა ფარმაციის, ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე თანამედროვე (მათ შორის საერთაშორისო) სადოქტორო პროგრამების შექმნა 	<ul style="list-style-type: none"> ვიცე-რექტორი მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახური ფაკულტეტების დეკანატები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი. 	<ul style="list-style-type: none"> ადამიანური რესურსები ინტერნეტ ინფორმაციული და ტექნიკური მომსახურება ფინანსური უზრუნველყოფა 	<p>01.2011-12.2012</p>	<ul style="list-style-type: none"> საერთაშორისო დონის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები
<p>მიზანი 12 უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;</p>	<ul style="list-style-type: none"> სასწავლო, კლინიკური და დამხმარე ფართის ინფრასტრუქტურის განახლება სასწავლო, სამეცნიერო და კლინიკური საქმიანობისთვის საჭირო ინვენტარის შექმნა 	<ul style="list-style-type: none"> ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი. 	<ul style="list-style-type: none"> ადამიანური რესურსები ფინანსური უზრუნველყოფა 	<p>01.2011 – 12.2012</p>	<ul style="list-style-type: none"> განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
<p>მიზანი 13 საუნივერსიტეტო კლინიკური ბაზების განახლება;</p>	<ul style="list-style-type: none"> საუნივერსიტეტო კლინიკური ბაზების რეკონსტრუქცია და აღჭურვა. 	<ul style="list-style-type: none"> რექტორის მოადგილე იურიდიული სამსახური კადრების სამსახური კლინიკებთან ურთიერთობის სამსახური ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი. 	<ul style="list-style-type: none"> ადამიანური რესურსები ფინანსური უზრუნველყოფა 	<p>01.2011 – 12.2012</p>	<ul style="list-style-type: none"> გაუმჯობესებული კლინიკური ბაზები

<p>მიზანი 14 ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის და ფონდის განახლება;</p>	<ul style="list-style-type: none"> • ბიბლიოთეკის დამატებითი აღჭურვა (კომიუტერები, სასწავლო ინვენტარი) • წიგნადი ფონდის გამდიდრება (ქართულ და უცხოენოვანი) • ელექტრონული სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა • ელექტრონული კატალოგის განახლება 	<ul style="list-style-type: none"> • ვიდე-რექტორი • ბიბლიოთეკა • საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური • ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი • ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი. 	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანური რესურსები • ფინანსური უზრუნველყოფა 	<p>01.2011 – 12.2012</p>	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბიბლიოთეკა
<p>მიზანი 15 საინფორმაციო ტექნოლოგიების მოდერნიზაცია;</p>	<ul style="list-style-type: none"> • ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა • დისტანციური სწავლების და ტელეკონფერენციების ტექნიკური უზრუნველყოფა • სასწავლო ელექტრონული რესურსების სრულყოფა 	<ul style="list-style-type: none"> • საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური • ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი. 	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანური რესურსები • ფინანსური უზრუნველყოფა 	<p>01.2011 – 12.2012</p>	<ul style="list-style-type: none"> • მოდერნიზებული საინფორმაციო ტექნოლოგიები
<p>მიზანი 16 უნივერსიტეტის მართვის სისტემის სრულყოფა;</p>	<ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის მართვის სრულყოფა მოქმედი კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად • სტუდენტების ჩართულობის გაზრდა უნივერსიტეტის მართვაში 	<ul style="list-style-type: none"> • რექტორის აპარატი • იურიდიული სამსახური • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური • რექტორის მოადგილეები, ვიცე-რექტორი • კადრების სამსახური • სტუდენტური თვითმმართველობა 	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანური რესურსები • საინფორმაციო ტექნოლოგიები 	<p>01.2011 – 12.2012</p>	<ul style="list-style-type: none"> • გაუმჯობესებული მართვის სისტემა
<p>მიზანი 17 პოსტიდპლომური განათლების (რეზიდენტურის) და უწყვეტი პროფესიული განვითარების შემდგომი სრულყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"> • რეზიდენტურის პროგრამების განახლება • რეზიდენტურის პროგრამების შესაბამისი სილაბუსების შემუშავება; • რეზიდენტებისთვის კლინიკური ბაზების მოძიება და განახლება • მაღალი ხარისხის უკუ პროგრამების შემუშავება 	<ul style="list-style-type: none"> • დიპლომისშემდგომი და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი 	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანური რესურსები • ფინანსური უზრუნველყოფა 	<p>01.2011 – 12.2012</p>	<ul style="list-style-type: none"> • მოდერნიზებული სარეზიდენტო პროგრამები • გაუმჯობესებული კლინიკური ბაზები რეზიდენტებისთვის • თანამედროვე უსგ პროგრამები
<p>მიზანი 18 სასპორტო და სახელოვნებო ინფრასტრუქტურის განვითარება და ჩართულობის სტიმულირება.</p>	<ul style="list-style-type: none"> • სპორტული ბაზების მოწყობა, აღჭურვა • ხელოვნების ბაზების გაუმჯობესება • სტუდენტების წახალისება სპორტულ და სახელოვნებო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის 	<ul style="list-style-type: none"> • სპორტისა და ხელოვნების ცენტრი • ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი • ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი. • საზოგადოებასთან ურთერთობის სამსახური 	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანური რესურსები • ფინანსური უზრუნველყოფა 	<p>01.2011 – 12.2012</p>	<ul style="list-style-type: none"> • განახლებული სასპორტო და სახელოვნებო ბაზები • სასპორტო და სახელოვნებო წრეებში ჩართული სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა • ადგილობრივ და საერთაშორისო შეჯიბრებებში წარმატებული მონაწილეობა

VIII

მონიტორინგისა და შეფასების გეგმა

რეკომენდაციები სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების შესახებ მოცემულია WFME და MEDINE დოკუმენტში "სამედიცინო განათლების ხარისხის გაუმჯობესების გლობალური სტანდარტები ევროპული სპეციფიკის გათვალისწინებით" და TUNING/MEDINE კომპეტენციებს. აღნიშნული გეგმა ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ შეფასების ინდიკატორებს:

სასწავლო პროცესის შეფასების ინდიკატორები:

- ჩარიცხვის რეიტინგი
- აკადემიური პერსონალი/სტუდენტების შეფარდება
- უცხოელი სტუდენტების რაოდენობის შეფარდება სტუდენტთა რაოდენობასთან
- ახალი სტუდენტების ზედამხედველობისა და მხარდაჭერის ღონისძიებები
- კურსდამთავრებულთა რაოდენობის შეფარდება ჩარიცხულთა რაოდენობასთან
- I კურსზე დარჩენილთა რაოდენობა
- კურსზე დარჩენილთა რაოდენობა
- სწავლის საშუალო ხანგრძლივობა
- დასაქმებულ (სპეციალობით) კურსდამთავრებულთა რაოდენობა
- უნივერსიტეტში შექმნილი უსვ აკრედიტებული მოდულების რაოდენობა
- უნივერსიტეტში შექმნილი რეზიდენტურის მოდულების რაოდენობა
- პედაგოგი/სტუდენტი შეფარდება
- მატერიალური რესურსი/სტუდენტი შეფარდება
- საოპერაციო ბიუჯეტი/სტუდენტი შეფარდება
- პაციენტი/სტუდენტი შეფარდება
- პაციენტი/პედაგოგი შეფარდება
- სტუდენტი/დამხმარე პერსონალი შეფარდება
- ტესტური გამოცდების ჩაბარების მაჩვენებელი
- შექმნილი სასწავლო მოდულების რაოდენობა

სამეცნიერო მუშაობის შეფასების ინდიკატორები:

- სამეცნიერო ნაშრომი/პედაგოგი შეფარდება
- სამეცნიერო მუშაობით დაკავებული პედაგოგების რაოდენობა
- ასპირანტითა და მაძიებელთა რაოდენობა/პედაგოგი შეფარდება
- პუბლიკაცია/პედაგოგი შეფარდება
- ციტირების ინდექსი
- მიღებული კვლევითი გრანტების რაოდენობა
- სახელმწიფო და საერთაშორისო ჯილდოების რაოდენობა
- მულტიცენტრულ კვლევებში მონაწილეთა რაოდენობა
- მხოლოდ სამეცნიერო მუშაობით დაკავებული პერსონალის რაოდენობა
- გრანტების მისაღებად მომზადებული განაცხადების რაოდენობა
- მეთოდური ნაშრომის გამოცემა
- მოპოვებული კვლევითი სტიპენდიები
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეთა რაოდენობა
- გამოცემული მონოგრაფიების რაოდენობა

- რეცენზირებული წიგნების რაოდენობა
- სადისერტაციო საბჭოს(ების) წევრობა
- სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირება
- სადისერტაციო ნაშრომის ოპონენცია
- სამეცნიერო ნაშრომების ექსპერტიზა
- საერთაშორისო კვლევაში მონაწილეობა

დანართი VII

რეორგანიზაციის შედეგად უნივერსიტეტების შემადგენლობაში შესული კვლევითი დაწესებულებები

<p>ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>	<p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N210, 27.07. 2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ – ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი; 2. სსიპ- ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი; 3. სსიპ - ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი; <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N220, 03.08. 2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ - თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი; 2. სსიპ - ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი; <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N278, 10. 09. 2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ – ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი; 2. სსიპ – ელევთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი; 3. სსიპ – შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი; 4. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება №274 10.09.2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ – კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი. <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N306, 13.10.2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ - პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი; <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება №185 09.07.2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ - პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი; 2. სსიპ - რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი; <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება №255 27.06.2011</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ – არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი; 2. სსიპ – ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
<p>ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი</p>	<p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N210, 27.07. 2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ - კვების მრეწველობის ინსტიტუტი; 2. სსიპ - მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი; 3. სსიპ - წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი; 4. სსიპ – ჰიდრო-გეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი;

	<p>5. სსიპ – ჰიდრო-მეტეოროლოგიის ინსტიტუტი;</p> <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N220, 03.08. 2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ – ინსტიტუტი “ტალღა”; 2. სსიპ – საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი; <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N306, 13.10.2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ - ბიოტექნოლოგიის ცენტრი. <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება №185 09.07.2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ - ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი; 2. სსიპ - ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი; 3. სსიპ - არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი; <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N246, 20.08.2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ – ინსტიტუტი “ტექინფორმი”; <p><i>(სსიპ– ინსტიტუტი „ოპტიკა” და სსიპ– სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი საქართველოს მთავრობის დადგენილების პირველად-ორიგინალ ვერსიაში ასევე შეუერთდა ტექნიკურ უნივერსიტეტს, ხოლო 10.09.2010 N 279 კოდიფიცირებული ვერსიაში ეს 2 დაწესებულება არ ფიგურირებს).</i></p>
<p>ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი</p>	<p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N210, 27.07. 2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ -სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი; 2. სსიპ -სოფლის მეურნეობის ბიოტექნოლოგიის ცენტრი; 3. სსიპ - აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტი; 4. სსიპ - მეზაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი; 5. სსიპ - ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N220, 03.08. 2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ - მეცხოველეობისა და საკვებწარმოების ინსტიტუტი; 2. სსიპ - იულონ ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტი; 3. სსიპ - მიხეილ რჩეულიშვილის მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლების ინსტიტუტი; 4. სსიპ - ლევან ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი; 5. სსიპ - მეფუტკრეობის ინსტიტუტი; <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება №185 09.07.2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ - აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი;

	<p>2. სსიპ - მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტი;</p> <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N246, 20.08.2010</p> <p>1. სსიპ - კონსტანტინე ამირაჯიბის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტი;</p> <p>2. სსიპ - ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი;</p>
<p>ა(ა)იპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი</p>	<p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N220, 03.08. 2010</p> <p>1. სსიპ – სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი.</p> <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N246, 20.08.2010</p> <p>1. სსიპ - იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი.</p>
<p>ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>	<p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N50, 19.03.2009</p> <p>1. სსიპ – ქუთაისის სამეცნიერო ცენტრი</p>
<p>ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>	<p>NA</p>
<p>ა(ა)იპ - ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>	<p>NA</p>

ა რ ჩ ი ლ ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა

2009-2013 წლისათვის

პრეამბულა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულება ნათლადაა ჩამოყალიბებული სტუ-ს სტრატეგიული განვითარების 2007-2011 წლის გეგმაში. ჩვენ განზრახული გვაქვს შევინარჩუნოთ სტრატეგიული განვითარების ძირითადი ორიენტირები, დავადასტუროთ ერთგულება ევროპული საგანმანათლებლო გარემოს ძირითად პარადიგმათა მიმართ, რომელთაც საზოგადოება იცნობს როგორც: ბოლონიის¹, ლისაბონის², კოპენჰაგენის³ პროცესსა და ლისაბონის²⁻¹ კონვენციას.

¹**ბოლონიის პროცესი** - ევროპის 29 ქვეყნის უმაღლესი განათლების მინისტრმა 1999 წლის 19 ივნისს ბოლონიის დეკლარაციაზე ხელმოწერით საფუძველი ჩაუყარა პროცესს, რომლის მიზანსაც უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბება წარმოადგენს. საქართველო ბოლონიის პროცესს 2005 წელს შეუერთდა. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის წევრობა ნიშნავს: ევროპულ სივრცესთან თავსებად უმაღლესი განათლების სისტემას; განახლებულ საგანმანათლებლო პროგრამებს; სწავლებისა და კვლევის მაღალ ხარისხს; სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ურთიერთგაცვლას; უნივერსიტეტების ავტონომიას; დასაქმების უკეთეს შესაძლებლობებს და ა. შ. ბოლონიის პროცესი გასცდა ევროკავშირის საზღვრებს და მასში ამჟამად 45 ევროპული ქვეყანაა გაერთიანებული.

²**ლისაბონის პროცესი** - 2000 წლის მარტში ევროკავშირის საბჭომ დაამტკიცა სტრატეგია, რომლის თანახმადაც ევროპაში უნდა იყოს ყველაზე კონკურენტუნარიანი და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა, მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილებით. აღნიშნული მიზნების მისაღწევად ევროკავშირის მასშტაბით საჭირო გახდა არა მარტო ევროპული ეკონომიკის რადიკალური ტრანსფორმაცია, არამედ ასევე განათლების სისტემის მოდერნიზაციაც. ამ უკანასკნელის მისაღწევად ლისაბონის პროცესის ფარგლებში საფუძველი ჩაეყარა კოპენჰაგენის პროცესს.

³**კოპენჰაგენის პროცესი** - 2002 წლის ნოემბერში ევროკომისიისა და ევროკავშირის განათლების მინისტრების მიერ მიღებულ იქნა კოპენჰაგენის დეკლარაცია „პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სფეროში ევროპული თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ“, რომელიც ევროპული პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემის გაძლიერებას ისახავს მიზნად. კოპენჰაგენის პროცესში მონაწილეობა სავალდებულოა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის.

²⁻¹**ლისაბონის კონვენცია** - „ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენცია“, საქართველოს მიერ ხელმოწერილია 1997 წლის 11 აპრილს, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წლის 13 ოქტომბერს. კონვენციით განისაზღვრა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღიარების პროცედურა, რაც საშუალებას აძლევს საქართველოს მოქალაქეს მოითხოვოს მისი კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდის ცნობა/აღიარება ხელმოწერილ ქვეყნებისაგან. კონვენციის თანახმად, ყოველი მხარე აღიარებს მეორე მხარის კვალიფიკაციას ან უმაღლესი განათლების პროგრამის ჩარჩოში გავლილ სწავლის პერიოდს, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც შესაძლებელია საფუძველიანი განსხვავების დადასტურება.

საუნივერსიტეტო სწავლების ახალი მოდელი

საუნივერსიტეტო სწავლების ახალმა მოდელმა ხელი უნდა შეუწყოს პიროვნებას, რათა მან შექმნას ახალი, ღირებული და არ დაკმაყოფილდეს აწ უკვე მიღწეულით. სწავლების ეს ახალი მოდელი, საშუალებას უნდა აძლევდეს ადამიანს თავად შექმნას საკუთარი ბედი – ნიჭის, გონის, ცნობიერებისა და ხასიათის შესაბამისად.

ადრეულ პედაგოგიკაში გამოიყენებოდა სწავლების ე.წ. **“ცოდნითი მოდელი”**, სადაც ადამიანი მექანიკურად “უღრმავდებოდა” შესასწავლ საგანს, რაც ითვალისწინებდა ცოდნის ათვისებას “ნებისმიერი” გზით, მათ შორის დაზეპირებითაც. ამგვარად მიღებული ცოდნითა და მისი მრავალჯერადი გამეორებით გამომუშავდებოდა პროფესიული უნარ-ჩვევები, თუმცა მასში ნაკლებად ან თითქმის არ იყო გათვალისწინებული ადამიანის პიროვნული მისწრაფებანი და მოთხოვნილებანი. ცოდნის შექმნის აუცილებლობა ყალიბდებოდა გარეგანი “სტიმულებით”, მაგალითად: დასჯის მუქარით, მატერიალური უზრუნველყოფის დაბლოკვით და სხვა. სწავლების ასეთი მოდელის პროდუქტიულობა თანამედროვე საზოგადოებისათვის არასაკმარისია, ხოლო მისი ფორმა საფუძველშივე ეწინააღმდეგება პიროვნების უფლებებისა და დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებს.

დღეს ცხოვრება საუნივერსიტეტო განათლებისაგან ითხოვს სწავლების **“ნიჭისა და უნარის მოდელზე”** გადასვლას, სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული პიროვნულიდან გამომდინარე ცოდნის ათვისებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების წინაპირობები. ეს ახალი მოდელი შექმნილია ადამიანის რეალობის ობიექტური აღქმისა და განსაკუთრებული უნარების გამოყენება – განვითარების მიზნით, რის საფუძველზეც ყალიბდება პიროვნებაზე მიზანმიმართული სწავლების სისტემა, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს თვითმოტივაციას სწავლების მიმართ, რაც ნიშნავს თვითგამორკვევის (გვახსენებს ცნობილ ჭეშმარიტებას – “შეიცან თავი შენი”), თვითორგანიზების და თვითრეალიზების საბაზო პრინციპებს სწავლების ამგვარი მოდელის განხორციელებისას. ამ მოდელით აღზრდილი სპეციალისტი არ კითხავს საკუთარ თავს – მოწონს თუ არა “თავისი საქმე”, რადგანაც

მან წინასწარ იცის – ადამიანს მოწონს მხოლოდ ის, რაც “კარგად გამოსდის”, ხოლო კარგად გამოსდის ის - რისი ნიჭიც აქვს.

სწავლების თანამედროვე თეორიები დაფუძნებულია ერთის მხრივ - კოგნიტურ ფსიქოლოგიაზე და მეორეს მხრივ, განათლების თეორიისადმი კვლევით მიდგომებზე, ამდენად სწავლების პროცესის ეფექტურობისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ზემოთაღნიშნულ თეორიებში გარკვევა, რაც განხორციელებადია საუნივერსიტეტო სწავლების სისტემაში სპეციალური კომპონენტის, **ანდრაგოგიკის*** შეტანით, სწავლების ყველაზე ეფექტური მეთოდების მოძებნისათვის. ამ კუთხით სტუ-ში დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების სასწავლო ცენტრის ფუნქციონირებასა და განვითარებას.

როგორც პრემბულაში აღვნიშნეთ საბაზოდ ვიღებთ, სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ მოწონებულ სტრატეგიული განვითარების 2007-2011 წლის გეგმას. წარმოდგენილ დოკუმენტში თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ სტუ-ს განვითარების სტრატეგიული მიზნების მიღწევის მექანიზმების ჩამოყალიბების ჩვენებურ ხედვაზე.

***ანდრაგოგიკა** - წარმოდგება ბერძნული andros-სა (ზრდასრული, მოწიფული კაცი) და ago-სგან (გადღოლა) ნაწარმოებ ტერმინს და აღნიშნავს პედაგოგიური მეცნიერების იმ ნაწილს, რომელიც მოიცავს ზრდასრული ადამიანის მიერ ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ათვისების თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებს. ამასთან, ხსნის ათვისების პროცესის კანონზომიერებებს და პროფესიონალი პედაგოგის მხრიდან ამ პროცესის ხელმძღვანელობის განსაკუთრებულობას. ტერმინი პირველად გამოიყენა განათლების ისტორიკოსმა გერმანელმა კ. კაპმა (1833).

ანდრაგოგიკა განსხვავდება პედაგოგიკისაგან, რომელიც მოზარდთა განათლებაზეა ორიენტირებული. ზრდასრულთა განათლება მოზარდთა განათლებისაგან რამდენადმე განსხვავდება. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ ზრდასრულებს უკვე დაგროვილი აქვთ ცოდნის გარკვეული მარაგი და აქვთ გამოცდილება. მეორე განსხვავება ისაა, რომ ზრდასრულები მუდმივ მოლოდინში არიან იმისა, რომ ახალი ცოდნა მათ გამოადგებათ უკვე დასახული მიზნების მიღწევაში.

თანამედროვე რეალიები და პრობლემები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საკუთარ მომავალს უნდა ხედავდეს:

პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს საგანმანათლებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მისიაში;

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცის შესაბამისი, უმაღლესი პროფესიული დონის მინიჭებაში;

სტუ-ს ინოვაციათა და ტექნო-ტრანსფერთა რესურსების გლობალურ ინტეგრირებაში.

დადგენილი კანონზომიერებით სახელმწიფოს და ხალხის კეთილდღეობა 60-70% დამოკიდებულია ეფექტურ მართვაზე, ხოლო 30-40% - სხვა ფაქტორებზე. აღნიშნული, ცალსახად ვრცელდება ჩვენ უნივერსიტეტზეც. ამდენად უპირველესი ამოცანაა ეფექტური მართვის მექანიზმების და შესაბამისი საუნივერსიტეტო მოდელის დამუშავება.

ტექნიკურ უნივერსიტეტში მკაფიო პრიორიტეტად უნდა ჩამოყალიბდეს, სტუ-ში არსებული ყველა სპეციალობისათვის, საინოვაციო საგანმანათლებლო მიმართულება.

საგანმანათლებლო საინოვაციო პროგრამების შედგენისას გასათვალისწინებელია, როგორც სტუ-ს მდიდარი სამეცნიერო-ტექნოლოგიური გამოცდილება და პოტენციალი, ასევე ჩვენი საერთაშორისო კონტაქტები პარტნიორ უნივერსიტეტებთან. გარდა აღნიშნულისა, უმნიშვნელოვანესია პრინციპულად ახალი, დისციპლინათშორისი საინოვაციო საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უნდა შეიქმნას ახალი საგანმანათლებლო ფორმები, ე.წ. “კორპორაციული უნივერსიტეტები”, მაგალითად:

- მართვისა და ინოვაციების უმაღლესი სკოლა;
- სახელმწიფო ადმინისტრირების უმაღლესი სკოლა;

- ინოვაციური ბიზნესის უმაღლესი სკოლა.

”კორპორაციული უნივერსიტეტების” სამაგისტრო პროგრამები შეიქმნება ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელთა მიერ და მკვიდრ საფუძველს შეუქმნის მაღალი კლასის, დარგობრივ მენეჯერთა ჩამოყალიბებას.

სტუ-ს საგანმანათლებლო საინოვაციო პრიორიტეტის რეალიზაცია ხელს შეუწყობს მიღებული განათლების მაღალ ხარისხს, კურსდამთავრებულთა მობილობის გაუმჯობესებას და თანამედროვე სწავლების მეთოდების დინამიური განვითარების რეჟიმში ჩაბმას.

XXI საუკუნეში განათლების მაღალი დონე და ეკონომიკის წარმატებების ურთიერთკავშირი, განაპირობებს უმუშევრობის დაბალი დონის შენარჩუნებას და ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდას. მაგრამ განათლება და მეცნიერება, ვერ გადაწყვეტს ყველა ეკონომიკურ პრობლემას. კვლევათა შედეგების კომერციალიზაციის გარეშე, მეცნიერებაზე და განათლებაზე დახარჯული სახსრები უშედეგო აღმოჩნდება

სახელმწიფოთა მხრიდან ინოვაციათა ფინანსური მხარდაჭერის შესახებ მოხსენების(“**Public Financial Support for Commercial Innovation**”) ავტორთა აზრით, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ბიზნესისა და მეცნიერების თანამშრომლობის ე.ი. მეცნიერული აზრის კომერციალიზაციის უმდაბლესი ხარისხის გამო, აუცილებელია საგადასახადო და სხვა სახის შეღავათები ისეთი კომპანიებისათვის, რომლებიც ქმნიან კონსორციუმებს სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და სასწავლო დაწესებულებების მონაწილეობით. მათივე აზრით, კომერციალიზაციის ადრეულ ეტაპზე, ყველაზე ეფექტურია საგრანტო სისტემის გამოყენება კვლევების დასაფინანსებლად და ამ შედეგების ბიზნეს-რეალიზაციათა მოსამზადებლად, ხოლო მოგვიანებით კი საჭირო ხდება სარისკო(“ვენჩურული”) კაპიტალის მოძიება.

მიუხედავად ინოვაციათა სასიცოცხლო-აუცილებლობისა, ეკონომიკურად წარმატებულ ქვეყნებშიც კი პრობლემატური ხდება მეცნიერებაზე დანახარჯების გადიდება, რომელიც ორი მთავარი მიზეზითაა გაპირობებული:

პირველი: ნებისმიერი ახალი სამეცნიერო იდეა ან სიახლე უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს საზოგადოებასა და ეკონომიკაზე, ამასთან თავად გამომგონებლები, ხშირად ვერაფერს იღებენ და მოგება სხვებს რჩებათ, რის გამოც ითრგუნება “გამომგონებლობითი სტიმული”- ახალი იდეების შექმნის ინტერესი ეკარგებათ არა მხოლოდ მეცნიერებს და ინოვატორებს, არამედ იმ ადამიანებს ან სტრუქტურებს, რომლებიც ჩანასახიდანვე აფინანსებენ მეცნიერულ კვლევებს;

მეორე: “ინფორმაციული ასიმეტრიის” გამოვლინება – გამომგონებელმა(იდეის ავტორმა) გაცილებით მეტი იცის საკუთარი გამოგონებისა და მისი პოტენციური გამოყენების შესახებ, ვიდრე იმ ფინანსისტმა, ვისაც გააჩნია შესაბამისი სახსრები იდეის ფინანსური უზრუნველყოფისათვის. მეცნიერთათვის ძალზე რთულია ადექვატურად წარადგინონ საკუთარი იდეის ღირსებანი და დაამტკიცონ, რომ წარმოდგენილი სიახლე სამრეწველო რეალიზაციისას მოგებას მოიტანს. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ მეცნიერები და ინვესტორები სხვადასხვა ენაზე საუბრობენ, რაც დაფინანსების პრობლემატურობას განაპირობებს. სტუ-ს ფარგლებში მოსაფიქრებელია მათი ურთიერთდამაკავშირებელი სქემა, რომელზეც ქვემოთ შევჩერდებით.

განათლების დონე, ნებისმიერ სახელმწიფოში განაპირობებს ეკონომიკის მდგომარეობას, რის გამოც ოთხკომპონენტური “ცოდნის ეკონომიკა” წარმატებულად გამოიყენება თანამედროვე სახელმწიფო მშენებლობაში.

“ცოდნის ეკონომიკის” კომპონენტებია:

განათლება(მხოლოდ წიგნიერი და განსწავლული მოსახლეობა შეძლებს შექმნას ან გამოიყენოს ნებისმიერი სიახლე);

ინფორმაციული ინფრასტრუქტურა(ტელეკომუნიკაციის, მონაცემთა გაცვლის საშუალებანი და ა.შ.);

თამაშის წესები ეკონომიკაში(რაც ინვესტიციების მოზიდვის საშუალებას იძლევა ახალი ტექნოლოგიებისა და იდეების ადაპტირებისათვის მეცნიერებაში);

და ყველაზე მნიშვნელოვანი - “ინოვაციური სისტემა” (ლაბორატორიების, სამეცნიერო ცენტრებისა და უნივერსიტეტების განვითარებული ქსელი).

მეცნიერული კვლევის კომერციალიზაცია

ცხადია, რომ გარდა მეცნიერთა დარგობრივი პროფესიონალიზმისა, საჭიროა ადამიანთა ისეთი ფენა, რომელიც შეძლებს არამატერიალური აქტივების(ლიცენზიები, სავაჭრო ნიშნები, მეცნიერული გადაწყვეტები, პატენტები, ადამიანური კაპიტალი, ცოდნა) მატერიალურში გადაყვანას. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში(G7) მსხვილი კომპანიების ფასს განაპირობებს არამატერიალური, ინტელექტუალური აქტივები.

მეცნიერულ კვლევათა კომერციალიზაციას და ინოვაციურ ბიზნესს, საქართველოში, ორი მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი განაპირობებს. ესენია – NASDAQ -ის მსგავსი საფონდო ბაზრის და სარისკო კაპიტალის მქონე კომპანიების არ არსებობა; ინოვაციური ბიზნესის განვითარების ყველა დასავლური პროგრამა შექმნილია ისეთი ეკონომიკური რეალობისათვის, სადაც გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურა - საფონდო ბაზარი და რისკ-კაპიტალი. ასე რომ დასავლური გამოცდილება ინოვაციური ბიზნესისა და კვლევათა კომერციალიზაციისა საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის განვითარების მოდელად ვერ გამოდგება, ამიტომაც გვჭირდება მეცნიერულ კვლევათა კომერციალიზაციის ორიგინალური კონცეფცია და ინოვაციური ბიზნესისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შესწავლა. ეს ჩვენი გასაკეთებელია.

თანამედროვე სოციალ-ეკონომიკური განვითარების მთავარი ინდიკატორი მეცნიერული პოტენციალია. სამეცნიერო - საგანმანათლებლო, ინფორმაციული და ინტელექტუალური პოტენციალი(რაზეცაა დაფუძნებული XXI საუკუნის მაღალი ტექნოლოგიები) შეუძლებელია შეიქმნას დროის მცირე მონაკვეთში, თუნდაც კოლოსალური დანახარჯებით.

ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ მატერიალური აქტივები ქმნიან საბაზრო ღირებულების მხოლოდ ხილულ, მცირე ნაწილს.

დღეს ყველაზე დიდი შემოსავლები(განვითარებულ ქვეყნებში) მოაქვს “უხილავ” კაპიტალს ინტელექტუალური აქტივების ამუშავების ხარჯზე, ამიტომაცაა, რომ მრავალი კომპანია(ისევ განვითარებულ ქვეყნებში) დებს ინვესტიციებს განათლების სფეროში და არ ითხოვს ასეთ ინვესტიციებზე მყისიერ უკუგებას.

თანამედროვე წარმატებული კომპანიები აღიარებენ რა ცოდნას – კაპიტალად, “ხვდებიან” რომ ცოდნით მართვაზე უარის თქმა – ძალიან ძვირი დაუჯდებათ.

დღევანდელი პროდუქტის ღირებულების მზარდი ნაწილი წარმოადგენს მასშივე(პროდუქტში) ჩადებული ცოდნის წილს და სულ უფრო მზარდი ხდება ამავე ცოდნის მოცულობა პროდუქტის თვითღირებულებაში.

საქართველოს უზარმაზარი ინტელექტუალური პოტენციალი გააჩია, მაგრამ როგორც ყველა პოსტსოციალისტური ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი, ძალზე დაბალია, ფუნდამენტური კვლევების გამოყენებითი ასპექტების წილი, ისედაც მიზეზულ დანახარჯთა(ფუნდამენტურ კვლევებზე) უკუგება კი 0%-ის ფარგლებშია. ინოვაციური პროექტების მენეჯერთა ჩარევის გარეშე, რომელნიც მკვლევართა გუნდს დააკავშირებენ სარისკო კაპიტალის განმკარგავ ფინანსისტებთან და მრეწველებთან, მდგომარეობა ეკონომიკაში უკეთესობისკენ ძნელად თუ შეიცვლება.

სწავლების პერსპექტივები ტექნიკურ უნივერსიტეტში

რთული და წინააღმდეგობრივია განათლების სფეროს მდგომარეობა თანამედროვე მსოფლიოში. ერთი მხრივ, მთელი XX საუკუნის განმავლობაში, განათლება იყო ადამიანის სამოღვაწო სფეროთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი - სწორედ ამ სფეროს უმნიშვნელოვანესმა მიღწევებმა განაპირობეს გრანდიოზული სოციალური და მეცნიერულ-ტექნოლოგიური ცვლილებები, რაც დამახასიათებელი იყო გასული საუკუნისათვის. მეორე მხრივ, განათლების სფეროს გაფართოებამ და მისი სტატუსის

შეცვლამ განაპირობა ამ სფეროს პრობლემათა გამწვავება, რაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით განათლების სისტემის აშკარა კრიზისზე მიუთითებს.

ამგვარ ძიებებს, როგორც წესი, გააჩნია კონცეპტუალური საფუძველი, რომელიც წარმოდგენილია პოსტინდუსტრიული, საინფორმაციო საზოგადოების, ადამიანური კაპიტალის, ცოდნის ეკონომიკის და სხვა თანამედროვე კონცეფციებით.

ცხადია, რომ ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიები და განათლების სფეროს ორგანიზაციული სტრუქტურის ახალი ეკონომიკური მექანიზმები არის ის ფუნდამენტი რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნება განათლების კრიზისის გადალახვა და ახალი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, ე.ი. სისტემისა რომელიც იქნება ძალზე მოქნილი, ინდივიდუალიზებული და ორიენტირებული ადამიანის უწყვეტ განათლებაზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

ახალი საგანმანათლებლო სისტემის ფორმირება სტუ-ში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული განათლების სფეროს მართვის ტიპზე, რომლის(მართვის) თავისებურებანი გამოხატულია განათლების პრობლემათა გადაწყვეტაში არა მარტო საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში, არამედ სახელმწიფო პოლიტიკაშიც, ასევე საერთაშორისო, გლობალური პოლიტიკის თვალსაზრისითაც, რაც გულისხმობს განათლების ყველა საფეხურის მართვის სისტემურობის პრინციპს.

სტუ-ს საგანმანათლებლო სფეროს ეფექტურობის ამაღლება, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა განათლების ტექნოლოგიური სისტემის განვითარება განხორციელდება სხვა სისტემების (პედაგოგიური, ორგანიზაციული და ეკონომიკური) რადიკალური გარდაქმნის ფონზე.

განათლების სფეროსათვის საინფორმაციო ტექნოლოგიის არჩევა, ტექნოლოგიური პრობლემა კი არა - მმართველობითი პრობლემაა, რადგანაც მისი გადაწყვეტა მოითხოვს საგანმანათლებლო სფეროს ყველა სისტემის და ელემენტის ურთიერთკავშირს.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მართვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიუანსია: მასწავლებელთა შრომის დაყოფა; ინფორმაციული ტექნოლოგიების და

დარგობრივი სპეციალობების მქონე მასწავლებელთა გაერთიანება - ჯგუფებად, გუნდებად, რომელნიც ქმნიან თანამედროვე სასწავლო კურსებს.

სტუ-ს განათლების თანამედროვე სისტემა უნდა გავამდიდროთ ახალი ორგანიზაციული სტრუქტურებით: დისტანციური სწავლებით, ვირტუალური კლასებით. უნდა შევქმნათ და დავნერგოთ ელექტრონული უნივერსიტეტის ტექნოლოგია, რომელიც იქნება ახალი საფეხური ტრადიციული, დისტანციური და "ონ-ლაინ" სწავლების ფორმების განვითარებისა.

ტექნიკური უნივერსიტეტი და საბაზრო ურთიერთობანი

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მრავალი ქვეყნის საგანმანათლებლო სფეროში დამკვიდრება დაიწყო საბაზრო ურთიერთობებმა და აღნიშნული პროცესის საფუძველს შემდეგი ფაქტორები წარმოადგენდა:

- საზოგადოებაში ცოდნამ შეიძინა კაპიტალის სტატუსი და დღის წესრიგში დადგა საფინანსო წყაროების დივერსიფიცირების აუცილებლობა;
- სახელმწიფოს ახლებური დამოკიდებულების ჩამოყალიბება საგანმანათლებლო სისტემისადმი;
- ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება.

როგორც ცნობილია, ინფორმაცია და ცოდნა საზოგადოებრივი განვითარებისას იძენენ კაპიტალის სტატუსს და, რადგანაც ცოდნას და განათლებას მოაქვს კონკრეტული სარგებელი, იგი აუცილებლად ანაზღაურებადი უნდა იყოს. მაგრამ უნდა გაირკვეს, ვინ იღებს სარგებელს, ესე იგი ვინ უნდა გადაიხადოს ფული და როგორ უნდა მოხდეს სარგებლის იდენტიფიცირება, ანუ როგორ უნდა მოხდეს სწავლაზე გადასახადის განაწილება.

იმის გამო რომ განათლებას საბაზრო სტატუსი აქვს და სარგებელიც მრავალკომპონენტია, ეს განაპირობებს განათლების **შერეული დაფინანსების პრინციპს** და ასეთი ტიპის დაფინანსება ყველაზე უფრო მისაღებია.

საგანმანათლებლო პროდუქტებისა და მომსახურების ბაზრების განვითარების პირობებში შესაძლებელია გამოვყოთ განათლების სახელმწიფო (საბიუჯეტო) ფინანსირების ორი ძირითადი მიმართულება. პირველი: მრავალი ქვეყნის სახელმწიფო მართვის ორგანოები, აჩერებენ სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელობის ფუნქციონირებას და ამის სანაცვლოდ გამოდიან საგანმანათლებლო მომსახურების შემკვეთის და მომხმარებლის როლში. ამასთან სასწავლო დაწესებულებები არ გადადიან კერძო საკუთრების ფორმაში, მაგრამ იძენენ ადმინისტრაციულ დამოუკიდებლობას, ავტონომიას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **განათლების სახელმწიფო სექტორის შიგნით**, ყალიბდებიან ე.წ. **კვაზი-ბაზრები** - საგანმანათლებლო მომსახურების შემსრულებლის და მყიდველის დაყოფის გამო. თუ ადმინისტრაციული დაქვემდებარების შემთხვევაში სახელმწიფო მართვის ორგანოები ზემოქმედებდნენ ძირითადად დირექტივებით, კვაზი-ბაზრების შემთხვევაში განმსაზღვრელია ხელშეკრულება, კონტრაქტი, სადაც მკაფიოდ უნდა იყოს ასახული როგორც სასწავლო დაწესებულების, ისე მისი დამფუძნებლის- (სახელმწიფო ორგანოს) ვალდებულებები. როგორც წესი, ასეთი ხელშეკრულებები ითვალისწინებენ სასწავლო დაწესებულების ვალდებულებას, იმასთან დაკავშირებით, რომ სპეციალისტთა მომზადება უნდა მოხდეს სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად, ხოლო სახელმწიფო კი აფინანსებს ამგვარ საგანმანათლებლო მომსახურებას მის მიერვე დადგენილი წესების თანახმად.

სახელმწიფო ფინანსირების მექანიზმის ცვლილების **მეორე მიმართულებაა ე.წ. საკონტრაქტო გარიგება** - სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემების მიერ დადებული ხელშეკრულება, კონტრაქტი, არასახელმწიფო, კერძო ორგანიზაციებთან - იმგვარი საგანმანათლებლო პროდუქტისა და მომსახურების მისაღებად, როგორც ჭირდება საზოგადოებას. ამ მიმართულებით მოგვიწევს სერიოზული მუშაობა.

განათლების ფინანსურ წყაროთა **დივერსიფიცირების** პროცესი მსოფლიოში სათავეს იღებს XX საუკუნის 80-იანი წლებიდან. მაგალითად, 1990 წელს ჩატარდა უმაღლესი

განათლების ფინანსირების წყაროების და მეთოდების ცვლილებათა კვლევები ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნების ორგანიზაციის წევრთათვის (ავსტრალია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, იაპონია, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი და აშშ) - რის შედეგადაც დადგინდა რომ ჩამოთვლილ ქვეყანათა უმრავლესობაში უმაღლესი განათლების სისტემას საშუალება ეძლევა მოიძიოს განათლების ფინანსირების დამატებითი წყაროები. ეს პროცესი ყველაზე უკეთ განვითარდა აშშ-ში, სადაც მარკეტინგი ყველა უნივერსიტეტის მთავარი საზრუნავია, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და ნიდერლანდების უნივერსიტეტები ასევე სარგებლობენ ფინანსირების ფართო სპექტრის დამატებითი წყაროებით.

სტუ-ს უძველესი საგანმანათლებლო ტრადიციები გააჩნია. შეუძლებელია ამგვარი კულტურული მემკვიდრეობა არ იძლეოდეს მორალურ სტიმულს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის შესაქმნელად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციაზე ორიენტირებული მართვის ტოპოლოგია და სტრუქტურა

დღეს უკვე საყოველთაოდაა აღიარებული ინოვაციური პროცესის გადამწყვეტი როლი უმაღლესი სკოლის პროდუქტიული ფუნქციონირებისათვის. XXI საუკუნის “ცოდნის ეკონომიკა” დაფუძნებულია ინოვაციურ ტექნოლოგიებზე. ეკონომიკის ინოვაციურობა განისაზღვრება მრავალი ფაქტორით, მაგალითად: ინტელექტუალური პოტენციალით, ნორმატიული და ინსტიტუციონალური ბაზით, “ვენჩურული” კაპიტალით, საინოვაციო საქმიანობის მასტიმულირებელი სამართლებრივი სისტემით, საინოვაციო ინფრასტრუქტურით (ტექნოპარკები, ინტელექტუალური საკუთრების ბირჟები, ბიზნეს-ინკუბატორები, მცირე საინოვაციო საწარმოები), მეცნიერებასა და წარმოებას შორის აქტიური თანამშრომლობით და სხვა, ისე რომ საუნივერსიტეტო საინოვაციო სტრატეგია გათვლილი უნდა იყოს ინტელექტუალური ელიტის შესაქმნელად.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესაქმნელია საინოვაციო სისტემის სხვადასხვა ელემენტები, რომელთა უპირველესი მიზანია ახალი ბაზრების შექმნის საუნივერსიტეტო სტრატეგია, ასევე ბაზრის დღევანდელ მოთხოვნილებათა დადგენა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტექნიკური უნივერსიტეტი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს იდეის, ცოდნის და ტექნოლოგიის გენერაციის სისტემას, იმყოფება მთელი რიგი ნეგატიური ტენდენციების კონტრპროდუქტიული ზემოქმედების ქვეშ, მაგალითად:

- სახელმწიფო შეკვეთების მიზერული მოცულობები;
- უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების, შესაძლებლობების ხელოვნური შეზღუდვა;
- სასტარტო კაპიტალის, საინოვაციო ტექნოლოგიების და ინტელექტუალური საკუთრების ეკონომიკაში განსათავსებელი ინფრასტრუქტურის არ ქონა;
- სასწავლო-სამეცნიერო სფეროს დაფინანსების შიში - კრედიტოფობია, ბიზნეს-რისკებისა და ფინანსურ ვალდებულებათა პერსონალური პასუხისმგებლობისათვის მოუმზადებლობა;
- ინტელექტუალური საკუთრების ეკონომიკაში ჩართვისათვის საჭირო სამართლებრივი უზრუნველყოფის არ არსებობა.

აღნიშნული ნეგატიური ტენდენციები შესაძლებელია განეიტრალდეს სხვადასხვა მეთოდებით. სტუ-ში ახალი ეკონომიკური სტრუქტურირება უნდა ემყარებოდეს: საინოვაციო ცენტრებს, ტექნოლოგიური პარკებს, საინვესტიციო ფონდებს, საცდელ წარმოებებს, საკონსტრუქტორო ბიუროებს და სხვა, რომლებიც განაპირობებენ საბაზრო მექანიზმების ამუშავებას ტექნიკურ უნივერსიტეტში, შექმნიან ახალ სამუშაო ადგილებს მეცნიერებაში, წარმოებასა და სამეცნიერო – ტექნოლოგიური და ტექნიკური მომსახურების სერვისის სფეროში, როგორც პროფესორ-მასწავლებელთათვის და დამხმარე პერსონალისათვის, ასევე სტუდენტებისათვის. საჭიროა სტუ-ს საერთაშორისო კონტაქტების სტიმულირება უცხოურ უნივერსიტეტებთან, რომელთაც უკვე დიდი ხანი აქვთ მსგავსი ეკონომიკური სტრუქტურები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იღებს ინიციატივას ჩამოაყალიბოს მოქმედებათა იმგვარი ურთიერთკავშირი, რომელიც შექმნის ერთიან სისტემას, სადაც ტექნიკურ უნივერსიტეტს დაეკისრება ლიდერის, წამმართველის როლი და იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულებებით დაუკავშირდება ამ სისტემის თითოეულ სუბიექტს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთადერთი სწორი, პროგრესული გზა ე.წ. ცოდნის ეკონომიკაა.

საქართველოს გააჩნია პოტენციური **თვითკმარობა** და შეუძლია ცოდნის ეკონომიკის ეფექტური მართვისათვის საკუთარი **ინტელექტუალური, მმართველობითი ღირებულებების მქონე ტექნოლოგიის** შექმნა.

ამის განხორციელება შესაძლებელია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ახალი სტრუქტურების შექმნით, **ბიზნეს-ინკუბატორებიდან და ტექნოლოგიური პარკებიდან დაწყებული და მსხვილი საგანმანათლებლო-ტექნოლოგიურ გაერთიანებებით** დამთავრებული. სწორედ ამ გზით შეიძლება მოხდეს მცირე და საშუალო მაღალტექნოლოგიური ინოვაციური საწარმოების რეალიზება. სქემა ერთი შეხედვით მარტივია: **მეცნიერება-ტექნოლოგიები-ტექნიკური გადაწყვეტა-წარმოება**. მაგრამ ამ ჯაჭვში რომელიმე რგოლის უქონლობა ან ყველაფრის, მთლიანის მაგიერ ცალკეული ელემენტების მხარდაჭერა ეფექტს ნულზე დაიყვანს. ამიტომაცაა აუცილებელი სწორად მართვის ათვისება, რაც უპირველეს და უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩვენ ვაპირებთ შევექმნათ სისტემა უმაღლესი სკოლისა და ბიზნესის მონაწილეობით, **საინოვაციო-საწარმოო უნივერსიტეტის** ჩამოყალიბების მიზნით.

XXI საუკუნის მოთხოვნები დღის წესრიგში აყენებენ სწავლების ახალი ტექნოლოგიების დანერგვას სტუ-ში. უმაღლეს სკოლასა და რეალურ ცხოვრებას შორის უნდა ჩამოვაყალიბოთ გარკვეული ინფორმაციული სისტემა, განათლების იმამენტური ინფრასტრუქტურა, რომელიც განაპირობებს პროფესიული ცოდნის

ტრანსლირებას განათლების სისტემაში. ამგვარი კონცეპტუალური მიდგომა საშუალებას მოგვცემს ტექნიკური უნივერსიტეტი ჩამოვყალიბოთ იმგვარ ცენტრად ინტელექტუალური ტექნოლოგიებისა, რომელიც გავლენას მოახდენს როგორც მრეწველობაზე, ისე მისი ახალი, პერსპექტიული დარგების განვითარებაზე.

ცნება - ” **ინოვაციური უმაღლესი განათლება**” წარმოადგენს ახალი ცოდნისა და საინოვაციო დინამიკის სინთეზს. **ახალი ცოდნა** - ესაა იმგვარი მეცნიერული ცოდნა, რომელიც გენერირდება გამომგონებლობით; ხოლო **საინოვაციო დინამიკა** კი წარმოადგენს ტექნოლოგიის, პროდუქტის, მეთოდის და ახალი ცოდნის ტექნიკურ ან სოციალურ რეალობაში გარდაქმნის გზას.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში **საინოვაციო-საწარმოო უნივერსიტეტის** ფორმირება უნდა მოვახდინოთ თანამედროვე სისტემური **სასწავლო-სამეცნიერო და საწარმოო კომპლექსის** მოდერნიზაცია-სინთეზით, რომელიც ჰარმონიული იქნება თანამედროვე საბაზრო რეალიებთან, რაც დაფუძნებულია უწყვეტი განათლების იდეაზე, როგორც ფუნდამენტური ისე გამოყენებითი სფეროებისათვის, ასევე მძლავრ საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ ბაზაზე, სასწავლო პროცესის გაჯერებაზე რეალური პრაქტიკული, პრობლემური, გამოყენებითი, მეცნიერული მოდელებით, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ბაზრისა და ბიზნესის, დამქირავებლისა და კონკრეტული დამკვეთის მოთხოვნებთან.

კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმი არის **კლასტერი**. საზოგადოების სტრუქტურული ცვლილებისა და ბიზნესის განვითარების კვალდაკვალ ზემოთაღნიშნულ ორბუნებოვან სქემაში შეიჭრა **მესამე მხარე - დამქირავებელი**, რომლის როლშიც გვევლინებიან: **ბიზნესი და ბიზნეს-სტრუქტურები, არასახელმწიფო საწარმოები, ფირმები**. ამგვარ თანამშრომლობას აყალიბებს **კლასტერი(ახალი სტრუქტურა), კორპორაციული სამკუთხედის** სახით, მისი ტოპოლოგიაა: **საწარმოთა ჯგუფი** და მათთან თანამშრომელი **ორგანიზაციები**, მათ შორის **სტუ**, რომელნიც ურთიერთთავსებადნი არიან ბიზნესში.

საინოვაციო სამეცნიერო - საგანმანათლებლო ბიზნეს - კომპლექსი(კლასტერი) ყველაზე ეფექტური სტრუქტურაა სისტემისა - ”განათლება-მეცნიერება-

მრეწველობა”. ამიტომ სტუ-ში ყურადღება უნდა გამახვილდეს და ჩამოყალიბდეს **ბიზნესზე** ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი **საგანმანათლებლო-სამეცნიერო-სამეწარმეო ცენტრები**.

ინოვაციური მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების სწავლების განვითარება და მოდერნიზება განაპირობებს განათლების ინდივიდუალიზებული მიდგომის ეფექტურობას, სწავლების რეიტინგული სისტემის დამკვიდრებას, რაც უმნიშვნელოვანესია თანამედროვე ინფორმაციულ და დისტანციურ ტექნოლოგიებში.

საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამებისათვის მძლავრი მაკომპენსირებელი და **საადაპტაციო ბლოკის** შექმნა გულისხმობს უმაღლესკოლამდელი განათლების სტრუქტურის - **ლიცეუმის** შექმნას სტუ-სთან.

უნივერსიტეტის ყველა დონეზე **ხარისხის მრავალკომპონენტიანი** სისტემის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს სტუდენტთა ცოდნის ხარისხის ანალიზს, რაც იქნება წინაპირობა უნივერსიტეტისა და მის კურსდამთავრებულთა რეკლამირებისა **სამომხმარებლო ბაზარზე**.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

სტუ-ს სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა ინოვაციაზე ორიენტირებულ განათლებას უნდა ემსახურებოდეს, რისთვისაც უნდა განვითარდეს ინოვაციათა სამეცნიერო-საწარმოო-ტექნოლოგიური სტრუქტურების მხარდამჭერი რეჟიმი. ამ მიმართულებით აქტუალურია, უკვე კარგად აპრობირებული სტრუქტურების - ტექნოპარკების, ბიზნეს-ინკუბატორების, საინოვაციო-ტექნოლოგიური ცენტრების შექმნა.

საინოვაციო სტრუქტურა უაღრესად **”დაინტერესებულია”** სამეცნიერო-საწარმოო დანერგვების ზონებით, სადაც სამეცნიერო იდეები და ახალი ტექნიკის საცდელი ნიმუშები დაიყვანებიან საწარმოო ციკლში მომუშავე პროდუქტამდე. ეს კი ერთიათად გაზრდის ამ ჭრილში საუნივერსიტეტო შემოსავლებს.

სტუ-ს ინოვაციური კვლევისა და პროფესიული მოღვაწეობის თვალსაზრისით აუცილებელია გამოვყოთ:

- საქართველოს თვითკმარობის განმსაზღვრელი რესურსების ეკონომიკაში ჩართვის რეალიზაციები;
- მართვის სისტემები, ტელეკომუნიკაციები და ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- წყლის რესურსების მართვა და მონიტორინგი;
- ბიოინჟინერია;
- გარემოს დაცვა და საგანგებო სიტუაციათა მართვა;
- ნანოტექნოლოგიები და მასალათმცოდნეობა;
- სამშენებლო ტექნოლოგიები და არქიტექტურა;
- ენერგეტიკა;
- ქიმიის და მეტალურგიის კომპლექსის ტექნოლოგიები;
- კვებითი და გადამამუშავებელი ტექნოლოგიები;
- მანქანათმშენებლობის და სატრანსპორტო ტექნოლოგიები;
- სამხედრო-ტექნიკური მიმართულებები და ტექნოლოგიები;
- გამოყენებითი მეცნიერებები;
- ცოდნისა და რწმენის სისტემაშემქმნელი კანონზომიერებანი;
- ქართული ენის, ისტორიის და კულტურული მემკვიდრეობის საგანძურის სისტემური გააზრება.

ახალი ტექნოლოგიების შექმნა უნდა იყოს სტუ-ს პრიორიტეტი მეცნიერებატევადი პროდუქციის ბაზრებზე საკუთარი ადგილის დასაკავებლად. შესაქმნელია და განსავითარებელია სტრუქტურები ბაზრებზე ინოვაციური პროდუქციის დასამკვიდრებლად, აქვე აუცილებელია ინოვაციური მოღვაწეობის საკადრო უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ინოვაციური სფეროს სპეციალისტთა მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების მრავალსაფეხურიანი სისტემის შექმნას. ასეთი სისტემა ითვალისწინებს სპეციალისტთა მომზადებას საბაზო მიმართულებით, როგორც საფუძველს საინოვაციო სფეროს "საკადრო უსაფრთხოებისა".

სტუ-ს სტრუქტურათა მოდერნიზაცია

საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური ინტერესების გაერთიანება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა განათლება და მეცნიერება ითვალისწინებს ბიზნესის რეალურ პრობლემებს, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ საგანმანათლებლო-სამეცნიერო-საწარმოო კორპორატიული გაერთიანებების ორგანიზებით. ამგვარი გაერთიანებების ძირითადი კომპონენტები იქნება ერთის მხრივ, ინტელექტი, ცოდნა, და მეორეს მხრივ, ბიზნესთან ასოცირებული რამდენიმე სახის ინტელექტუალურ-მატერიალური მსაზღვრელი: მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოო ბაზა, პროექტთა მართვა, ბიზნეს-დაგეგმვა და იდეები, მარკეტინგი და მენეჯმენტი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის შექმნა

დღევანდელი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ საბაზრო ურთიერთობებს დღის წესრიგში შემოაქვს ტექნიკური უნივერსიტეტის გადაქცევა საბაზრო პრინციპებით მოქმედი სასწავლო-სამეცნიერო-საფინანსო-საწარმოო სტრუქტურად, რაც ნიშნავს ეკონომიკური უსაფრთხოების აქტუალობის მკვეთრ გაზრდას სტუ-ს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის და რაც აუცილებელი პირობა იქნება სტუ-ს დინამიური განვითარებისათვის. ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ფინანსური სტაბილურობისათვის ჩვენს მიერ შესაქმნელია განსახორციელებელ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რაც კონცეპტუალურად შესაძლებელია საკითხთა შემდეგი სახით დავაჯგუფოთ:

- ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც ეკონომიკური სუბიექტი, უნდა განვიხილოთ ერთიან სასწავლო-სამეცნიერო-საწარმოო-ეკონომიკურ კომპლექსად, სადაც საგანმანათლებლო და სამეცნიერო სექტორი უპირობო პრიმატით სარგებლობს;
- დასამუშავებელია სტუ-ს ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის მოდელი და ეკონომიკური უსაფრთხოების მონიტორინგის სქემა, სადაც მრავალი მონაცემი და კრიტერიუმი იქნება გასათვალისწინებელი; ეკონომიკური უსაფრთხოების

შეფასების მრავალი კრიტერიუმიდან უმთავრესნი არიან: სტუ-ს ეკონომიკური ეფექტურობა და ფინანსური სტაბილურობა, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის პოტენციალის ფაქტობრივ გამოყენებას ეკონომიკური მიზნებისათვის, სტუ-ს ბალანსის კომპლექსურ შეფასებას საფინანსო სისტემის ანალიტიკური მონაცემების მიხედვით;

- ჩვენ უნდა შევქმნათ მეთოდი სტუ-ს ეკონომიკური “ცხოვრების წესის” აღწერისა, რომელიც დაფუძნებული იქნება უნივერსიტეტის, როგორც სასწავლო-სამეცნიერო და საწარმოო კომპლექსის “მოგების” მიღების და განაწილების მოდელზე, რაც საშუალებას იძლევა კომპაქტურად და მკაფიოდ აღიწეროს სტუ-ს შემოსავლების მიღების მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები, როგორც აკადემიური ასევე ეკონომიკური საქმიანობიდან;
- ჩვენ უნდა დავაზუსტოთ ცნება უნივერსიტეტის არაკომერციულობისა და არამომგებიანობისა, რისი დეკლარირებაც არ ნიშნავს ტექნიკურ უნივერსიტეტში საწარმოო სექტორის და მასთან დაკავშირებული “მოგების” უგულვებელყოფას. აკადემიურ საქმიანობასთან შედარებით “მოგება” მეორადია და წარმართება სტუ-ს საწესდებო მიზნებისათვის;
- მუშავდება და წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები სტუ-ს სოციალ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური დაგეგმვისათვის, რაც საშუალებას იძლევა წინასწარ განისაზღვროს უნივერსიტეტის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები, კონცენტრირება გაუკეთდება ფინანსურ, ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულ და ეკონომიკურ რესურსებს ზემოთ აღნიშნული ძირითადი მიმართულებებისათვის;
- უნდა შეიქმნას ღონისძიებათა მთელი კომპლექსი საკადრო სტაბილიზაციისათვის სტუ-ში, რაც გულისხმობს: სტუ-ს თანამშრომელთა საკონტრაქტო სისტემის და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მეცნიერებატევადი ბიზნესის სფეროსათვის პროფესიონალთა მომზადებას;
- ჩვენ უნდა დავამუშავოთ სტუ-ს ერთიანი ბიუჯეტის ფორმირების იდეოლოგია, რაც ეკონომიკური წინსვლის დაგეგმვის საშუალებას მოგვცემს. ერთიანი ბიუჯეტირება საშუალებას მოგვცემს “მოგებისა” და “წაგების”

კატეგორიებიდან გადავიდეთ ბიუჯეტის “დეფიციტისა” და “პროფიციტის” კატეგორიებზე და ამით დავუსვათ წერტილი უნივერსიტეტის “არამომგებიანობაზე” დისკუსიას;

- შესაქმნელია ე.წ. სარეზერვო სისტემა, რაც წარმოადგენს საკასო გარღვევების თავიდან აცილების საშუალებას. სტუ-ს სჭირდება სარეზერვო სახსრები, რადგან ბიზნეს-ოპერაციებში მონაწილეობა დაკავშირებულია სხვადასხვა სახის რისკებთან;
- ტექნიკური უნივერსიტეტის, როგორც სანდო პარტნიორის რეპუტაციის მქონე ბიზნეს სუბიექტისათვის წარმოდგენილი იქნება “დროებით-თავისუფალი” თანხების მართვის მეთოდი, რაც საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას დამატებითი შემოსავალი მეორადი საინვესტიციო პორტფელის შესაბამისად და მივაღწიოთ მაქსიმალურად შესაძლო ეფექტურობას;
- საინვესტიციო პროექტების რეალიზაციისათვის დასამუშავებელია მოზიდული სახსრების მართვის სქემა, ეფექტურობის კრიტერიუმები და საუნივერსიტეტო საინვესტიციო პორტფელის სტრუქტურა, სადაც შემოსავლები რეალიზებული პროექტებიდან დაფარავენ ვალის მომსახურებისა და გადახდის ხარჯებს;
- შესამუშავებელია რეკომენდაციები სტუ-სთვის მხარდამჭერი სისტემის შესაქმნელად, რომელსაც ტექნიკური უნივერსიტეტის მხარდამჭერი ფონდი ერქმევა და რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება მუნიციპალური და საქმიანი წრეებისაგან საფინანსო და საინვესტიციო რესურსების აკუმულირება შემოსავლების მისაღებად, რაც წარმართება სტუ-ს საწესდებო მიზნების აღსრულებისათვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური უსაფრთხოების მართვის ინსტრუმენტის რეალიზება ახალი მიმართულებაა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებადი უმაღლესი სკოლისათვის. აღნიშნული წარმოადგენს ინოვაციურ გარდაქმნათა და ეკონომიკის დივერსიფიკაციის სამეცნიერო საფუძველს და ემსახურება უნივერსიტეტის უმთავრეს მიზანს – საგანმანათლებლო მომსახურებისა და კვლევების დონის მკვეთრ ამაღლებას.

**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო
(სტრატეგიული) გეგმა
(2011–2017 წ.წ.)**

**უნივერსიტეტი – მსოფლიო სამეცნიერო–საგანმანათლებლო
სივრცის ღირსეული წევრი**

1. უნივერსიტეტის მისია და ღირებულებები

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) მისია არის ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა; ცოდნის გენერირება და გავრცელება; სამეცნიერო კვლევების განვითარება; აკადემიური თავისუფლების დაცვა; სტუდენტსა და უნივერსიტეტის პერსონალზე ზრუნვა; თავისუფალი სამყაროს საუნივერსიტეტო საზოგადოების ღირსეული წევრობა.

უნივერსიტეტის ხედვაა ღირსეულად ატაროს საქართველოს პირველი ეროვნული უნივერსიტეტის სახელი, ისტორიულ პირველობასთან ერთად შეინარჩუნოს პირველობა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, მიეკუთვნებოდეს მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტთა რიცხვს, ხელი შეუწყოს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო კეთილდღეობას.

უნივერსიტეტის ღირებულებები ეფუძნება ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიით განსაზღვრულ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ეთიკურ იდეალებს; კრიტიკულ, შემოქმედებით და პროგრესულ აზროვნებას; ღია, დინამიურ და გამჭვირვალე ურთიერთობებს.

2. უნივერსიტეტის როლი

უნივერსიტეტმა, ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას. ჩვენმა უნივერსიტეტმა დაარსების დღიდან განსაკუთრებული ეროვნული მისია იტვირთა, განსაკუთრებული ნდობითა და პატივისცემით სარგებლობს და იგი არა მხოლოდ

სწავლებისა და კვლევის უნივერსალურ აკადემიურ ცენტრად, არამედ ზოგადად, ერის სულიერი განვითარების სიმბოლოდ აღიქმება.

უნივერსიტეტი აცნობიერებს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ როლს. შესაბამისად, სტრატეგიულ მიზნად ისახავს, რომ მისმა საქმიანობამ მოიცვას საზოგადოების ყველა სფერო, შეიმუშაოს ობიექტური, კვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციები მნიშვნელოვანი სოციალური პროცესების სამართავად. ამასთან, ითვალისწინებს გლობალური ურთიერთგაგების, საერთაშორისო კომპეტენციების, ერთობლივი პასუხისმგებლობის მზარდ მოთხოვნებს და ორიენტირებულია საერთაშორისო პერსპექტივებსა და ვალდებულებებზე.

ითვალისწინებს რა საზოგადოების მოლოდინებსა და მოთხოვნებს, უნივერსიტეტი საზოგადოებასთან მჭიდრო კონტაქტში ფუნქციონირებს, ხელს უწყობს ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებების პოპულარიზაციას, ახორციელებს საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე პროცესებში აქტიურ კონსულტაციურ ჩართულობას.

სწავლებისა და კვლევის მეშვეობით, უნივერსიტეტი ხელს უწყობს ეროვნული და დემოკრატიული ღირებულებების აღიარებას, საზოგადოების ინტელექტუალურ, სოციალურ–ეკონომიკურ თუ კულტურულ განვითარებას.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ორი ამოცანის შესრულებას: პროფესიონალის ფორმირება და მოქალაქის აღზრდა: უნივერსიტეტის მიერ მომზადებული კადრი უნდა იყოს მაღალი ხარისხის კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელიც განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს კონკრეტული საქმიანობის სფეროში და, ამავე დროს, იქნება იმ სოციალურ–კულტურული ღირებულებების მატარებელი, რომლებიც უზრუნველყოფს მის სრულფასოვან სოციალიზაციასა და უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის პოზიტიურად, საზოგადოებისათვის სასარგებლოდ გამოყენებას.

უნივერსიტეტი მიზნად ისახავს ინოვაციებზე, ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებული განათლებისა და კვლევის პროცესების უზრუნველყოფას.

საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში უნივერსიტეტის ძირითად ორიენტირებს წარმოადგენს განათლებისა და მეცნიერების ფუნდამენტურობა, ტრადიციულობა, კვლევის, სწავლებისა და აღზრდის პროცესების სინთეზი, მაღალხარისხიანი, ხელმისაწვდომი და თანამედროვე დონის კლასიკური და ამავე დროს, უნივერსალური, ინოვაციური, ტრანსფორმირებადი, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა, რეგიონულ თუ მსოფლიო მასშტაბის სამეცნიერო–საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებში ინტელექტუალური, სოციალური, მორალური ინიციატივების ფორმირებას, მხარს უჭერს მათ ინიციატივებს.

როგორც თანამშრომელთა და სტუდენტთა ერთობა, უნივერსიტეტი უნდა იყოს ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლებისა და კორპორატიული ეთიკის დაცვის ინიციატორი.

უნივერსიტეტების ხარისხის ერთ–ერთი ძირითადი მაჩვენებელი არის კვლევის განვითარება, ამიტომ უნივერსიტეტი განსაკუთრებულად ზრუნავს მომავალი მეცნიერებისათვის თავისუფალი სივრცის შექმნასა და სამეცნიერო დარგების მრავალფეროვნებაზე. დიდი ყურადღება ექცევა ისეთ დარგებს, რომლებიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის აკადემიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას. ამასთან, აქცენტი კეთდება სამეცნიერო კომუნიკაციაზე, რათა მთელ საზოგადოებას მიეცეს ახალი ცოდნის გამოყენების საშუალება.

უნივერსიტეტი ცდილობს მჭიდრო კავშირები ჰქონდეს ბიზნეს–საზოგადოებასთან, გეგმავს ინიციატივებს, რომლებიც ხელს შეუწყობს კვლევის შედეგების კომერციალიზაციას.

განათლებაზე მოთხოვნის ზრდის გათვალისწინებით უნივერსიტეტი იღებს პასუხისმგებლობას მოსახლეობის რაც შეიძლება დიდ ნაწილს მისცეს მაღალი სტანდარტის აკადემიური ხარისხის მოპოვების საშუალება. უნივერსიტეტში უნდა შეიქმნას განათლების მოქნილი, სოციალურ მოთხოვნებზე მორგებული სისტემა, რომელიც ღია იქნება საქართველოსა და მსოფლიოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის.

როგორც ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ცენტრალური და უმნიშვნელოვანესი ინსტიტუცია, უნივერსიტეტი აქტიურად ერთვება საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმისტულ პროცესებში, ეფექტურად მონაწილეობს სასკოლო განათლების პრობლემების შესწავლა/გადაჭრაში.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები ხელს უნდა უწყობდეს სასწავლო მობილობასა და არჩევითობას, სწავლისა და კვლევის უწყვეტობას.

3. კონკურენცია და თანამშრომლობა

უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვა უნივერსიტეტებთან და ხელს უწყობს ერთიან საუნივერსიტეტო სტრუქტურას.

მისი კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი პარამეტრებია კვლევითი გარემოს, თანამშრომლობის სფეროებისა და ეროვნული თუ საერთაშორისო კვლევითი პროექტების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები.

უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის ერთ–ერთი ძირითადი მაჩვენებელია ის, რომ სწავლის მსურველთა რაოდენობით საქართველოში იგი პირველ ადგილზეა.

უნივერსიტეტის სტუდენტები ინტენსიურად მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში.

უნივერსიტეტის მიზანია მოიზიდოს ახალი პერსონალი, მათ შორის უცხოეთიდან. ამ მიზნის განსახორციელებლად კი მან უნდა გაზარდოს საერთაშორისო აქტივობების ხვედრითი წილი და თანამშრომლობა უცხოელ პარტნიორებთან.

უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო (სტრატეგიული) გეგმა

ტრადიციულად, უნივერსიტეტის ქვაკუთხედს განათლება და კვლევა წარმოადგენს. უნივერსიტეტი მიზნად ისახავს მოამზადოს ნიჭიერი ახალგაზრდა კადრები, მზადაა დაეხმაროს მათ სწავლის გაგრძელებასა ან/და მუშაობის დაწყებაში.

უნივერსიტეტის ათვისების წერტილებია: განათლება, კვლევა, პოტენციალის განვითარება, კვლევაზე დაფუძნებული რჩევა.

ძირითადი საქმიანობა:

- კვლევა;
- შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირება;
- კონსულტირება და ცოდნის გადაცემა;
- თანამედროვე სტანდარტების განათლება და ცოდნის გავრცელება.

შიდა ხელშეწყობა:

- პროფესიონალური და თანმიმდევრული მართვა;
- ეფექტური ხელშეწყობა და მომსახურება;
- თანამედროვე აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა;
- თანამედროვე ხარისხის უზრუნველყოფა.

პრიორიტეტები:

- კვლევითი გარემო;
- სასწავლო გარემო;
- ინტერნაციონალიზაცია;
- კომპეტენციების განვითარება;
- პროფილი.

1. კვლევა

უნივერსიტეტი საქართველოს წამყვანი კვლევითი დაწესებულებაა. მისი კვლევითი პოტენციალი ფარავს მეცნიერების მრავალ დარგს. უნივერსიტეტის მიზანია განავითაროს როგორც საგანზე ორიენტირებული, ისე ინტერდისციპლინური კვლევები. უნივერსიტეტი საქმიანობას აწარმოებს ყველა მიმართულებით დაწყებული საბაზისო, გამოყენებითი და სტრატეგიული კვლევებით, დამთავრებული კვლევაზე დაფუძნებული კონსულტაციებითა თუ ცოდნის გადაცემით.

უნივერსიტეტი მიზნად ისახავს კვლევის პროდუქტიულობისა და ხარისხის ამაღლებას, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში (იმპაქტ-ფაქტორის მქონე) გამოქვეყნებული სტატიების, ეროვნული და საერთაშორისო გრანტების რაოდენობის, პატენტების რიცხვის გაზრდა და ზოგადად, კვლევის შედეგად მეტი თანხის მოზიდვა.

მიზნები და ამოცანები:

- კვლევითი გარემოს ხელშეწყობა;
- კვლევის საერთაშორისო აღიარების გაძლიერება;
- კვლევითი ჯგუფების არსებობა ყველა სამეცნიერო სფეროში;
- ორიგინალური და ინოვაციური კვლევების ჩარჩოს შექმნა;
- კვლევის გაძლიერება განვითარებული კვლევითი მობილობისა და ცვლილებების გათვალისწინებით;
- აღიარებულ ჟურნალებში დასაბეჭდი პუბლიკაციების რიცხვის გაზრდა და წახალისება.

2. შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირება

სამეცნიერო საქმიანობისათვის ახალგაზრდების მოზიდვის მიზნით უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სადოქტორო პროგრამებსა და დოქტორანტურის შემდგომ კვლევას.

მიზნები და ამოცანები:

- სადოქტორო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- საუკეთესო შესაძლებლობების სტუდენტებისათვის ისეთი გარემოს შეთავაზება, რომ მათ თავისუფლად იგრძნონ თავი და მიაღწიონ დასახულ მიზნებს;
- მკვლევარების რაოდენობის გაზრდა;
- უწყვეტი კვლევითი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება;
- უნივერსიტეტის საერთაშორისო სტრატეგიული ალიანსების გაძლიერება;
- კვლევითი გარემოს განვითარებაზე ორიენტირებული ფინანსური ჩარჩოს შექმნა;
- სამაგისტრო, სადოქტორო და დოქტორანტურის შემდგომ საფეხურებზე უნივერსიტეტის საუკეთესო მკვლევარების მიერ ხელმძღვანელობისა და კონსულტირების უზრუნველყოფა;

- გრძელვადიანი კვლევითი პროგრამების შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს მკვლევარების კავშირს უნივერსიტეტთან.

3. კონსულტირება და ცოდნის გადაცემა

უნივერსიტეტი მიმართულია ცოდნის გენერირებისა და გავრცელებისაკენ. ის ქმნის ღირებულ ცოდნას, რომელიც გამოსადეგია საზოგადოების სხვადასხვა სექტორისათვის, განსაკუთრებით კი სახელმწიფო ორგანოებისა და ბიზნესისათვის. ამ მიმართულებით იმართება კვლევაზე დაფუძნებული კონსულტაციები.

მიზნები და ამოცანები:

- დამოუკიდებელი კვლევაზე დაფუძნებული საკონსულტაციო სამსახურების შექმნა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გადაწყვეტილებათა მიღება საუკეთესო გამოცდილებაზე დამყარებით;
- მომხმარებელზე ორიენტირებული, კვლევაზე დაფუძნებული კონსულტაცია;
- ბიზნეს-საზოგადოებასთან მუშაობა და ახალი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა;
- კვლევითი ბაზის გამოყენება კონსულტაციისათვის;
- ინოვაციური და ინტერდისციპლინური კვლევების გაძლიერება;
- ბიზნეს-საზოგადოებასა და უნივერსიტეტს შორის ტექნოლოგიებისა და კვლევითი ინოვაციების გადაცემის გაზრდა.

4. თანამედროვე სტანდარტების განათლება და ცოდნის გავრცელება

უნივერსიტეტი არის გამორჩეული საგანმანათლებლო დაწესებულება. მისი საგანმანათლებლო პროგრამები პასუხობს ეროვნული ხარისხის სტანდარტებს. უნივერსიტეტის მიზანია მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან, უნივერსიტეტამდელ, ასევე პროფესიული გადამზადების საფეხურთან და ცდილობს შექმნას მათთან ერთობლივი საგანმანათლებლო სისტემები.

უნივერსიტეტის მიზანია იყოს ლიდერი საზოგადოებისათვის ცოდნის გადაცემაში. ამ საქმეში კი მთავარი მოქმედი პირები სწორედ ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და სტუდენტები არიან. უნივერსიტეტს აქვს მუზეუმი და შემეცნებითი ცენტრები, აწყოფს დებატებსა და სხვა ღონისძიებებს.

მიზნები და ამოცანები:

- უნივერსიტეტის სხვადასხვა სფეროში მაღალი ხარისხის აკადემიური პროგრამების შეთავაზება;
- მომავლის მოთხოვნების შესაბამისი ახალი აკადემიური პროგრამების შექმნა;
- უწყვეტი განათლების მიზნის, რელევანტურობისა და ხარისხის ზრდა;
- საქართველოსა და საზღვარგარეთის საუკეთესო სტუდენტების მოზიდვა;

- საგანმანათლებლო პროგრამებმა უნდა დააკმაყოფილოს ეროვნული და საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტები;
- დაადგინოს კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც მოხდება საბაკალავრო პროგრამების რაოდენობის ლიმიტირება და სამაგისტრო პროგრამების გამრავალფეროვნება;
- სასკოლო განათლების პრობლემების შესწავლა/გადაჭრაში აქტიური მონაწილეობა;
- შექმნას კურსდამთავრებულთათვის უწყვეტი საგანმანათლებლო პროგრამების ფართო სპექტრი და უზრუნველყოს მათთან კავშირი ალუმნის ქსელის დახმარებით;
- დაამკვიდროს კრედიტების მოქნილი სისტემა, რომელიც სტუდენტებს საგნების ახლებური კომბინირების საშუალებას მისცემს;
- უნივერსიტეტის მუზეუმი და მედია საშუალებები უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების სხვადასხვა სექტორის კომუნიკაციას კვლევაზე დაფუძნებული ცოდნით.

5. პროფესიონალური და თანმიმდევრული მართვა

უნივერსიტეტის ეფექტური საქმიანობის წინაპირობა არის პროფესიონალური და შეთანხმებული მართვა. გაზრდილი რესურსები ხელს შეუწყობს უფრო მეტ კვლევას, კვლევაზე დაფუძნებულ რჩევასა და პროგრამების განვითარებას მომავლის მოთხოვნების შესაბამისად. ამ პროცესებში კი წამყვანი როლი სწორედ მენეჯმენტს ეკისრება.

მიზნები და ამოცანები:

- ეფექტური და პროდუქტიული ადმინისტრაციული მენეჯმენტის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მიზნებისა და ამოცანების მიღწევას;
- აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა უნდა შეიმუშაონ ზუსტი ინსტრუქციები უნივერსიტეტის საქმიანობის განხორციელების პროცესებში სხვადასხვა რგოლის ეფექტური ურთიერთთანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით;
- მენეჯმენტი უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და მოტივირებული;
- იზრუნოს სხვადასხვა მმართველი ორგანოებისა და პირების კომპეტენციების სრულყოფასა და დეტალურ გამიჯვნაზე;
- განსაზღვრული უნდა იყოს ცენტრალური და დეცენტრალიზებული მმართველი ორგანოების ფუნქციები.

6. ეფექტური ხელშეწყობა და მომსახურება

საზოგადოება უნივერსიტეტისგან მოელის მაღალი ხარისხის მომსახურებას. ეს მომსახურება ვრცელდება როგორც სტუდენტებზე, ისე აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალსა თუ პარტნიორებზე.

მიზნები და ამოცანები:

- მომხმარებელზე ორიენტირებული ტექნიკური და ადმინისტრაციული მომსახურება;

- საკითხისადმი გამჭვირვალე, მოქნილი და ინტერდისციპლინური მიდგომა;
- მოახდინოს მიმდინარე და მომავალი ადმინისტრაციული საქმიანობის შეფასება და ახლებური გააზრება/ანალიზი;
- შექმნას ახლებური სისტემები სხვადასხვა სფეროში: აკადემიური პროგრამების ადმინისტრირების, ფინანსური, საინფორმაციო ტექნოლოგიების, საბიუჯეტო და პერსონალის მართვის სისტემები;
- მომსახურება და ადმინისტრირება უნდა იყოს ადაპტირებული სხვადასხვა სახის მოთხოვნებთან, როგორცაა ადგილმდებარეობა, აკადემიური სფერო და სხვა მახასიათებლები;
- უნდა განისაზღვროს ძირითადი მომსახურების მიზნები; ადმინისტრაციული და ტექნიკური სფეროების გათვალისწინებით უფრო ეფექტური უნდა გახდეს მომსახურება.

7. თანამედროვე აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა

ინოვაციური ინფრასტრუქტურა არის თანამედროვე კვლევითი უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტი. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს თანამედროვე ლაბორატორიების, ტექნიკური აღჭურვილობის, მონაცემთა ბაზებისა და საძიებო სისტემების გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

უნივერსიტეტს აქვს ინტერნეტ-ქსელი და მუშაობს სხვადასხვა ტექნოლოგიური სისტემების გამოყენებით. ბიბლიოთეკები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტსა და დეპარტამენტში. ცენტრალურ ბიბლიოთეკას უკავია საკმაოდ დიდი ფართი.

მიზნები და ამოცანები:

- თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის ეფექტურ ფუნქციონირებას;
- უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობის განხორციელების ადეკვატური გარემოს შექმნა;
- ეფექტური ტექნოლოგიური სისტემების შექმნა;
- მოამზადოს უნივერსიტეტის კვლევის, სწავლებისა და საინფორმაციო საჭიროებების საინვესტიციო გეგმა;
- მოამზადოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განვითარების გეგმა;
- მოამზადოს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების გეგმა;
- მოამზადოს გარემოს უწყვეტი განვითარების გეგმა.

8. თანამედროვე ხარისხის უზრუნველყოფა

უნივერსიტეტის მუშაობის აუცილებელი ნაწილია ხარისხის უზრუნველყოფა. ტრადიციულად უნივერსიტეტი ყოველთვის ზრუნავდა მისი აკადემიური და კვლევითი აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფაზე. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოწმდება

და ფასდება როგორც აკადემიური პერსონალის შესაბამისობა, ისე დისერტაციებისა და პუბლიკაციების ხარისხი.

საგანმანათლებლო პროგრამებისა გარე ექსპერტიზა ქმნის ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებს. სწავლის პერიოდში სისტემატურად ხდება სწავლების ხარისხის შიდა შეფასებაც.

ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად საზომს წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები.

ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან.

მიზნები და ამოცანები:

- მენეჯმენტის უმნიშვნელოვანეს ნაწილად აქციოს ხარისხის უზრუნველყოფა;
- ხარისხის სტანდარტებთან უნივერსიტეტის საქმიანობისა და მომსახურების შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური შიდა სისტემების შემუშავება;
- წარმატებული გარე შეფასებების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის უზრუნველყოფა;
- დახვეწოს ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სისტემები;
- უზრუნველყოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის შესაბამისობა ხარისხის ეროვნულ სტანდარტებთან;
- განსაზღვროს საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან ურთიერთობის ათვლის წერტილები.

9. კვლევითი გარემო

უნივერსიტეტს აქვს ადეკვატური კვლევითი გარემო. ეს გარემო კიდევ უფრო უნდა განვითარდეს და გაძლიერდეს. კვლევითი გარემო, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებას. ზოგიერთ დარგს სჭირდება სპეციფიკური კვლევითი გარემო, რაზეც სათანადოდ ზრუნავს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

მიზნები და ამოცანები:

- უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევითი აქტივობის გაძლიერება;
- კვლევითი პოტენციალის ამაღლების მიზნით იმ თანამემამულეების უნივერსიტეტთან ინტეგრირება, რომლებიც მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებსა და კვლევით დაწესებულებებში მუშაობენ; უცხოელი მკვლევრების მოზიდვა;
- გრძელვადიანი კვლევითი სტრატეგიული გეგმის მომზადება;
- ახალი, მოქნილი საორგანიზაციო სტრუქტურების შექმნა.

10. სასწავლო გარემო

უნივერსიტეტის სასწავლო გარემო მთლიანად ითვალისწინებს ბოლონის პროცესის მოთხოვნებს. სტუდენტებს აქვთ სასწავლო კურსების მრავალფეროვანი კომბინირებისა და მობილობის შესაძლებლობა.

მიზნები და ამოცანები:

- თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც მოიზიდავს საუკეთესო სტუდენტებს;
- სტუდენტობის წლების ახალგაზრდებისათვის საუკეთესო ხანად ქცევა;
- შექმნას თანამედროვე სწავლების ადეკვატური სასწავლო გარემო;
- შექმნას საუნივერსიტეტო ქალაქი;
- განავითაროს სტუდენტური თვითმმართველობა;
- ჩამოაყალიბოს მჭიდრო კავშირი უნივერსიტეტსა და პარტნიორებს შორის;
- დახვეწოს სასწავლო გარემოს შეფასებისა და მონიტორინგის სისტემა.

11. ინტერნაციონალიზაცია

უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირები ითვალისწინებს თანამშრომლობას ყველა საფეხურის საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებში. მას აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კვლევით ცენტრებთან.

მიზნები და ამოცანები:

- დამკვიდრდეს როგორც ღია, მოწინავე და საერთაშორისო უნივერსიტეტი;
- ინტერნაციონალიზაცია შეეხოს უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა სფეროს;
- გაძლიერდეს სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლა;
- გაწევრიანდეს საერთაშორისო ქსელებსა და ფორუმებში;
- გადახედოს საერთაშორისო ხელშეკრულებების რაოდენობას;
- მოახდინოს უცხოელი და ადგილობრივი სტუდენტების კონსოლიდაცია და ხელი შეუწყოს მათ კომუნიკაციას;
- გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის ადმინისტრაციული მხარდაჭერა;
- გააძლიეროს უცხოელ მკვლევართა მობილობა;
- შექმნას ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების მრავალფეროვანი სახეები და გაზარდოს საზაფხულო სკოლების რაოდენობა.

12. კომპეტენციების განვითარება

უნივერსიტეტის აქტივობების ხარისხი დამოკიდებულია მისი პერსონალის მიერ შესრულებულ შრომაზე. ამდენად, პერსონალს უნდა ჰქონდეს პიროვნული და

პროფესიული განვითარების შესაძლებლობა, დამოუკიდებლობა საკუთარი შრომის დაგეგმვაში. შესაბამისად, უნივერსიტეტმა თავის პერსონალს ხელი უნდა შეუწყოს შემდგომ განვითარებასა და საერთაშორისო მობილობაში.

უნივერსიტეტი უნდა ზრუნავდეს მისი პერსონალის უწყვეტ განათლებაზე.

მიზნები და ამოცანები:

- ჰყავდეს საუკეთესო პერსონალი;
- ჰქონდეს პერსონალის კომპეტენციების განვითარების სტრატეგია;
- უნივერსიტეტის პერსონალის მრავალფეროვნების უზრუნველყოფა;
- პერსონალის მოტივაციის, შრომის ნაყოფიერებისა და ინოვაციის ხელშეწყობა;
- უწყვეტი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პერსონალის კომპეტენციების შემდგომ განვითარებას;
- პერსონალის მიღების ინოვაციური პროცედურების შემუშავება.

13. პროფილი

უნივერსიტეტი არის უნივერსალური, აკადემიური საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი. ის ღიაა საზოგადოებისათვის. უნივერსიტეტი, მისი პერსონალი და სტუდენტები არიან გამუდმებით ძიებაში, რათა მიაღწიონ მეცნიერების ახლებურ გააზრებას და უნივერსიტეტში შექმნილი ცოდნა სასარგებლო გახდეს მთელი საზოგადოებისათვის.

დამოუკიდებლობა, აკადემიურობა, უნივერსალურობა, შინაგანი სიმპლიერე, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები ქმნის იმ პროფილს, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის სპეციფიკასა და თვითმყოფადობას.

მიზნები და ამოცანები:


- უნივერსიტეტის გამჭვირვალობის, რეპუტაციისა და ზეგავლენის ზრდა ერთიანი პროფილის გათვალისწინებით;
- უნივერსიტეტის მისიაზე, ხედვასა და ღირებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო პროფილის შექმნა;
- მენეჯმენტის ორიენტირება პროფილზე;
- ახალი დიზაინის პროგრამების შექმნა;
- უნივერსიტეტის მედია პროფილის გაანალიზება და საკომუნიკაციო სტრატეგიის განვითარება;
- საკომუნიკაციო სტრატეგიების შემუშავება.

დანართი V


სტრუქტურა

- 1) საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოხუმის უნივერსიტეტის დროებითი სტრუქტურა
- 2) სტუ–ს ორგანიზაციული სტრუქტურა
- 3) აგრარული უნივერსიტეტის სტრუქტურა
- 4) აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურა
- 5) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრუქტურა


საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოხუმის უნივერსიტეტის დროებითი
სტრუქტურა




სტუ-ს ორბანიზაციული სტრუქტურა



- უაკულტებები**
1. სამშენებლო უაკულტები
 2. ენერჯეტიკის და ტელეკომუნიკაციის უაკულტები
 3. სამთო-გეოლოგიის უაკულტები
 4. ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის უაკულტები
 5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის უაკულტები
 6. არქიტექტურის, ურბანიტიკის და დიზაინის უაკულტები
 7. ბიზნეს-ინჟინერინგის უაკულტები
 8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების უაკულტები



თბილისის სახელმწიფო საავადმყოფო უნივერსიტეტის სტრუქტურა



დანართი VI
უნივერსიტეტების ბიუჯეტები

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის ხარჯები
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; შემოსავლები და ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით; ნაერთი ბიუჯეტი 2011 წელი
3. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2012 წლის ბიუჯეტი
4. ა(ა)იპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012 წლის ბიუჯეტი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
 უნივერსიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის ხარჯები

პროექტი

დასახელება	ლარი
1	2
მთლიანი ასიგნებები	58,362,258
ხარჯები	57,047,513
შრომის ანაზღაურება	24,792,331
ხელფასები	24,792,331
ხელფასები ფულადი ფორმით	24,792,331
თანამდებობრივი სარგო	18,440,131
მათ შორის: აკადემიური პერსონალის	7,225,320
მათ შორის: ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის	7,775,664
მათ შორის: სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების პერსონალის	3,439,147
პრემია	800,000
დანამატი	5,552,200
მათ შორის: აკადემიური პერსონალის	5,052,200
მათ შორის: ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის	500,000
საქონელი და მომსახურება	28,188,044
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	15,893,375
მივლინება	767,890
ოფისის ხარჯები	6,243,394
წარმომადგენლობითი ხარჯები	1,182,040
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	100,000
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	344,300
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	3,657,045
გრანტები	1,133,538
სხვა ხარჯები	2,933,600
არაფინანსური აქტივების ზრდა(ძირითადი აქტივები)	1,314,745
შენობა ნაგებობები	300,000
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	899,745
სხვა ძირითადი აქტივები	115,000

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
2012წლის ბიუჯეტის პროექტი

მოსალოდნელი შემოსავლები	ლარი
სასწავლო გრანტი	16,776,250
ეკონომიკური საქმიანობა	22,535,490
სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი დაფინანსება	1,300,000
სახელმწიფო ბიუჯეტი (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები)	4,397,290
სახელმწიფო (პრეზიდენტის) სტიპენდია	501,000
2011წლის გარდამავალი ნაშთი	6,000,000
ჯამი	51,510,030

სულ მოსალოდნელი გრანტები	6,852,228
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	2,437,228
საერთაშორისო გრანტები	3,806,000
ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის გრანტები	609,000
სულ შემოსავალი	58,362,258

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შ ე მ ო ს ა ე ლ ე ბ ი დ ა ხ ა რ ჯ ე ბ ი
ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ
ნაერთი ბიუჯეტი
2011 წ

ლარი

ნაშთი წლის დასაწყისში									
შემოსავლები									
1	სახელმწიფო ბიუჯეტიდან								
2	სამეცნიერო გრანტები								618289
3	პრეზიდენტის სტიპენდია								
4	ინფრასტრუქტურის განვითარების								
5	ფასიანი სწავლებიდან								29626625
6	ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლები								იჯარა 500000
									დეპოზიტი 290000
									სახელმწიფო-თემებიდან და ცენტრ-შემოსავ. 450000
ჯამი:									31484914
№	”	კოდი	სახელმწიფო ბიუჯეტი	პრეზიდენტის სტიპენდია	ფასიანი სწავლება	გრანტები	ინფრასტრუქტურის განვითარების პროგ.	ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლები	ჯამი
	სულ ასიგნებები		0	0	29626625	618289	0	1240000	31484914
	ხარჯები		0	0	27248483	605549	0	1211640	29065672
1	შრომის ანაზღაურება	21	0	0	15187069	335577	0	2200	15524846
	მ.შ.								
	ხელფასი				14464661	335577			14800238
	დანამატი				160608				160608
	პრემია				561800			2200	564000
2	საქონელი და მომსახურეობა:		0	0	10246336	269972	0	980297	11496605
	I - შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221			3752445	184472		909697	4846614
	II - მივლინებები	222			262473	18978		5000	286451
	III - ოფისის ხარჯები	223	0	0	5256948	61522	0	35000	5353470
	საკანცელარიო ხარჯები				179256	21261		6000	206517
	საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის ხარჯები				604470	21261		7100	632831
	ოფისისათვის ხანტიარული საგნების და მასალების შეძენის ხარჯები				19000				19000
	შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯები				1921672			2000	1923672
	კავშირგაბმულობის ხარჯები				103700	4000		400	108100

ინტერნეტის მომსახურების ხარჯები				50000	8000			58000
ელექტროენერჯის ხარჯები				650000	2000		7750	659750
წყლის ხარჯები				639050	2000		8000	649050
ბუნებრივი აირის ხარჯები				953700	2000		3750	959450
კომუნალური მომსახურებისათვის გაყვანილობებისა და მათი მიმდინარე შეკეთების ხარჯები				88100	1000			89100
შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა დასუფთავების ხარჯები				48000				48000
IV - წარმომადგენლობითი ხარჯები	224	0	0	300000	0	0	0	300000
მიღებების და ღონისძიებების ხარჯები				93000				93000
სუვენირების შეძენის ხარჯები				8000				8000
სტუდენტური საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯები				90000				90000
სპორტული ღონისძიებების და სტუდენტთა სოციალური პროგრ. ხარჯები				55000				55000
სატრანსპორტო მომსახურების და მგზავრობის ხარჯები				44000				44000
სასტუმროს მომსახურების ხარჯები				10000				10000
V - კვების ხარჯები	225	0	0	0	0	0	0	0
სპორტული შეკრებებისა და შეჯიბრებების მონაწილეთა კვების ხარჯები								0
VI - სამედიცინო ხარჯები	226	0	0	17420	0	0	25000	42420
მედიკამენტების შეძენის ხარჯები							15000	15000
სამედიცინო დანიშნულების მასალებისა და ინსტრუმენტების შეძენის ხარჯები							10000	10000
სამედიცინო დეზინფექცია-დერატიზაციის ხარჯები				15000				15000
საერთო ხასიათის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები (შემოწმება, მკურნალობა და სხვ.)				2420				2420
VII - რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯები	227	0	0	17500	0	0	0	17500
უნიფორმის შეძენის ხარჯები				17500				17500

VIII - ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228	0	0	139730	0	0	2000	141730
საწვავ-საპოხი მასალის შეძენის ხარჯები				105730			1000	106730
მიმდინარე რემონტის, სათადარიგო ნაწილების, ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენის ხარჯები				28000			1000	29000
ტრანსპორტის დაქირავების ხარჯები				6000				6000
IX - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	0	0	499820	5000	0	3600	508420
ბანკის მომსახურების ხარჯები								0
გამოფენების მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები								0
ექსპერტიზის ჩატარების ხარჯები				30000				30000
ორდენების, სიგელების, სუვენირების, მედლების, დროშების და სხვა ფასიანი საჩუქრების შეძენის ხარჯები				13500				13500
კადრების მომზადებასთან, გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯები								0
რეკლამის ხარჯები (ფირნიშები, ბანერები)				42280				42280
სამეცნიერო ხარჯები				6300	5000			11300
სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯები				51150				51150
სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯები (სტუდ. ბილეთები, დიპლომები)				64520				64520
სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯები წიგნები				69000				69000
საგამომცემლო ხარჯები				70070			1600	71670
სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოების ხარჯები				33000			2000	35000
ტექნიკურ და შრომის უსაფრთხოების დაცვისთან დაკავშირებული ხარჯები				6000				6000

	კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზაციის ხარჯები				68000				68000
	ტენდერის ხარჯები				6000				6000
	შენობა-ნაგებობების დაცვისა და სახანძრო დაცვის მომსახურების ხარჯები								0
	შენობის პასპორტიზაციასთან და ძირითადი საშუალების ტექნიკურ ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები				10000				10000
	საქონელსა და მომსახურებაზე გაწეულ სხვა დანარჩენ ხარჯებს, რომლებიც არ კლასიფიცირდება "საქონელსა და მომსახურების დანარჩენ მუხლებში"				30000				30000
3	სუბსიდიები				1153221				1153221
4	სოციალური უზრუნველყოფა	27	0	0	0	0	0	0	0
	დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273							0
	სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაცია								0
5	სხვა ხარჯები	28	0	0	661857	0	0	229143	891000
	X -სხვადასხვა ხარჯები	282							0
	XI - მიმდინარე ხარჯები	2821	0	0	661857	0	0	229143	891000
	ქონების გადასახადი				317417			62670	380087
	მიწის გადასახადი				26000				26000
	ქონების დაზღვევის გადასახადი				30000				30000
	მოგების გადასახადი				278440			21560	300000
	დამატებული ღირებულების გადასახადი							144913	144913
	სასამართლოებისა და სხვა კვაზი-სამართლოებიანი ორგანოების გადაწყვეტილებებით დაკისრებული საურავები და საჯარიმო სანქციები				10000				10000
	სტიპენდიები								0
	ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ სტუდენტთა სწავლის საფასური								0
	სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები (საწევროს ხარჯები)								0
	კაპიტალური ხარჯები								0

6	არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია		0	0	2378142	12740	0	28360	2419242
	ძირითადი აქტივები								0
	XII - მანქანა დანადგარები	3112	0	0	0	0	0	0	0
	XIII - სატრანსპორტო საშუალებები	31121	0	0	140000	0	0	0	140000
	სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების შეძენა				140000				140000
	XIV - სხვა მანქანა-დანადგარები	31122	0	0	1975212	12740	0	28360	2016312
	კომპიუტერული მოწყობილობებისა და ელექტრომოწყობილობების შეძენა				1156215	6370		1500	1164085
	ელექტრო მოწყობილობები, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურა, ოპტიკური ხელსაწყოები, ავეჯი				818997	6370		26860	852227
	XV - სხვა არამატერიალური აქტივები	311322	0	0	109730	0	0	0	109730
	კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა				109730				109730
	XVI - სხვა მატერიალური მარაგების		0	0	153200	0	0	0	153200
	ნედლეულის და მასალების ხარჯები				153200				153200
	XVII - არაწარმოებული, არამატერიალური აქტივები								0
	ჯამი:		0	0	29626625	618289	0	1240000	31484914

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
პროფესორი

ქ. ქოქრაშვილი

საგეგმო-საფინანსო
დეპარტამენტის უფროსი

კ. ქურციკიძე

	დასახელება	ლარი
	ნაშთი პერიოდის დასაწყისში	5 683 896
	1 მიმდინარე პერიოდის შემოსავალი	26 234 900
	1,1 საბიუჯეტო სახსრები	1 664 680
	1,2 სამეცნიერო გრანტები	275 939
	1,3 კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები	24 294 281
	1,3,1 მ.შ. საგანმანათლებლო საქმიანობა	17 578 125
	1,3,2 სამედიცინო საქმიანობა	5 214 966
	1,3,3 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	809 320
	1,3,4 სხვა ეკონომიკური საქმიანობა	691 870
	შემოსავალი სულ	31 918 796
	2 ხარჯი სულ	30 737 207
	2,1 შრომის ანაზღაურება	10 915 020
	2,1,1 ხელფასი	10 579 420
	2,1,2 პრემია	217 000
	2,1,3 დანამატი	65 600
	2,1,4 კომპენსაცია	53 000
	1,2 საქონელი და მომსახურება	12 556 538
	2,2,1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	5 633 772
	2,2,2 მივლინება	229 600
	2,2,3 ოფისის ხარჯები	2 702 463

ა(ა)იპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის ხარჯები

№	დასახელება	ეკონომ იკური კოდი	შტატი	ლარი
1	2	3	4	5
	მთლიანი ასიგნებები			5,585,120
1	ხარჯები	2	354	4,824,400
	შრომის ანაზღაურება	21	354	2,850,000
	ხელფასები	211	354	2,850,000
	ხელფასები ფულადი ფორმით	2111	354	2,850,000
	თანამდებობრივი სარგო	21111	354	2,550,000
	მ.შ. აკადემიური პერსონალი		196	1,500,000
	მ.შ. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი		158	1,020,000
	მ.შ. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების პერსონალი			30,000
	პრემია			240,000
	დანამატი			60,000
	საქონელი და მომსახურება	22		1,695,100
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221		900,000
	მივლინება	222		30,000
	ოფისის ხარჯები	223		436,600
	წარმომადგენლობითი ხარჯები	224		35,000
	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227		25,000
	ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228		25,000
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210		243,500	
გრანტები				
სხვა ხარჯები	28		279,300	
2	არაფინანსური აქტივების ზრდა(ძირითადი აქტივები)	31		522,900
	შენობა ნაგებობები	3111		430,000
	მანქანა დანადგარები და ინვენტარი	31122		92,900
	სხვა ძირითადი აქტივები			
3	გარდამავალი ნაშთი			237,820

ა(ა)იპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
2012 წლის ბიუჯეტი

მოსალოდნელი შემოსავლები	ლარი
სასწავლო გრანტი	636,000.00
ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები (სწავლის ქირის გადასახადი)	3,700,000.00
ეკონომიკური საქმიანობა (ფართის იჯარა, სოხუმის სახ. უნივერსიტეტის ანგარიშზე რიცხულ ნაშთზე დარიცხული ბანკის პროცენტი და სხვა არაკლასიფიციცირებული შემოსავლები)	55,000.00
სახელმწიფო (პრეზიდენტის) სტიპენდია - 42 სტუდენტზე	55,650.00
2011 წლის გარდამავალი ნაშთი	1,138,470.00
ჯამი	5,585,120.00
საერთაშორისო გრანტები	0.00
სულ მოსალოდნელი გრანტები	0.00
სულ შემოსავლები	5,585,120.00

დანართი VII

რეორგანიზაციის შედეგად უნივერსიტეტების შემადგენლობაში შესული კვლევითი დაწესებულებები

<p>ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>	<p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N210, 27.07. 2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ – ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი; 2. სსიპ- ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი; 3. სსიპ - ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი; <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N220, 03.08. 2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ - თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი; 2. სსიპ - ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი; <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N278, 10. 09. 2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ – ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი; 2. სსიპ – ელევთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი; 3. სსიპ – შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი; 4. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება №274 10.09.2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ – კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი. <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N306, 13.10.2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ - პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი; <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება №185 09.07.2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ - პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი; 2. სსიპ - რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი; <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება №255 27.06.2011</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ – არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი; 2. სსიპ – ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
<p>ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი</p>	<p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N210, 27.07. 2010</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სსიპ - კვების მრეწველობის ინსტიტუტი; 2. სსიპ - მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტი; 3. სსიპ - წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი; 4. სსიპ – ჰიდრო-გეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის

	<p>ინსტიტუტი; 5. სსიპ – ჰიდრო-მეტეოროლოგიის ინსტიტუტი;</p> <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N220, 03.08. 2010 1. სსიპ – ინსტიტუტი “ტალღა”; 2. სსიპ – საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი;</p> <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N306, 13.10.2010 1. სსიპ - ბიოტექნოლოგიის ცენტრი.</p> <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება №185 09.07.2010 1. სსიპ - ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი; 2. სსიპ - ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი; 3. სსიპ - არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი;</p> <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N246, 20.08.2010 1. სსიპ – ინსტიტუტი “ტექინფორმი”; <i>(სსიპ– ინსტიტუტი „ოპტიკა“ და სსიპ– სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი საქართველოს მთავრობის დადგენილების პირველად-ორიგინალ ვერსიაში ასევე შეუერთდა ტექნიკურ უნივერსიტეტს, ხოლო 10.09.2010 N 279 კოდიფიცირებული ვერსიაში ეს 2 დაწესებულება არ ფიგურირებს).</i></p>
<p>ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი</p>	<p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N210, 27.07. 2010 1. სსიპ -სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი; 2. სსიპ -სოფლის მეურნეობის ბიოტექნოლოგიის ცენტრი; 3. სსიპ - აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტი; 4. სსიპ - მეზღვრობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი; 5. სსიპ - ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი</p> <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N220, 03.08. 2010 1. სსიპ - მეცხოველეობისა და საკვებწარმოების ინსტიტუტი; 2. სსიპ - იულონ ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტი; 3. სსიპ - მიხეილ რჩეულიშვილის მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლების ინსტიტუტი; 4. სსიპ - ლევან ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი; 5. სსიპ - მეფუტკრეობის ინსტიტუტი;</p> <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება №185 09.07.2010 1. სსიპ - აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის</p>

	<p>ინსტიტუტი;</p> <p>2. სსიპ - მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტი;</p> <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N246, 20.08.2010</p> <p>1. სსიპ - კონსტანტინე ამირაჯიბის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტი;</p> <p>2. სსიპ - ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი;</p>
ა(ა)იპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	<p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N220, 03.08. 2010</p> <p>1. სსიპ – სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი.</p> <p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N246, 20.08.2010</p> <p>1. სსიპ - იოველ ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტი.</p>
ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	<p>საქართველოს მთავრობის დადგენილება N50, 19.03.2009</p> <p>1. სსიპ – ქუთაისის სამეცნიერო ცენტრი</p>
ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	NA
ა(ა)იპ - ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	NA